ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოროშაბათი, 30 მაისი, 2011 №126 (5507) ფასი: 30 თეთრი




„ახალი თაობა“ +„რიშელიე“
8 ლარი
30 მაისიდან 13 ივნისამდე

# ზვიად ძიძიგური: აქციის ზოგიერთი მონაწილე გააუპატიურეს

26 მაისის ღამეს ექიმები გესტაპოელებივით იქცეოდნენ



გვ.7

## ოპოზიცია გვერდში

გვ.4

„სახალხო კრებას“ კი არა, ხალხს უნდა დასდგომოდა!

აქციის დარბევის შემდეგ ალასანიამ სატელეფონო ზარს არ უპასუხა



## ხელისუფლება ჩვენ უნდა გავუშვათ!



გვ.6



## ძალადობაზე ყველამ უარი უნდა თქვას!

გვ.3

პროტესტის გამოხატვას ლიდერი არ სჭირდება



## სერგეი ბაღაფში გარდაიცვალა

გვ.5

აფხაზეთი ახალ პრეზიდენტს სამ თვეში აირჩევს

## „სააკაშვილს პირში ვუთხარი, რომ მკვლელია“

გვ.6

რა ინციდენტი მოხდა მარჯანიშვილის თეატრში

## ილია II: „სერიოზული საქმე ქუჩაში არ უნდა წყდებოდეს“

გვ.2



## ჩვენ გვყავს ვამპირი ხელისუფლება, რომელსაც სისხლი სწყურია

გვ.2



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 სახალხო დამცველის აპარატმა დაკავებულ პირთა სია გამოაქვეყნა

5 „რაგბატკებით“ რევოლუციის მოწყობა სასაცილოა

6 სააკაშვილს ეს სისასტიკე არ შერჩება!

9 დასავლეთმა ნელთბილი შეფასებები თავისთვის დაიტოვოს

# ჩვენ გვყავს ვამპირი ხელისუფლება, რომელსაც სისხლი სწყურია

შორენა კოწოწაშვილი

**სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ხელისუფლების მხრიდან საპროტესტო აქციის მონაწილეთა ვანდალურად დაშლას აპროტესტებენ და პირობას დებენ, არ გაჩერდებიან და ბოლომდე იბრძოლებენ მანამ, სანამ დამნაშავეები არ დაისჯებიან.**

**შაბათს არასახელისუფლებო, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და 25 მაისს გამოვლენილი ძალადობით აღშფოთებულმა მოქალაქეებმა მდუმარე საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები რუსთაველის ძეგლთან შეიკრიბნენ და მსვლელობა მოაწყვეს პარლამენტის შენობისკენ.**

**რამდენიმე ათასი ადამიანი ერთხმად აცხადებდა, რომ ის, რაც პარლამენტის წინ ხელისუფლებამ ჩაიდინა, არის სასტიკი ანგარიშსწორება საკუთარი მოსახლეობის მიმართ. ეს არის გენოციდი და ამაზე ყველამ ხმა უნდა აღიმაღლოს.**



— ეს პროტესტი არ გაჩერდება მანამ, სანამ დამნაშავეები არ დაისჯებიან. ეს აქციები, რა თქმა უნდა, პერმანენტულ ხასიათსაც მიიღებს და ხალხი ყოველდღიურად იქნება ინფორმირებული, რა ზომებს მივიღებთ და რა ღონისძიებები იქნება ჩვენი მხრიდან დაგეგმილი, — განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელ ეკა ბესელიას თქმით, ეს არის ხალხის მშვიდობიანი პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ.

— მოვითხოვთ, ჩატარდეს ობიექტური გამოძიება, მაგრამ გამოძიება მიუკერძოებელი ექსპერტების მიერ. უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც მონაწილეობდა ამ დანაშაულის ჩადენაში. მოვითხოვთ უდანაშაულო ადამიანების გათავისუფლებას და იმ რეპრესიების შეჩერებას, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს პროტესტი ძალიან ბუნებრივი გამოძახილი იყო იმ ხალხის, რომელსაც ტყვიებით და ხელჯოხებით ელაპარაკებიან, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

აქციის მინაწილეები აცხადებდნენ, რომ არ დაიშლებიან, სანამ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ შეასრულებს და მკვლელებს სათანადოდ არ დასჯის.

— მოვითხოვთ სასწრაფოდ გამოძიებულ იქნეს და დაისაჯონ ის პირები, რომლებიც ბარბაროსულად მოექცნენ საკუთარ ხალხს. ამავე დროს მოვითხოვთ, უახლოეს დღეებში გაუჩინარებული ხალხის პოვნას. გაგვაგებინონ, სად არიან ეს ადამიანები, ცოცხლები არიან თუ მკვდრები, — განაცხადა ქართული აკადემიის წევრმა ნუკრი ქანთარიამ.

***— ბატონო ნუკრი, როგორ ფიქრობთ, რატომ გაბედა ხელისუფლებამ აქციის ამ ფორმით დაშლა. ხომ იცოდა, რომ ეს ძალის გადამეტება იყო?***

— რა, პირველად გაბედა თუ რა. იმიტომ გაბედა, რომ ეს არის ვამპირი ხელისუფლება, რომელსაც დროდადრო სისხლი წყურია. ამ სისხლით თუ არ გაძღა, ის ვერ აგრძელებს ქმედებებს. ეს არის აბსოლუტურად ნათელი. ჩვენ ვართ მართლაც ვამპირი ხელისუფლების ხელში.

***— პირველად არ გაბედა, გასაგებია, მაგრამ ხელისუფლებას ხომ ახსოვს 7 ნოემბრის უარყოფილი გამოძახილი და მისთვის უმძიმესი შეფასებები?***

— ალბათ მათ ეგონათ, რომ ეს პოზიციები უკვე დასრულდა და კრიტიკა ამ ხელისუფლების მიმართ შეწყდა. მაგრამ არის ისეთი რაღაცეეი, რასაც ხალხი ვერ ეგუება. მით უმეტეს, როცა სისხლი დაიღვრება, როცა ადამიანები იხოცებიან. აუცილებლად მოინახება ქვეყანაში დიდი რაოდენობით ხალხი, რომელიც გამოვა და ამას არ შეეგუება. დანარჩენების მიმართ კი ზიზღი დაისადგურებს. ეს ზიზღი იქნება დაბუდებული და ხელისუფლებას სწორედ ამ ზიზღის უნდა ეშინოდეს.

***— იგრძნობოდა, რომ სახალხო კრების ორგანიზატორებს კონსტიტუციური წყობის დამხობა უნდოდათ? ხელისუფლება ასე წარმოაჩენს.***

— არ ვიცი, რაგატკებით დამხობილი ხელისუფლება მე ჯერ არ მინახავს, არც მსმენია. დროდადრო მუდმივად არის დაშტამპული სცენარი. როგორც შევატყვე, მათ გეგმებში ეს არ იყო. ერთადერთი, ითხოვდნენ, რომ ხელისუფლებას აღლუმი არ ჩაეტარებინა. მათი მოთხოვნები ამაზე დავიდა. მერე იქამდე დავიდა, რომ მოდი, ვიზეიმოთ 26 მაისი ერთად. ე.ი. სხვადასხვა მოთხოვნები იყო. იქ, გარდა ბელა ჩაოს სიმღერისა, არ ჩანდა რევოლუციური ქმედებები. აქციის დაშლას რაც შეეხება, აქ ძალის გადამეტება კი არ იყო, აქ იყო ხალხის დასჯა. ეს იყო პირდაპირი დამსჯელი, რომელიც ჩაატარეს. მიზანი იყო ხალხის დარბევა და დამცირება. უნდოდათ ხალხში დათრგუნვა გაჩენილიყო. მაგრამ ხომ ხედავთ, დათრგუნვა გამორიცხულია. შიში დაძლეულია, ერთს თუ დაარტყამენ, მეორე გამოვა. ასეა ყოველთვის.

***— საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ადეკვატური შეფასებები გაკეთდა აქციის დაშლასთან დაკავშირებით?***

— საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გაცილებით მეტს ველოდი. მე მგონი, როცა დოკუმენტებზე უფრო მეტს იმუშავებენ, სწორ აქცენტებს გააკეთებენ გამოძიებასთან დაკავშირებით.

***— თქვენი აზრით, ხელისუფლებამ პროტესტი კი არ ჩააცხრო, პირიქით, გააძლიერა?***

— თავისთავად. შედარებით განელებული ზიზღი გააღვიძა. შეიძლება გარკვეული პოლიტიკოსები პოლიტიკური ველიდან გამოიყვანეს, მაგრამ ხალხს რას უზამენ?!

# ილია II: „სერიოზული საქმე ქუჩაში არ უნდა წყდებოდეს“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გუშინ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას სათათბირო დარბაზის შექმნის ინიციატივით გამოვიდა.

როგორც ილია მეორემ ბრძანა, სერიოზული საქმე ქუჩაში არ უნდა წყდებოდეს, დიდი საქმე დარბაზში მშვიდობიან საუბარში უნდა წყდებოდეს და ჩვენც კარგ შედეგს მივიღებთ.

— ადამიანები გამოდიან ქუჩაში პროტესტისთვის, ხელისუფლება კი ამას ხშირად ეწინააღმდეგება. მე ვფიქრობ, რომ ასეთი ურთიერთობა უნდა დამთავრდეს. ყველა პრობლემური საკითხის ირგვლივ უნდა იყოს მსჯელობა და თუ ახალგაზრდა იტყვის კარგს, მაშინ უფროსებმა მას უნდა დაუჯერონ. ადამიანების მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ მათი საქმე იყოს ღვთისთვის სათნო და ადამიანთათვის სასარგებლო, — ბრძანა პატრიარქმა და დასძინა, რომ ნუთუ, არ შეიძლება გავაკეთოთ სათათბირო დარბაზი და ადამიანები უკმაყოფილების შემთხვევაში ქუჩაში კი არ გამოვიდნენ, არამედ იმ დარბაზში ითათბირონ.

ილია მეორის თქმით, ბოლო ასეთი ქუჩაში გამოსვლა ძალიან მძიმე აღმოჩნდა და მსხვერპლითაც დასრულდა. ღმერთმა მოიხსენიოს მიტინგისას გარდაცვლილთა სულები.

უწმინდესის განმარტებით, ჩვენ, ადამიანებმა ჯერჯერობით ვერ ვისწავლეთ საუბარი და მოსმენა.

ხშირად გადმოსცემენ ორი ადამიანის საუბარს, როცა ისინი არ უსმენენ ერთმანეთს და ერთსა და იმავე დროს საუბრობენ. ეს არის დაბალი კულტურის მანიშნებელი.

როგორც ილია მეორემ ბრძანა, ადამიანებმა უნდა ვისწავლოთ ბევრი რამ, და უპირველესად, ერთმანეთის მოსმენა. **მედიანიუსი**

# სახალხო კრება განცხადებას მაქსიმუმ 30 მაისს გააკეთებს

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, სახალხო კრება ერთობლივ განცხადებას მაქსიმუმ, 30 მაისს გააკეთებს.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ხელისუფლების წყალობით მათ ვერ მოახერხეს ამ დრომდე ერთობლივი განცხადების გაკეთება და სახალხო კრების პოზიციას თავად ახმოვანებდა.

— ირაკლი ბათიაშვილი უკვე გამოჩნდა. კონტაქტი მქონდა სახალხო კრების სხვა წარმომადგენლებთან და ნონა გაფრინდაშვილთან. თემურ შაშიაშვილი და ლუკა კურტანიძე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. ხვალ, მაქსიმუმ ზეგ, ჩვენ ვგეგმავთ ერთობლივი განცხადების გაკეთებას, - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და აღნიშნა, რომ მოხარულია ირაკლი ბათიაშვილის გამოჩენით.

**ინტერპრესნიუსი**

# გუშინ დაღუპული პოლიციელი დაკრძალეს

თბილისში, რუსთაველის გამზირზე, 26 მაისის ღამე განვითარებული მოვლენებისას დაღუპული პოლიციელი, ვლადიმერ მანსურაშვილი დღეს საბურთალოს პანთეონში დაკრძალეს.

დაკრძალვამდე საბურთალოს ამაღლების ეკლესიაში სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა.

ვლადიმერ მანსურაშვილს პატივი შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, კოლეგებმა და დედაქალაქის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა მიაგეს.

დაკრძალვას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილიც ესწრებოდა.

32 წლის ვლადიმერ მასურაშვილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში მუშაობდა.

გარდაცვლილს მეუღლე და ერთი შვილი დარჩა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციელის სიცოცხლე ნინო ბურჯანაძის კორტეჟს ემსხვერპლა. **მედიანიუსი**

# ბათიაშვილი 15 საათის განმავლობაში კინოთეატრ „რუსთაველის“ სახურავზე იმალებოდა



სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, ამ დღეების განმავლობაში ჯერ კინოთეატრ „რუსთაველის“ სახურავზე იმალებოდა, შემდეგ კი ერთ-ერთი მომიტინგის ნათესავის სახლში იმყოფებოდა.

როგორც ბათიაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, მას შემდეგ, რაც აქციის დარბევა დაიწყო სპეცდანიშნულების რაზმმა, რამდენიმე მომიტინგესთან და ცოლის ძმასთან, თამაზ ფანჩულიძესთან ერთად, კინოთეატრ „რუსთაველის“ მიმართულებით წავიდა.

მან განაცხადა, რომ სპეცდანიშნულების რაზმი მიზანმიმართულად მიყვებოდა, რადგან უნდოდათ მისი დაკავება და ლიკვიდაცია.

ბათიაშვილის თქმით, ისინი დაიმალნენ კინოთეატრ „რუსთაველის“ სახურავზე, სადაც 15 საათი განმავლობაში იმყოფებოდა.

— იყავი მოწამლული, თავში მქონდა დაზიანებები, ვინაიდან პოლიციელებმა მირტყეს. მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. 40 გრადუსი სიცხე მქონდა, ვინაიდან სველი ვიყავი და 15 საათის განმავლობაში მომიწია კინოთეატრის სახურავზე ყოფნა. აღნიშნული სახურავიდან გვერდით მდებარე სახურავზე გადავედით, საიდანაც ჩვენთან მყოფმა ერთ-ერთმა მომიტინგემ მის ნათესავთან, თემქაზე წასვლა შემოგვთავაზა. იქიდან ვერ ვუკავშირდებოდი ჩემს ახლობლებს, ვინაიდან ვიცოდი, რომ განზრახული იყო ჩემი დაკავება და ტელეფონის გამოყენება არ მინდოდა. თუმცა 27-ში ერთ-ერთი კეთილისმყოფლის საშუალებით, ჩემს მეუღლეს შეატყობინეს რომ ცოცხალი ვიყავი, თუმცა ჩემმა მეუღლემ ეს ინფორმაცია არ დაიჯერა, — განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა და აღნიშნა, რომ დღეს უკვე შეძლო სახლში წამოსვლა.

თუმცა მისი თქმით, მის დაკავებას ამ დრომდე აპირებენ და ამ მიზნით მის სახლთან პოლიციელები იმყოფებიან. **ინტერპრესნიუსი**

# ნიკა კვინტრაძის მამა გულის შეტევით გარდაიცვალა

26 მაისის მოვლენების შემდეგ თავისუფლების მოედანთან ნაპოვნილი, გარდაცვლილი ნიკა კვინტრაძის მამა გარდაიცვალა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა. მისი თქმით, კვინტრაძის მამა გუშინ გულის შეტევით გარდაიცვალა.

რაც შეეხება ნიკა კვინტრაძეს, მისი ცხედარი 27 მაისს, აქციის დაშლის შემდეგ, მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედანთან“ მდებარე მაღაზიის სახურავზე აღმოაჩინეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი ინფორმაციით, კვინტრაძე მეორე პირთან ერთად მაღალი ძაბვის ელექტროსადენთან შეხების შედეგად გარდაიცვალა.

— გამოძიება სწავლობს ამ პირების შესაძლო კავშირს რუსთაველის პროსპექტზე გამართულ საპროტესტო აქციასთან, — აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. თუმცა, გარდაცვლილის ოჯახის ახლობლებმა უკვე განაცხადეს, რომ ნიკა კვინტრაძე 26 მაისის აქციაზე იმყოფებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# საპატრულო პოლიციამ მტკვარში გადამხტარი ქალი გადაარჩინა

საპატრულო პოლიციამ თბილისში, მტკვარში გადამხტარი 37 წლის ქალბატონი გადაარჩინა. შემთხვევა გუშინ დილით დაახლოებით 9.30 საათისთვის მოხდა.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს, 37 წლის რიტა კულუმბეგაშვილი მდინარეში ბარათაშვილის ხიდიდან გადახტა.

თვითმხილველებმა ინციდენტის შესახებ სამაშველო სამსახურის გარდა, იქვე მყოფ პატრულსაც შეატყობინეს და პატრულის ეკიპაჟმა ქალბატონი მდინარიდან მაშველების მისვლამდე ამოიყვანა.

სამაშველოს ცნობით, კულუმბეგაშვილი ამჟამად პირველ კლინიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. **მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სახალხო დამცველის აპარატმა დაკავებულ პირთა სია გამოაქვეყნა

26-28 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მონიტორინგი განახორციელეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც განთავსებულნი არიან 2011 წლის მაისის თვეში საპროტესტო აქციების დროს დაკავებული პირები.

სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა მონიტორინგი განახორციელა თბილისის, იმერეთის, აჭარის, გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა მთიანეთის და კახეთის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულები გაესაუბრნენ როგორც იზოლატორების ადმინისტრაციას ასევე დაკავებულ პირებს, შეამოწმეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

როფორც „მედიანიუსს“ სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ დაკავებულთა უმრავლესობას მეტ ნაკლებად სერიოზული ხასიათის დაზიანებები აღენიშნება. რამდენიმე დაკავებულ პირს აღენიშნება მძიმე კატეგორიის დაზიანებები, რაც ასევე დასტურდება დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანისას შევსებული გარეგნული დათვალიერების ოქმებით. დაკავებულები ზეპირ საუბარში აცხადებენ, რომ დაზიანებები მიღებული აქვთ როგორც აქციის დაშლისას, ისე დაკავების შემდგომ, თუმცა ბევრმა მათგანმა უარი განაცხადა სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის ამ ეტაპზე ახსნა განმარტების მიცემაზე.

საქართველოს სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დაუყოვნებლივ ჩატარებას დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ იმ პირთათვის, რომელთაც აღენიშნებათ სხვადასხვა კატეგორიის დაზიანებები და თითოეულ ფაქტზე შესაბამის რეაგირებას.

სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შედგენილ დაკავებულ პირთა სიაც გამოაქვეყნა:

2011 წლის მაისის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა სია იზოლატორების მიხედვით: თბილისის №1 დმი (28 მაისის მდგომარეობით): ღვალაძე რამაზი, გუნდიშვილი ჯემალი, შუკაკიძე დავითი.

თბილისის ტ№2 დროებითი მოთავსების იზოლატორი (27 მაისი მდგომარეობით): ბერიშვილი ლევანი, ზურაშვილი შაქრი (ზაქარია), გვიმრაძე ზაზა, ჩიგოგიძე ბაქარი, ცილიკიშვილი მიხეილი, ჩარბაძე ირაკლი, თუთარაშვილი დავითი,. ცამბაია თეიმურაზი, გელაშვილი ზურაბი,. მაისურაძე მიხეილი, თოდაძე კახაბერი, გურული ბორისი, ბეროშვილი გიორგი, ბესელია მამუკა, სისაური მახარე, ჩიტრეკაშვილი დავითი, ალაჯანაშვილი გიორგი ვასილის ძე, ჩიტრეკაშვილი ზურაბი, სურამელაშვილი ჯემალი, ჩიგოგიძე ბადრი, გოგუაძე ნიკოლოზი, გულუაშვილი ივანე, ბურდული მიხეილი, ჩარკვიანი ვარლამ, ხურციძე ზერო.

რუსთავის დმი (27 მაისის მდგომარეობით): ფირცხალაიშვილი გიორგი, შაყულაშვილი დავითი, ბერიშვილი გიორგი, წერეთელი მალხაზი, ჭელიძე ცოტნე,

გოჩიტაშვილი თორნიკე, იურინი ბორისი, მარლიშვილი მამუკა, ქიტიაშვილი ზურაბი,

ხუციშვილი კახაბერი.

გარდაბნის დმი (27 მაისის მდგომარეობით): ლელაძე სიმონ, კეკელია გიორგი, ლაჩიშვილი უჩა, წურწუმია პაატა,. ქოჩქიანი გიორგი, ხუციშვილი მამუკა, რობაქიძე ლუხუმი, სამხარაძე ნიკა, კუპრაშვილი გიგლა, ბერიაშვილი ირაკლი.

მარნეულის დმი (27 მაისის მდგომარეობით): გოგიტიძე გედევანი, გასანოვი რამინი, გაბიდაური მერაბი, გლურჯიძე ავთანდილი, თექთურმანიძე ონისე, ვარძელაშვილი გიორგი, ბურჯანაძე არჩილი, აბულაძე პაატა, ოგბაიძე გიორგი, ნეფარიძე გიორგი.

ბოლნისის დმი (27 მაისის მდგომარეობით). დიდებაშვილი როინი, დარასელია ელგუჯა, წიკლაური პაატა, ჭანტურია გიორგი, აბაშიძე გიორგი, კვარაცხელია დემნა, ბიწაძე ელიზბარი, კეზუა მიხეილი, ბუჩუკური ბესიკი, იავოლსკი ალექსანდრე.

კასპის დმი (26 მაისის მდგომარეობით): აკოფიანი მორისი, შარუხია დავითი.

მცხეთის დმი (26 მაისის მდგომარეობით): . გიორგაძე ზვიადი,. მოდრეკილაძე გიორგი, კეკუტია ვარლამი, მუმლაძე კობა, მეფარიშვილი დავითი, გიორგაძე ჟორა, ქამადაძე ნუგზარი, ნაჭყებია ალიკა, გველესიანი ნუგზარ, ჯაჭვლიანი იოსები, ბუხნიკაშვილი გელა, წიკლაური ომარი, დონაძე ალექსანდრე, გურასპაშვილი ალექსანდრე, ჯანიაშვილი ირაკლი.

თელავის დმი (27 მაისის მდგომარეობით): გორა ანდრეი, დუმბაძე მურმანი, ჩუბინიძე ალექსანდრე, ჭიკაიძე ზურაბი, ლატარია რამაზი, ჩალაბაშვილი მამუკა, ბუაჩიძე კახა, კვინიკაძე ზურაბი, მუთოშვილი მალხაზი, ჯავახიშვილი ლაშა, კიკილიშვილი ზურაბი, ფირიაშვილი ზურაბი, სანიკიძე ნიკა, მგელაძე რეზო, მგელაძე სიმონი, ლურსმანაშვილი გია, გელხაური როლანდი, ღონღაძე ზურაბი, რევიშვილი გიორგი, ბიწაძე რემი, ახვლედიანი ზვიადი, ხუსკივაძე ლაშა.

სიღნაღის დმი (27 მაისის მდგომარეობით): ბეგიაშვილი ზურაბი, ავალიანი გივი, მათეშვილი მიხეილი, ჯანიბეგაშვილი უშანგი, კაპანაძე ჯონდო, გაგნიძე არჩილი.

ყვარლის დმი (27 მაისის მდგომარეობით): წიკლაური გოჩა, იმნაძე ვლადიმერი, თედორაძე გოჩა, თედიაშვილი ავთანდილი, ჯავახიშვილი გიორგი,. ბალახაძე მირიანი, ტაველიშვილი გიორგი,. სოხაშვილი შალვა, მელქოშვილი ტარიელი, ორუჯოვი ალიოშა, თანდილაშვილი გივი.

ზესტაფონის დმი (27 მაისის მდგომარეობით): მიხანაშვილი პაატა, ორმოცაძე დიმიტრი, ანგურიძე ოთარ, გოგიჩაიშვილი მიხეილ,. ყორღანაშვილი ზაზა, წერეთელი ვლადიმერ, ტერელაძე გიორგი.

სამტრედიის დმი (27 მაისის მდგომარეობით): ქველაძე ბადრი, გელენიძე ბესო, ნათენაძე ზურაბ.

ბაღდათის დმი (27 მაისის მდგომარეობით): ქველაძე როსტომ, ჩხიტუნიძე რევაზ.

ოზურგეთის დმი (27 მაისის მდგომარეობით): კვარაცხელია ხვიჩა, პაპუნაშვილი ელგუჯა, წაქაძე ირაკლი, ბუჯიაშვილი გიორგი, ბუბულაშვილი ვლადიმერი, ქურდიანი გივი, ხაჩიზე ზაზა, ლაგვილავა აიდმირი.

ჩოხატაურის დმი (27 მაისის მდგომარეობით): გურგენიძე გიორგი, ჩუბინიძე ამირანი, გავაშელიშვილი გიგა, მატიაშვილი გიორგი, ონიანი ლეგა, ტიტვინიძე დიმიტრი, კვარაცხელია ირაკლი, რიჟამაძე ავთანდილი.

ლანჩხუთის დმი (27 მაისის მდგომარეობით): ჩაჩხიანი მზეჭაბუკი, მაყიშვილი ზურაბი, დევნოზაშვილი ვეფხია, დუნდუა გიორგი, ლაშხი გოჩა, კუტალაძე ვარდენი, ყოლბაია გიორგი, ფლუიძე ტარიელი, მამნიაშვილი თენგიზ, მამნიაშვილი გელა

**მედიანიუსი**

# ძალადობაზე ყველამ უარი უნდა თქვას!

## პროტესტის გამოხატვას ლიდერი არ სჭირდება

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ნანა დევდარიანთან

***— ქალბატონო ნანა, როგორია თქვენი შეფასებები, თქვენი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რაც 26 მაისს, გამთენიისას რუსთაველზე მოხდა?***

— ის, რასაც ამბობენ, რომ ძალის გადამეტება იყო, ძალიან რბილი ნათქვამია. ეს იყო სისასტიკით გამორჩეული. მე 1988 წლის აქციებშიც ვმონაწილეობდი, ასევე 1989 წლის, გამიშუქებია კიდეც, მაგრამ აი, ასეთი საშინელი განწყობა მაშინ არ მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლი მეტი იყო. თუმცა ახლა გზადაგზა ირკვევა, რომ კიდევ ყოფილან დაღუპულები და საუბედუროდ, დაკარგულებიც არიან. უნდა გითხრათ, რომ მე პირველი ჟურნალისტური გამოძიება ჩავატარე 89 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით. ეს იყო ორსაათ-ნახევრიანი, სატელევიზიო დიდი ჟურნალისტური გამოძიება. მაშინ არც ერთი ადამიანი არ იყო დაკარგული და ყველა გვამი ამ უბედურების შემდეგ გადაასვენეს პროზექტურაში. ეს იყო წარმოუდგენელი რამ, რაც მაშინ მოხდა, მაგრამ ვიმეორებ, ეს გაცილებით მძიმეა იმის გამო, რომ აქ საკუთარი შენი სისხლი და ხორცი დაგიპირისპირდა. ის იყო რაღაცა უზარმაზარი სახელმწიფოს სამხედრო ძალები და აქ შენი სისხლი და ხორცი გიკეთებს ამას.

***— დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ უპასუხისმგებლოდ მოიქცნენ ოპოზიციონერი ლიდერები, რომ ისინი შეგნებულად წავიდნენ პროვოკაციაზე, რამდენად იზიარებთ თქვენ ამ მოსაზრებებს?***

— ვიზიარებ, იმიტომ, რომ შეგახსენებთ 80-იანი წლებიდან, თუ არ ჩავთვლით იმ უბედურებას, სამოქალაქო ომს, 1991-92 წლების მოვლენებს, ყველა საპროტესტო აქცია იყო ხაზგასმით მშვიდობიანი. ჩვენ ვხუმრობდით კიდეც ამ ბოლო აქციებზე, რომ რუსთაველზე ერთი ფოთოლიც კი არ ჩამოვარდნილა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ინციდენტებს ჰქონდა ადგილი. თავად ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ძალადობას ვუპასუხებთ ძალადობით. მე მოვუსმინე ამას ტელევიზიით მისი ერთ-ერთი გამოსვლისას. ეს არის დაუშვებელი. ძალადობა ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს, ის ყოველთვის შობს ახალ ძალადობას. ეს არ არის გამოსავალი. თუ შენ ამ ხელისუფლებას უპირისპირდები იმის გამო, რომ მან ძალადობა და ტერორი დაამკვიდრა ქვეყანაში და შენ იგივეს აკეთებ, შენც იგივე ხარ. აქ სხვა ლოგიკა არ არსებობს.

***— თქვენც თვლით, რომ ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია...***

— მე ასე ვერ ვიტყვი, რომ მიზანმიმართული პროვოკაცია იყო, მე ვთვლი, რომ ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა. შეცდომაც და დანაშაულიც. მე სახალხო კრების წევრებს ნონა გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით, იქ ელიზბარია ჯაველიძე, რეზო ესაძე და სხვები, მე მათ ვერაფრით ვერ დავადანაშაულებ იმიტომ, რომ ისინი არიან სამოქალაქო აქტივისტები. მაგრამ როდესაც პოლიტიკური ფიგურა ლიდერად აცხადებს თავს და იქ რა თქმა უნდა, ლიდერი იყო ნინო ბურჯანაძე და მას პოლიტიკაში კი უნდა ჰქონდეს იმხელა გამოცდილება, რომ მეტი განჭვრიტოს და მეტი იცოდეს, ვიდრე ამ სამოქალაქო აქტივისტებმა. ამდენად, პასუხისმგებლობა მთლიანად მოდის მასზე.

***— რაც შეეხება ხელისუფლების ქმედებას, ეს არ იყო აქციის დარბევა, ითქვა, რომ ეს იყო შურისძიება საკუთარ ხალხზე...***

— ასეთი ამოცანა ჰქონდათ მათ და შემთხვევითი არ არის, რომ ჟურნალისტებს მისცეს საშუალება ამის ტირაჟირების. ეს არის სამაგალითო საჩვენებელი დამსჯელი ღონისძიება, რომ ყველას აჩვენონ, თუ გამოხვალთ, ასე გაგისწორდებით. ამისთვის იყო ეს გაკეთებული, მაგრამ დღევანდელმა აქციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ასეთი გაჯიუტება და ასეთი ჯიუტი აგრესიულობა, ყოველთვის წარმოშობს საპასუხო პროტესტს. გაცილებით მეტი ადამიანი გამოვიდა საპროტესტო აქციაზე, ვიდრე იყო 26 მაისის ღამეს.

***— პროტესტი მართლაც გაძლიერდა, ფიქრობთ, რომ არ დაითრგუნა საზოგადოება?***

— რა თქმა უნდა, მძიმე ემოციებია. იმის ყურება, რასაც ჩვენ მეოთხე დღეა ვუყურებთ და სულ ახალ ახალი კადრები ჩნდება, ეს რა თქმა უნდა დამთრგუნველია, მაგრამ დათრგუნულის მდგომარეობაში არ რჩება ადამიანი, მას უჩნდება საპასუხო პროტესტი. მე შევახსენებ ყველას, რომ 7 აპრილს თუ დარჩენილი იყო რამდენიმე ასეული ადამიანი, 9 აპრილის ღამეს იქ ძალიან ბევრი ადამიანი მივიდა, ათასობით კაცი დადგა. სწორედ იმიტომ, რომ ცხადი გახდა, რომ დარბევა იყო მოსალოდნელი. ერთ რამეს გეტყვით გესტაფოში რომ აწამებდნენ იყო ასეთი დაუწერელი კანონი, ყველა მწამებელმა იცოდა, რომ არის რაღაც ზღვარი, რომელსაც თუ გადააბიჯებ პატიმრის წამებისას, მერე უკვე მისთვის ყველაფერი სულ ერთი ხდება და ეს წამება აღარანაირ შედეგს აღარ იძლევა. საუბედუროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ ამ ზღვარს გადააბიჯა.

***— როგორი იქნება ამ ყველაფრის შედეგი?***

— ზოგადად შედეგზე ლაპარაკი მე ვფიქრობ, რომ არის არასწორი, იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრება არის პროცესი. შედეგი შეიძლება დააჯამო რომელიმე ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, რა გააკეთა მან მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში. აქ შედეგზე ვერ ვილაპარაკებთ. საკუთარი უფლებისთვის ბრძოლა, ეს არის მუდმივი პროცესი. არც იმის ილუზია არ უნდა ჰქონდეს ვინმეს, რომ მოვა ისეთი განათლებული, პატიოსანი და წესიერი ხელისუფლება, რომელიც საკუთარ თავზე არ იზრუნებს და ხალხზე ფიქრში გაათენებს და დაალამებს. ეს არის მუდმივი პროცესი. რამდენჯერაც აპატიებ და არ მოსთხოვ ხელისუფლებას პასუხს, იმდენს უარესს ჩაიდენს. ეს ყველა ხელისუფლებას თანაბრად ეხება, უბრალოდ ისინი მუდმივად უნდა გრძნობდნენ საზოგადოების მხრიდან კონტროლს.

***— უამრავი ადამიანია დღეს დაკავებული, ბევრიც — უგზო-უკვლოდ დაკარგული. საზოგადოება უდანაშაულოდ დაკავებულების გათავისუფლებას ითხოვს, რამდენად არის წამსვლელი დათმობაზე ხელისუფლება?***

— შეუძლებელია ყველა დააპატიმრო. შეუძლებელია მოსახლეობის ერთი ნაწილი იყოს პატიმარი და დანარჩენი მისი ზედამხედველი. არითმეტიკა ჯიუტი რამ არის. ციფრები ხანდახან ისეთ შედეგს აჩვენებს, რომელიც სულაც არ იყო სასურველი. როდესაც ამ პატარა ქვეყანაში გყავს ოფიციალურად გამოცხადებული 23 ათასი პატიმარი, კიდევ რამდენი უნდა დააპატიმრო, რომ ამან რაღაც შედეგი მოგცეს, შენთვის სასურველი. ეს უკვე აღარ მუშაობს. ამან იმუშავა 2003 წლიდან 2-3 წლის განმავლობაში, იმიტომ, რომ ადამიანები ამას შეუჩვეველები იყვნენ და მატულობდა და მატულობდა ამ პატიმრების რაოდენობა, მაგრამ საზოგადოება ამას უკვე შეეგუა და აღარც ეპუება. თუ, დავუშვათ, 2003 წლამდე ახალგაზრდა ადამიანი ცდილობდა, რომ მას ნასამართლობა არ ჰქონოდა, დღეს უკვე ყველა შეეგუა ამას და ამ ნასამართლობასაც უყურებენ ძალიან ადვილად.

***— იმდენად მასობრივი გახდა, რომ...***

— ისეთი სახე მიიღო, რომ შიშის ფაქტორში ეს უკვე აღარ შედის. არის ასეთი ციტატა — მეთოდები დაგიძველდა, მურტალოო... იგივეა აქაც, დაუძველდათ ეს მეთოდები და იგი უკვე აღარ არის ეფექტური. საპროტესტო აქციაზე გამოდის ისეთი ასაკის ხალხი და ისეთი კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც ადრე თავში არ მოუვიდოდათ აქციაზე გასვლა.

***— სულ იყო საუბარი სანამ სახალხო კრება აქციებს დაიწყებდა, რომ ხელისუფლება ვეღარ გაბედავდა 7 ნოემბრის გამეორებას, თუმცა ვნახეთ, რომ მან უარესიც კი გაბედა...***

— არასოდეს არ უნდა დავკარგოთ მოვლენების ობიექტურად შეფასების უნარი. 7 ნოემბერს ძალიან სასტიკი დარბევა იყო და ამას მოჰყვა გაცილებით უფრო მძიმე დაზიანებები, ვიდრე ჩვენ მანამდე გაგვიგია. მაშინ პირველად გამოიყენეს სრულიად უკანონო რეზინის ტყვიები, გამოიყენეს აკუსტიკური იარაღი და ამის გარდა შეიჭრნენ „იმედში“, დალეწეს ყველაფერი და ძირს დააწვინეს ჟურნალისტები. რასაც ჩვენ ჩვენი თვალით ვხედავდით 26-ის ჩანაწერებში, იგივე ხდებოდა „იმედის“ შენობაში. გაზიც იყო გამოყენებული და ასე შემდეგ. შემდეგ ჭკუა ისწავლეს, იმიტომ, რომ მკვეთრად უარყოფითი შეფასებები მოჰყვა ამ ყველაფერს, მაგრამ იმის გამო, რომ მობილიზებული ჰყავდათ არა მარტო ის „სპეციალისტები“, ვინც მუშაობს მიტინგების დაშლაზე, არამედ სხვებიც. როგორც ჩანს, ინსტრუქციები ჰქონდათ მიცემული ისეთი, რომ არ დაზოგოთ არავინ და ყველა სამაგალითოდ დასაჯეთ, ამ დროს ადამიანი, რომელიც არ არის სპეციალისტი, ის ვერ მოზომავს ამას. ეს სპეციალური შენაერთებია, რომელიც აღჭურვილი და გაწვრთნილია იმისათვის, რომ დაშალოს ხალხის მასა. ამიტომ იქ იყვნენ ისეთებიც, ვინც ეს იცის და იყო კიდევ დამატებითი კონტინგენტი, რომელიც აზრზე არ არის შეკრებილ ხალხის მასას ან რა ენაზე უნდა ელაპარაკოს, ან როგორ უნდა მოეპყრას. ამიტომ დადგა ეს შედეგები. ამას ემატება კიდევ ის, რომ ძალიან მოსუქდა ჩვენი პოლიცია თუ შეატყვეთ, კარგი პირობები აქვს, კარგი ხელფასები, კარგი სოციალური მდგომარეობა შეიქმნეს, პრემიებსაც იღებენ, როგორც ამბობენ და იმის გამო, რომ ეს თავისი ლუკმა-პურის ფული არ დაკარგონ, ამისთვის მიდიან საკუთარ თანამოძმეზე სრულიად დაუნდობლად. ეს სხვა ჯიში გამოვიდა ადამიანების, რომლებიც ერთი სისტემის შიგნით (მხედველობაში მაქვს პოლიცია-უშიშროება), კარგად არიან მოწყობილები, კარგი პირობები აქვთ შექმნილი და იცავენ საკუთარ კეთილდღეობას.



***— რამდენად შედეგიანი იქნება სამოქალაქო საზოგადოების გამოსვლები?***

— ამას ექნება შედეგი. ჯერ ერთი, მარტო საქართველოს დასანახად არ კეთდება ეს ხომ? როდესაც ჩვენი მეგობარი ან არამეგობარი ქვეყნები ხედავენ, რომ ხალხი არ ეგუება ამ რეჟიმს, მათი დამოკიდებულებაც შეიცვლება ამ რეჟიმის მიმართ, ეს არის გარდაუვალი. წვეთი წყლის პრინციპით უნდა იმოქმედოს ხალხმა და არა რაღაცა გამოცხადებული რევოლუციების და ანონსების მიხედვით.

***— 7 ნოებრის შემდეგ საზოგადოებას სერიოზული დეპრესია ჰქონდა, ამას მოჰყვა სააკაშვილის მეორედ გაპრეზიდენტება, იმედია იგივე არ დაგვემართება...***

— ახლა აღარ არის 2007 წელი. თითქოს ოთხი წელი არაფერია, მაგრამ ოთხ წელს აქვს მნიშვნელობა. თანამედროვე მსოფლიოში პროცესები მიდის ძალიან სწრაფად.

***— ხელისუფლებამ აჩვენა თავისი ნამდვილი სახე და ალბათ საზოგადოებაც გამოიღვიძებს...***

— საზოგადოება კარგა ხნის გამოღვიძებულია, თუ საზოგადოებაში არ ვიგულისხმებთ გიგა ნასარიძეს, მიშა თავხელიძეს. ისე გამოდის ხოლმე, რომ მარგინალური ადამიანები, რომლებიც ყველაფერში მხარს უჭერენ ამ ხელისუფლებას და მზად არიან ყველაფერი გაამართლონ, რატომღაც ითვლებიან საზოგადოების ნაწილად და ისინი არიან მარგინალები, არავითარ საზოგადოებას ისინი არ წარმოადგენენ. წარმოადგენენ ვიწრო ჯგუფს, რომელთა აზრს საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერ გაიზიარებს.

***— ამ აქციებზე ხალხს არ სჭირდება ლიდერი?***

— მე არ მგონია, რომ ასეთ საპროტესტო აქციებს ლიდერი სჭირდებოდეს. იქ ყოველთვის არიან შედარებით აქტიური ადამიანები, რომლებიც უფრო მეტს აკეთებენ ხალხის ორგანიზების პროცესში, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური პარტია, რომ მას სჭირდებოდეს ლიდერი. იქ არიან აქტივისტები, რომლებიც ბრძოლაში გამოიწვრთნენ უკვე და არა მგონია, აქ ერთი ლიდერის გამოკვეთის აუცილებლობა იყოს. ყოველ შემთხვევაში პროცესი გვაჩვენებს.

# ოპოზიცია გვერდში „სახალხო კრებას“ კი არა, ხალხს უნდა დასდგომოდა!

**26 მაისს მომხდარი ტრაგიკული მოვლენები კიდევ დიდხანს იქნება განსჯის საგანი. კიდევ ბევრი შეფასება და ბევრი კომენტარი გაკეთდება იმ საშინელებაზე, რომელიც პარლამენტის წინ დატრიალდა.**

**ამ მოვლენების მონაწილე იყო მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი. როგორც თავად ამბობს, მან იქ საშინელებები ნახა და ვერც კი წარმოედგინა, თუ საქართველოში ასეთი რამე მოხდებოდა.**

**რა ხდებოდა რუსთაველის გამზირზე, როგორ უსწორდებოდნენ დაკავებულებს სპეცრაზმელები, არიან თუ არა უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები სახალხო კრებაში, რატომ არ უნდა ჩაებარებინა აღლუმი მიხეილ სააკაშვილს, ამ თემებზე თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

## აქციის დარბევის შემდეგ ალასანიამ სატელეფონო ზარს არ უპასუხა

თეა მარხვაი ე

***— 21 მაისიდან 25 მაისამდე სახალხო კრება აქციებს კოსტავას გამზირზე ატარებდით. 25 მაისს როცა თქვენი აქცია სანქცირებული აღარ იყო, გადაწყვიტეთ, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია დაგეკავებინათ. ეს არ იყო პროვოკაცია? ხელისუფლება მიიჩნევს, რომ თქვენ შეგნებულად წახვედით პროვოკაციაზე.***

— მე არ ვიცი, რას ნიშნავს პროვოკაცია. თანაც გააჩნია, რომელი პიროვნება იტყვის ამას. ამის თქმის უფლება ნამდვილად არ აქვს იმ პიროვნებას, რომელიც არასანქცირებული მიტინგებით მოვიდა ხელისუფლებაში. ეს ის პიროვნებაა, რომელიც პარლამენტში შეიჭრა და გადატრიალება მოახდინა. ამ პიროვნების მხრიდან არასანქცირებულ მიტინგზე საუბარი არის სასაცილო. დამისახელოს ვინმემ ღონისძიება, რომელიც გაპრეზიდენტებამდე სააკაშვილს სანქცირებულად აქვს ჩატარებული. ჩვენ აქციების ჩატარებაზე განაცხადი მაისის ბოლომდე შევიტანეთ. მათ მხოლოდ 25 მაისამდე მოგვცეს აქციების ჩატარებაზე ნებართვა. იმიტომ, რომ 26 მაისს აღლუმის გამართვას აპირებდნენ. ჩვენ კი არ გვინდოდა, რომ ეს აღლუმი მიხეილ სააკაშვილს მიეღო. დღესაც მწამს და დღესაც გავიმეორებ, რომ არ შეიძლება სააკაშვილმა ჩაიბაროს აღლუმი. ეს ის ადამიანია, რომელიც გორში მიწაზე ფორთხავდა. ეს მთელმა მსოფლიომ ნახა. ამიტომ ჩვენ ვთქვით, რომ აღლუმის ჩატარებას ხელს არ შევუშლიდით, ოღონდ სააკაშვილს არ მივცემდით მისი მიღების საშუალებას.

***— აბა, ვის უნდა მიეღო აღლუმი?***

— ხალხს უნდა ჩაებარებინა ეს აღლუმი. როგორ შეიძლება იმ მხედართმთავარმა ჩაიბაროს აღლუმი, რომელმაც არაკაცობის და სიმხდალის მაგალითი გამოავლინა. სხვა მოთხოვნა არ გვქონია. ჩვენ არ გვინდოდა ტანკები. რუსეთის გარდა რომელ ქვეყანაში ტარდება აღლუმი ტანკებით? ძალიან ბევრ ქვეყანაში დავსწრებივარ, მაგრამ არსად ტანკი არ არის. ჩვენ ყველას ვთავაზობდით მოსულიყვნენ და დაგვეწყო სახალხო ზეიმი. 26 მაისი არის იმ დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, რომელიც დავკარგეთ 1921 წელს. ის აღვადგინეთ 1989 წლის 9 აპრილს.

***— ამით რისი თქმა გინდათ?***

— დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წელი რომ შესრულდა, საქართველოში არავითარი ღონისძიება არ ჩატარებულა. არავის არ გახსენებია ეს თარიღი.

***— როგორ არ გახსენებიათ, მთელი რიგი ღონისძიებები გაიმართა.***

— აღნიშნეს 9 აპრილი, ოღონდ როგორ ტრაგიკული დღე. თითქმის არავის უხსენებია, რომ 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენიდან 20 წელი გავიდა. იქნებ ამათთვის საბჭოთა კავშირიდან დახსნა არ იყო ღირებული თარიღი. საქართველოს პრეზიდენტი საერთოდ არ გამოჩენილა იმ დღეს თბილისში. არც კი გახსენებია დამოუკიდებლობის დღე. როგორც კი ჩვენ ვთქვით, რომ 21 მაისიდან ვიწყებდით აქციებს ხელისუფლებამ მაშინ გადაწყვიტა სათანადოდ აღენიშნა 26 მაისი. დარწმუნებული ვარ, რომ აღლუმის ჩატარებაზე ჩვენი განცხადების გამო არ თქვეს უარი.

***— აღლუმი შარშან 26 მაისსაც ჩატარდა.***

— გასაგებია. შარშან 9 აპრილი სხვანაირად აღნიშნა ხელისუფლებამ. წელს კი აბსოლუტურად გაუგებარი სიჩუმეა და სიწყნარეა წავიდა. თითქოს 1991 წლის 9 აპრილს არაფერი არ ყოფილა. 9 აპრილი ვახსენეთ, გავიხსენოთ, რატომ დაარბიეს 1989 წელს აქცია, არასანქცირებული იყოო, თქვეს, საბჭოთა ხელისუფლებამ და როდიონოვმა. რატომ დაარბიეს 2011 წლის 26 მაისს აქცია, არასანქცირებული იყოო, თქვეს სააკაშვილმა და მისმა ჯალათებმა. განსხვავება რა არის? საქართველოს დამოუკიდებლობის დღე რომ დადგა, ჩვენ დავიწყეთ დღესასწაული. ვთქვით, ყველანი დავდგეთ რუსთაველზე. ვამბობდით, ერთხელ მაინც გაერთიანდეს საზოგადოება. ყველამ ვთქვით, იყოს აღლუმი, ოღონდ არა ტანკებით. ჩვენ არ გვინდოდა, რომ 26 მაისი მარტო ერთი კაცის, მიხეილ სააკაშვილის დღესასწაული ყოფილიყო.

***— მოდით 26 მაისის დარბევაზე ვისაუბროთ. აქციის ორგანიზატორებმა ხომ კარგად იცოდით, რომ ხელისუფლება ამას არ შეეგუებოდა და დაგშლიდათ.***

— ჩვენ აქ შეცდომა დავუშვით. რადგანაც გვეგონა, რომ დაშლა იქნებოდა. ჩვენ განვიხილავდით 3 ვარიანტს. ეს იყო: დაშლა, დარბევა და სააკაშვილის მხრიდან გადაწყვეტილების შეცვლა. ვვარაუდობდით, ის გამოვიდოდა ტელევიზიით და იტყოდა: „უნდა დამთავრდეს დაპირისპირება. ჩვენზე იტყოდა, ისინი არასწორად იქცევიან, მაგრამ მე არ მივდივარ დაპირისპირებაზე. მე ვაგებ პასუხს მთელს საქართველოზე მათ შორის იმათზე, ვისაც მოვწონვარ და ვისაც არ მოვწონვარ. მე გადამაქვს აღლუმი სხვაგან. რუსთაველზე კი სახალხო სეირნობა გაიმართოს“. ეს რომ გაეკეთებინა, დიდი შერიგება მოხდებოდა. ვთქვით, რომ დაშლას გააკეთებს არასრულყოფილი პოლიტიკოსი, დარბევას — გიჟი, ჭკვიანი კი ერის შესარიგებლად დათმობაზე წავიდოდა.

***— მაინც რომელს უფრო ელოდით?***

— ჩვენ ვიცოდით, რომ ჭკვიანურ ნაბიჯს არ გადადგამდა. მაგრამ არც გიჟად არ ვთვლიდით. მე მაშინ ვთქვი, სააკაშვილი თუ ქართველია ახლა გაიზომება-მეთქი. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ გვეგონა დაშლაზე წავიდოდა. ეჭვი გვქონდა, რომ ქართველთ მოძულე იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კაცთმოძულეც ყოფილა. მიზანთროპის გარდა, იმას არავინ მოაწყობდა, რაც 26 მაისს მოხდა. ეს იყო საშინელება. ამ ყველაფრის მონაწილე მე ვიყავი, მაგრამ მაინც არ მჯერა, რომ ეს სინამდვილეში მოხდა. მგონია, რომ სიზმარია.

***— როდის შეიტყვეთ, რომ ალყაში იყავით? და შეიძლებოდა თუ არა მოესწრო ხალხს დარბევამდე იქაურობის დატოვება?***

— წესის მოხედვით, სანამ დაშლა დაიწყება აქციის მონაწილეებს გაფრთხილებას აძლევენ. გაფრთხილება ნახევარი საათით ადრე მაინც უნდა მოეცათ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ასეც იქნებოდა.

***— დრო რომ მოეცათ, დაიშლებოდით?***

— მოვიწვევდით ტელევიზიებს. გადავაღებინებდითგ, რამხელა ძალა იდგა ჩვენს პირისპირ. ამის შემდეგ გავაკეთებდით ბრიფინგს და ავხსნიდით, რატომაც ვუშვებდით ხალხს. ჩვენთან შეტყობინება დარბევამდე რამდენიმე წუთით ადრე მოიტანეს. იმ პიროვნებამ არც კი მოგვილოცა დამოუკიდებლობის დღე. ჩვენ მივულოცეთ დამოუკიდებლობის დღე და პოზიციებიც გავაცანით. ის კაცი ჯერ ისევ სცენაზე იყო, როცა ჩვენკენ დაიძრა სპეცრაზმი. ჯერ გაზი გაუშვეს. არ ვიცოდი, გაზი თუ სხვა საშინელი იყო. ვინც დაუშვა ამის გამოყენება... ეს არის საშინელი. დღესაც არ ვიცი, სცენიდან როგორ ჩამოვედი. ადამიანები ვიყავით ერთმანეთზე. გადმოვარდით. ყველანი ვიყავით შეშინებულები და ამ მანქანას ირგვლივ. გადაიარეს ჩემზე ბევრმა. ეს. იციდით ეს. უხეროდ, თავში გვირტყამდნენ. დღეს გიბუბა ანდავარი თუ არსებობდა არ ვიცოდი. იდეოლოგიურად იყვნენ მომზადებულები. პუტინის კაცებოო, გვეძახდნენ. არადა, პუტინის მეგობარი არის სააკაშვილი. ჩააბარა მთელი საქართველო რუსეთს. ფეხზე ძლივს წამოვდექით. კინოთეატრ „რუსთაველის“ კარი ღია იყო. კი ვიცოდით, რომ ციხეში გვიშვებდნენ, მაგრამ ეს გუანტანამო აღმოჩნდა. „რუსთაველში“ ათასამდე ადამიანი ვიყავით. იქ ბევრი ნაცნობი ვნახე. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. ზედ რომ გადაგვიარეს, ძვალი მქონდა გაბზარული ხელზე. ვიღაცები ხელს მიხვევდნენ. ყველანი გადაღლილები ვიყავით. სხვადასხვა დარბაზებში დავსხედით. ჩემთან ერთად 20-30 კაცი იყო. შუქის ანთება არ ვიცოდით. ბნელ დარბაზში ვისხედით. უცბად შემოვარდნენ საშინელი გინებითა და ხმაურით. მივხვდი, რომ მძიმედ არის მდგომარეობა. ლიდერებიდან იქ მხოლოდ მე ვიყავი. ავდექი და მივედი მათთან. მაშინვე მიცნეს. კაცმა, რომელიც ამ შემოვარდნილებს ხელმძღვანელობდა, უთხრა, ხელი არ დაარტყათ და ქვევით ჩაიყვანეთო. მეგონა, რომ აზრზე არიან მოსული. თურმე სადა ხარ... ქვემოთ ჩაცილება დაჭერას ნიშნავს. არც ამ კაცის ბრძანება ნიშნავდა რამეს. ცემა დამიწყეს. სულ თავში მირტყამდნენ. გავითიშე, კიბეზე როგორ ჩამოვედი, არ ვიცი. თავი გამისკდა და სისხლი წამომივიდა თქეშით. ქვევით რომ ჩამოვედი, გადავირიე. ადამიანები იატაკზე ერთმანეთზე ეყარნენ. მხეცებივით იქცეოდნენ, თუმცა ყველანი არა. ერთ-ერთმა პოლიციელმა მითხრა, ვინც ასე სასტიკად იქცევა, ვანოს ხალხიაო. დანარჩენები შედარებით ადამიანურად იქცეოდნენ. კინოთეატრში ბევრი მომხვდა. ამათ ვიღაცას დაურეკეს და ჩემზე უთხრეს, აქ გვყავსო. იქიდან მიიღეს ბრძანება, რომ მეტროს წინ მივეყვანე. იქ რაღაცა მანქანა უნდა მოსულიყო ჩემ წასაყვანად. სანამ მეტრომდე მივიდოდით, კიდევ ბევჯერ მომხვდა. ორ პოლიციელს მივყავდი. სისხლი თქეშით მომდიოდა. ვუთხარი, სისხლისგან ვიცლები-მეთქი. ცოტა ხნით სკამზე დამსვეს. ის მანქანა არ მოვიდა. ისევ უკან წამომიყვანეს. შევედით კინოთეატრში, იქ ისევ საშინელებები ხდებოდა. ლუკა კურტანიძემ და სოსო ჯაჭვლიანმა საოცარი ვაჟკაცობა გამოიჩინეს. 20 სპეცრაზმელს უწევდა თითოეული მათგანი წინააღმდეგობას. სანამ ხელბორკილები არ დამადეს, ვერაფერი ვერ მოუხერხეს. იქ ადამიანებს საშინელ სცემდნენ. გაოგნებული ვიყავი. თან ყვიროდნენ, უნდა გავაუპატიუროთო. კაცებს ასე. საქართველოს პოლიციაში არის საშინელი მდგომარეობა. პოლიციაზე კარგს ხომ არავინ აღარ იტყვის. მე რომ მოთხრას პოლიციაზე კარგი, არ დავუჯერებ.

***— თუმცა ზემოთ თქვით, რომ ადამიანურად იქცეოდნენ.***

— ამას მიუხედავად არ დავიჯერებ. იქ ისეთი რამეები ვნახე, გადარეული ვარ. დღესაც მგონია, რომ ეს საშინელი სიზმარი იყო. „რუსთაველში“ კიდევ მომხვდა. მერე ისევ გარეთ გამოიყვანეს. ისევ რაღაცა მანქანას ველოდებოდით. მანქანა არ მოვიდა. ამასობაში დაურეკეს და უთხრეს, ზონიდან გაიყვანეთო. ფეხით წავედით. აზრზე რომ მოვედი, გრიგოლ აბაშიძის ქუჩაზე ვეგდე ეკლესიის წინ. ეტყობა გული წამივიდა, ამათ მკვდარი ვეგონე და თავი დამანებეს. თავსხმა წვიმა იყო. დავიწყე ჩვენებთან რეკვა. ნონამ ვერ მიპასუხა. დავურეკე ნინო ბურჯანაძეს. ვუთხარი კატასტროფულ მდგომარეობაშია ხალხი, შევიკრიბოთ და მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ, რაც მოხდა. მინდოდა საელჩოებში მივსულიყავით ასეთ მდგომარეობაში. ამის შემდეგ დავურეკე ტაქსის. მითხრა, მაგ ზონაში ვერ შემოვალო. ფეხით ვერ გავიდოდი, თან ძალიან ცუდად ვიყავი, თან იმათ ჰქონდათ იქაურობა გადაკეტილი. ჩემს მეგობარს დავუკავშირდი და მოსვლა ვთხოვე. მოვიდა, უკანა სიდენიებზე დავწექი. საავადმყოფოში უნდა წავეყვანე. მე უარი ვთქვი, ვუთხარი, ჯერ სახალხო კრების ოფისში მიმიყვანე-მეთქი.

***— იქ რა გინდოდათ?***

— ნინოს შევუთანხმდი, რომ იქ ჩავატარებდით ბრიფინგს. სანამ იქ მივიდოდი, მანქანიდან დავურეკე ირაკლი ალასანიას. ყურმილი არ აიღო. ზურაბ აბაშიძეს და ეკა ბესელიას ვუთხარი, რაც ხდებოდა. ნანა კაკაბაძის ტელეფონი სულ დაკავებული იყო. გელა ნიკოლეიშვილი თურმე დაკავებული იყო და როგორ მიპასუხებდა. როგორც იქნა, მივედით კრების ოფისში. იქ ძალიან ცუდად გავხდი. სასწრაფო გამოვიძახეთ. აღმომიჩინეს პირველადი დახმარება. სტაციონარში მიპირებდნენ გადაყვანას, მაგრამ არ გავყევი. ნინოს ველოდი. ნინომ პარტიის ოფისში ჩაატარა თურმე ბრიფინგი. იქ ვიყავი, როცა სპეცრაზმი შემოვარდა. ისევ გინება დაიწყეს. მერე დაიწყეს ოფისის ჩხრეკა. ჩემთან რამდენიმე ადამიანი დარჩა. სხვათა შორის, ნორმალური ადამიანები იყვნენ. ერთმა მითხრა, დედაჩემი შენი გულშემატკივარიაო. სხვებმა დაამატეს, რატომ უპირისპირდები სააკაშვილს, იქნებ საერთო ენა გამოგენახათო. ნორმალურად საუბრობდნენ. დანარჩენები კი ველურებივით იქცეოდნენ. შემოიხედავდა ჟანდარმი და უყვიროდა, ნუ უსმენთ ამის დემაგოგიასო. სისხლისგან ვიცლებოდი. ამათ ვუთხარი გამომიშვით მეთქი. არ გამიშვეს, ვერაფერი ვერ ვქენი. იქ სისხლში მიმატარეს, სანამ ჩხრეკა არ დამთავრდება, აქ უნდა იყოო. სინამდვილეში კი სხვა მიზეზი იყო.

***— რა მიზეზი?***

— ინტერნეტ-ტელევიზია „თეთრებზე“ გადიოდა ტიტრები, რომ მე იქ მაქვს გავაცეთებული განცხადებაში. ეს ამათ იცოდნენ და შეგნებულად არ გამიშვეს დილის რვა საათამდე. იქ რომ მივედი, ხალხი გადარეული დამხვდა. შევედი ტელევიზიაში, განცხადების გაკეთება უნდა დამეწყო, მაგრამ შუქი გამორთეს. არადა, არ მოვიდა სინათლე. სახლში შემისვლა გადავწყვიტე. ჩემმა მეგობარმა წამომიყვანა. კონსპირაციისთვის ვცხოვრობ, რომ ამ დილით ძლივს მივაღწიე სახლამდე. ყველაფერი გადაკეტილი იყო. იმიტომ, რომ რუსთაველზე სააკაშვილისთვის ზეიმი ეწყობოდა. მე მადლობა მინდა ვუთხრა რეზო გაბრიაძეს, რომელიც იმ დღეს იქ არ მივიდა ღირსების მედლის ასაღებად. რა ვუთხარი იმ ინტელიგენციას, ვინც იმ დღეს იქ იდგა. იმ დღეს იქ დგომა არ შეიძლებოდა. იმ დღეს სააკაშვილმა საკუთარ მოქალაქეებს ბართლომეს ღამე მოუწყო. დაღუპულთა შორის აღმოაჩინეს სულიკო ასათიანი, რომელიც ჩვენი პარტიის წევრობას აპირებდა. ამათ ადამიანები დახოცეს.

***— ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას ხელისუფლება ბურჯანაძე-ბიწაძესაც აბრალებენ. ამტკიცებენ, რომ მათმა ესკორტმა პოლიციელის სიცოცხლე იმსხვერპლა.***

— ადამიანი, რომელიც მკვდრად გამოაცხადეს, ცოცხალი აღმოჩნდა. რაც შეეხება კორტეჟს, ამ კორტეჟში 5 მანქანა იყო. როგორ შეიძლებოდა მეხუთე მანქანა დასტაკებოდა ვინმეს, რომელსაც არ გადაუხვევია. აქ ერთადერთი ახსნაა, ის ადამიანი მანქანას შეუგდეს. ინფორმაცია პოლიციელის სიკვდილის შესახებ შეგნებულად და სასწრაფოდ გაავრცელეს,

***— შეგნებულად რატომ?***

— უნდოდათ სამართალდამცავები გაგიჟებულიყვნენ და კიდევ უფრო სასტიკად გასწორებოდნენ ადამიანებს. 26 მაისს სააკაშვილმა ხალხი ცემით ჩაახოცვინა, ზოგიერთი გამოდის და ამბობს, რომ ეს უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ბრალიაო.

***— მხედველობაში ირაკლი ალასანიას განცხადება გაქვთ?***

— დიახ, მის განცხადებაზე ვსაუბრობ. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ირაკლი ალასანია იტყოდა, რომ უპასუხისმიგებლო პოლიტიკოსების ბრალიაო. დიდი მადლობა ირაკლი ალასანიას ამ შეფასებისთვის. დიდი მადლობა იმისთვის, რომ ჩემს სატელეფონო ზარს არ უპასუხა. დიდი მადლობა იმისთვის, რომ ხალხის გვერდზე არ მოისურვა დადგომა. ასეთი მადლობები სხვებსაც ეკუთვნით. მათ შორის ქართულ პარტიასაც.

***— იმათ რატომ?***

— ქართულმა პარტიამ, უფრო ზუსტად, ირაკლი ოქრუაშვილმა თავისი განცხადებებით სახალხო კრებას ლახვარი ჩასცა. მისი წყალობით, სახალხო კრება რუსულ ვარიანტად გამოაცხადეს. ასევე დიდი მადლობა იმათ, ვინც 25 ნოემბერს ჩვენ გვერდით იდგა და ზურგი გვაქცია. არ გვეგონა თუ ასე მალე შეიცვლიდნენ პოზიციას. არა უშავს, ვიღაცებს ახასიათებთ თავიანთი სიტყვების უკან წაღება. გასაგებია, რომ მათ არ მოსწონთ ან თემურ შაშიაშვილი, ან ნინო ბურჯანაძე. მაგრამ ჩვენ გვერდით დადგომას მათ არავინ სთხოვდა. ისინი ხალხს უნდა დასდგომოდნენ გვერდით. ხალხს, რომელიც კაცთმოძულე სააკაშვილმა სასიკვდილოდ გაიმეტა. ესენი სკამის პოლიტიკოსები ყოფილან. არა უშავს, ისტორია ყველას და ყველაფერს მისცემს შეფასებას. არც ეს 26 მაისი ჩაივლის ასე. შედეგი აუცილებლად იქნება.

***— რა იქნება შედეგი?***

— 1989 წლის 9 აპრილმა კომუნისტურ რეჟიმს გაუთხარა სამარე. როგორც 9 აპრილმა ჩაასვენა ის რეჟიმი მალე სამარეში, ასევე უზამს 2011 წლის 26 მაისი ამ რეჟიმს. ეს აუცილებლად მოხდება. ახლა მთავარია ყველანი შევთანხმდეთ. მთელი ერი ერთად უნდა დავდგეთ, რომ ეს ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალოს. სახალხო კრებას ეს მიზანი ჰქონდა. ოღონდ მარტო მოლაპარაკება შედეგს ვერ გამოიტანს. აქ მოლაპარაკება და აქციები ერთად უნდა იყოს. როგორც ეროვნული მოძრაობის დროს.

***— და მაინც აღიარებთ თუ არა, რომ თქვენ უპასუხისმგებლო ნაბიჯი გადადგით, როცა პარლამენტის შენობის წინ გადაწყვიტეთ აქციის გამართვა?***

— ეს იყო ვაჟკაცური ნაბიჯი. მე უკვე გითხარით, რატომაც გადავდგით ასეთი ნაბიჯი. ჩვენ ამით მთელ მსოფლიოს დავანახვეთ, რომ საქართველოში არის ხალხი, ვისაც არ უნდა, რომ მიწაზე მფორთხავმა პრეზიდენტმა აღლუმი ჩაიბაროს.

***— თუმცა ამ ნაბიჯს ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა?***

— ადამიანებს სააკაშვილის რეჟიმი ხოცავს. სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობის გენოციდს ახდენს. ჩვენ ამ გენოციდის შეჩერება გვინდა. ჩვენ ამას აუცილებლად შევძლებთ.



# „რაგატკებით“ რევოლუციის მოწყობა სასაცილოა



პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი „სახალხო კრების“ „შეფიცულების“ ერთ-ერთ ლიდერ გია უჩავას აღიარებით ჩვენებას არასერიოზულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ სამართალდამცველებმა ყოფილი გენერალი „დაინდეს“, თორემ იგი რაგატკებზე და ჯოხებზე შორსაც წავიდოდა.

როგორც ცისკარიშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, რასაც უჩავა ამბობს, სიმართლე რომ იყოს და „სახალხო კრებას“ რაგატკებით რევოლუციის განხორციელების ალბათობა მართლაც განეხილა, აქციის დარბევის შედეგად დაკავებული ადამიანები არა პოლიციის სამმართველოში, არამედ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გადაეყვანათ.

— როგორც ჩანს, სამართალდამცველებმა დაინდეს ამ ყველაფრის „ამღიარებელი“. მათთვის ჩვეული არსენალი სრულად არ იქნა გამოყენებული, თორემ ჩვენ მოწმენი ვიქნებოდით აღიარებითი ჩვენებისა, რომ რევოლუციის დაგეგმვისას „სახალხო კრების“ მიერ მობილიზებული იყო ჰაუბიცები, შვეულმფრენები და რაკეტები „მიწა-მიწა“. ძნელი დასაჯერებელია, რომ რაგატკებით ვინმე რევოლუციას და სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა, მაშინ გამოდის, რომ ეს ხალხი პოლიციის განყოფილებაში იმიტომ მოხვდა, რომ ასათიანის ქუჩაზე ფსიქიატრიული საავადმყოფო უკვე გაყიდულია და იქ ვერავინ მიიყვანეს. არასერიოზულია მსჯელობა იმაზე, რომ რაგატკებით, რომლის გამოყენებაზეც ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე უარს ამბობდა საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ვინმე სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა, — განაცხადა პოლიტოლოგმა.

**მედიანიუსი**

# დავით დარჩიაშვილი: პოლიციის მიერ ხელის ზედმეტად მოქნევა-არმოქნევა მეორეხარისხოვანია



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით დარჩიაშვილი არ ეთანხმება „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალსანიას ინიციატივას, რომელიც 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას შეეხება.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას დარჩიაშვილმა განაცხადა, აღნიშნული საქმე სამართალდამცავი ორგანოების და სახალხო დამცველის კომპეტენციაა.

— ამიტომ არაფრის მომცემი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა საჭიროდ არ მიმაჩნია. ამასთან ვთვლი, რომ ოპოზიცია 26 მაისის ინციდენტის არადეკვატურ შეფასებას ახდენს და არასწორ აქცენტს აკეთებს, —აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა.

„მედიანიუსის“ კითხვაზე , არასწორ აქცენტებში იმას ხომ არ გულისხმობს, რომ ოპოზიცია სამი მომიტინგის დაღუპვის გამოძიებას ითხოვს და მათ დაღუპვის მიზეზად პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებას ასახელებს?, —დარჩიაშვილმა განაცხადა, რომ იმ მომენტში ყველაზე მთავარი ეროვნული უსაფრთხოების დაცვა იყო და პოლიციის მიერ ხელის ზედმეტად მოქნევა-არ მოქნევა მეორეხარისხოვანია.

— არასწორ აქცენტებში ვგულისხმობ იმას, რომ აქცენტები კეთდება კონკრეტული პოლიციელების ქმედებებზე და არა ეროვნულ უსაფრთხოებაზე, იმაზე, თუ აქციის ორგანიზატორების მხრიდან ქვეყანას რა საფრთხე ელოდა. არადა, მთავარი იყო ეროვნული უსაფრთხოება , ქვეყნის წინააღმდეგ არსებული შეთქმულება და ძალადობა, რომელიც იარაღად აიღეს და ტაქტიკად აირჩიეს იმ ადამიანებმა, ვინც ამ აქციას მართავდა, — აღნიშნა დარჩიაშვილმა

მისი თქმით, თუ ვინმემ ძალას გადაამეტა, ამას სამართალდამცავი ორგანოები გამოძიებენ და შესაბამის ზომებს მიიღებენ.

— მთლიანობაში ოპერაცია იყო ლეგიტიმური, მაგრამ ცალკეული შემთხვევებში იყო მართლაც ძალის გადამეტება. ეს კადრებიდანაც გამოჩნდა. ბუნებრივია, პასუხისმგებლობას ამაზე არავინ გაურბის, ვგულისხმობ ძალის გადამეტებას. თუ გგონიათ, რომ ძალადობის წინააღმდეგ პოლიცია როდესაც მოქმედებს და იქ იუველირული საზომებით ვილაც ცდილობს გაზომოს, ხელი როგორ და რანაირად უნდა მოქნეულიყო? ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ნიშნავს ადამიანის გადასახლებას? პასუხისმგებლობა ნიშნავს ადამიანისთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობით გათვალისწინებული სანქციების გატარებას. დისიპლინარული პასუხისმგებლობა ნამდვილად იყო 2009-შიც და მანამდეც. ძალიან ბევრჯერ იყო ასეთი შემთხვევაში. ამას წინათ იუთუბზე ტრიალებდა ორი პოლიციელის არასამართლებრივი ქცევა მოქალაქის მიმართ და დიდი ხანია, ეს ორი პოლიციელი დასჯილია. ვისაც ამის არ სჯერა და ეჩვენება, რომ საპარლამენტო კომისიის არშექმნის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირები არ დაისჯებიან, როგორც უნდა ისე ეჩვენებოდეს, — განაცხადა „მედიანიუსთან საუბრისას დარჩიაშვილმა.

მისი თქმით, 26 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით ძალის გადამეტების ერთი კადრი ახსენდება, როდესაც ხელებაწეული ადამიანს პოლიციელი ურტყამს ხელკეტს, მაგრამ იქ არ ჩანს, ის ხელებაწეული ადამიანი მანამდე რას აკეთებდა,

— არ არის გამორიცხული, რომ იმ პოლიციელსაც ნერვებმა უმტყუნა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი გამოკვლეული იქნება, — განუცხადა „მედიანიუსს“ დარჩიაშვილმა.

**მედიანიუსი**

# სერგეი ბაღაფში გარდაიცვალა

## აფხაზეთი ახალ პრეზიდენტს სამ თვეში აირჩევს

თეა მარხვაი ე

**მოსკოვში აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში გარდაიცვალა. რუსეთის დედაქალაქში ის სამი კვირის წინ სამკურნალოდ ჩავიდა. ერთი კვირის წინ მას ფილტვზე სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების განცხადებით, ოპერაციამ ნორმალურად ჩაიარა.**

**ექიმებმა ვერ თქვეს, ზუსტად რამდენ ხანში შეძლებდა ბაღაფში ფეხზე დადგომას. ამიტომაც ბაღაფშმა ალექსანდრ ანქვაბს სთხოვა, პრეზიდენტის უფლებამოსილება შეესრულებინა.**

24 მაისს რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ბაღაფშის მდგომარეობა გაუარესდა. მათი მტკიცებით, აფხაზეთის პრეზიდენტი სასუნთქ აპარატზე იყო მიერთებული. ეს ინფორმაცია, არც აფხაზეთის ხელისუფლებამ და არც ბაღაფშის ახლობლებმა არ დაადასტურეს. კომენტარების ღიად გაკეთებას ექიმებიც ერიდებოდნენ.

26 მაისს, კი ინტერნეტ-გვერდებზე გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზებმა უკვე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დაიწყეს მზადება. გავრცელებული ინფორმაციის თანხმად 25 მაისს ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ ალექსანდრ ანქვაბი და რაულ ხაჯიმბა.

როგორც სოხუმში ამბობდნენ, ორთა თათბირზე ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს განიხილავდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ბაღაფშს თავის მემკვიდრედ ალექსანდრე ანქვაბი სურდა. აფხაზური საზოგადოება კი რაულ ხაჯიმბას უჭერს მხარს.

როგორც ჩანს თათბირის მონაწილეებმა უკვე იცოდნენ, რომ ბაღაფში ვერ გადარჩებოდა. ან თუ გადარჩებოდა ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავის მოვალეობას ველარ შეასრულებდა.

ბაღაფში თავის მოვალეობებს უკვე ველარ შეასრულებს. ის გუშინ მოსკოვის მახლობლად მდებარე საავადმყოფოში გარდაიცვალა. მას სოხუმში ორშაბათს გადაასვენებენ.

როგორც აფხაზური მედია იუწყება აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტს მშობლიურ სოფელში დაკრძალავენ. ბაღაფში წარმოშობით ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერადიდან იყო. მას მეუღლე ორი შვილი და ამდენივე შვილიშვილი დარჩა.

ბაღაფშის გარდაცვალებას უკვე გამოეხმაურნენ რუსეთის და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტები.

როგორც ინტერნეტ-პორტალი „გაზეტა.რუ“ იუწყება რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სერგეი ბაღაფშის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრ ანქვაბს სამძიმრის წერილი გაუგზავნა.

რუსეთის პრეზიდენტმა განსაკუთრებულად აღნიშნა ბაღაფშის პირადი წვლილი „აფხაზეთის დამოუკიდებლობასა და სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში“.

— სერგეი ბაღაფში რუსეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის საიმედო მოკავშირე იყო. იგი ჩვენი ქვეყნების ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის დაუღალავად შრომობდა, — ნათქვამია მედვედევის დაწერილ სამძიმრის წერილში.

ბაღაფშის გარდაცვალებას აფხაზი ხალხისთვის გამოცდად მიიჩნევს ედუარდ კოკოითი. ის გარდაცვლილს ძმასა და მეგობარს უწოდებს.

— ამ მძიმე დროს სამხრეთ ოსეთის ხალხი, მოძმე აფხაზი ხალხის გევრდითაა. ჩვენ ვგლოვობთ მათთან ერთად. დანაკარგი მძიმე და აუნაზღაურებელია. იმედი გვაქვს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება და აფხაზი ხალხი ამ გამოცდის გადალახვას შეძლებს და დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას გააგრძელებს, სწორედ ამის გამო ცხოვრობდა და შრომობდა სერგეი ბაღაფში, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა.

კოკოითის თქმით, ბაღაფშმა საკუთარ ხალხს დამოუკიდებლობა მოუტანა და ის არა მხოლოდ აფხაზი ხალხის, არამედ კავკასიის ხალხთა ლიდერი იყო.

ბაღაფშის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გუშინ აფხაზეთში უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა. სადაც მთელი რიგი საკითხები გადაწყვიტეს. გადაწყდა, რომ აფხაზეთში სამდღიანი გლოვა გამოცხადდება.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრ ანქვაბის განცხადებით, სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს აფხაზეთში გლოვის დღეები გამოცხადდა.

მოსკოვში, კი აფხაზეთის საელჩოში გუშინ სამძიმრის წიგნი გაიხსნა. სადაც ყველა მსურველს შეუძლია თავისი წუხილის დაფიქსირება.

აფხაზეთის საელჩო მარტო სამძიმრის წიგნით არ შემოფარგლულა. შენობაზე აფხაზეთის დროშა დაშვებულია, რომელსაც შავი ლენტი აქვს შემოვლებული.

აფხაზეთში ვადამდელ არჩევნებზე ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდნენ, როცა ბაღაფში ცოცხალი იყო. ახლა ეს უბრალოდ აუცილებელი გახდება. პოლიტიკური ძალები, როგორც ჩანს საარჩევნო მარათონში ძალიან მალე ჩაერთვებიან. აქ საპრეზიდენტო არჩევნები ამ ზაფხულს ჩატარდება.

— კონსტიტუციის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყანაში სამი თვის განმავლობაში უნდა ჩატარდეს, — განაცხადა აფხაზეთის პარლამენტის სპიკერმა ნუგზარ აშუბამ.

სერგეი ბაღაფშმა აფხაზეთის პრეზიდენტად კენჭი პირველად 2004 წელს იყარა. მაშინ მისი უმთავრესი კონკურენტი რაულ ხაჯიმბა იყო. რომელსაც მხარს კრემლი და ვლადისლავ არძინბა უჭერდნენ.

სერგეი ბაღაფშს მხარს მაშინ ჩვენი ხელისუფლებაც უჭერდა. ჩვენებურები ამტკიცებდნენ, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემა მოგვარდებოდა. ამას ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად აცხადებდნენ.

ამ მხარდაჭერამ ბაღაფშის წინააღმდეგ შავი პიარის აგორებას შეუწყო ხელი. ოპონენტებმა ის პროქართულ ძალად მონათლეს. ეს კი აფხაზებისთვის იმაზე უარესია, ვიდრე ქართველებისთვის პრორუსულობა.

თუმცა აფხაზურმა საზოგადოებამ მაშინ პრორუსულ ხაჯიმბას, მაინც ვითომ პროქართული ბაღაფში არჩია. მის გაპრეზიდენტაბას მაშინ დიდი დაპირისპირება მოჰყვა.

კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ღიად თქვა, რომ თუ ბაღაფში გახდებოდა პრეზიდენტი აფხაზ პენსიონერებს



პენსიებს აღარ დაურიგებდა. რუსები იმითაც იმუქრებოდნენ, რომ აფხაზურ ციტრუსს რუსეთში არ შეუშვებდნენ.

ბაღაფშის გაპრეზიდენტების წინააღმდეგი იყო ვლადისლავ არძინბაც. რომელიც აფხაზებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

აფხაზეთი ლამის სამოქალაქო ომამდე მივიდა. პრეზიდენტის გამოსავლენად მეორე ტური დაინიშნა.

პირველი ტური 2004 წლის 4 ოქტომბერს ჩატარდა. 5 ოქტომბერს ცესკომ შედეგები გამოაქვეყნა. პირველ ტურში პირველ ადგილზე ხაჯიმბა გავიდა. მეორე ადგილი კი ბაღაფშმა დაიკავა. თუმცა ეს შედეგები გამარჯვებულის გამოსავლენად საკმარისი არ აღმოჩნდა. დაინიშნა მეორე ტური. რომელიც 2005 წლის 12 იანვარს ჩატარდა. აქ გამარჯვება სერგეი ბაღაფშს დარჩა.

ამას მოსკოვში მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. დათმობაზე წასვლას არც ხაჯიმბას მომხრეები აპირებდნენ. ბოლოს დათმობაზე რუსეთი წავიდა. ოღონდ ერთის პირობით. ისინი ბაღაფშის პრეზიდენტობას იმ შემთხვევაში შეეგუებოდნენ თუ ვიცე-პრეზიდენტი ხაჯიმბა გახდებოდა. ბაღაფშს კი ეს თანამდებობა სტანისლავ ლაკობასთვის ჰქონდა შეთავაზებული.

რუსეთის გადაწყვეტილებით, ხაჯიმბა ძალოვანებს გააკონტროლებდა. ეკონომიკური გუნდი კი ბაღაფშის ფრთის ქვეშ იქნებოდა. რუსეთი ბაღაფს კარგა ხანს არ ენდობოდა.

თუმცა მან ძალიან მალე მოახერხა მოსკოვისთვის ერთგულების დამტკიცება. ის იმაზე პრორუსული აღმოჩნდა ვიდრე ეს ვინმეს წარმოედგინა.

ალბათ ამიტომაც მოუწია ძალიან მალე რაულ ხაჯიმბას თანამდებობის დატოვება. რომელიც ნელ-ნელა ოპოზიციონერი გახდა.

2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ის ბაღაფშს უკვე ოპოზიციის ლიდერის რანგში დაუპირისპირდა. გამარჯვება მაშინაც ბაღაფშს დარჩა.

რამდენიმე კვირის წინ გამოცემა „ნუუნაიასთან“ საუბარში რაულ ხაჯიმბამ ვადამდელ არჩევნებზე გააკეთა მინიშნება. ის ამტკიცებდა, რომ თუ ხელისუფლება არ შეიცვლებოდა აფხაზეთი რუსეთის გუბერნია ან ავტონომია გახდებოდა. მისი თქმით, საჭირო იყო ვადამდელი არჩევნები. იმ დროისათვის ბაღაფშის ავადმყოფობაზე არავინ არ საუბრობდა.

ვადამდელი არჩევნები აფხაზეთში უახლოეს სამ თვეში ჩატარდება. რომელშიც მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს რაულ ხაჯიმბა. პრეზიდენტობისთვის ალექსანდრე ანქვაბიც იბრძოლებს და სერგეი შამბაც. გავრცელებული ინფორმაციით რუსეთი სწორედ ამ უკანასკნელს უჭერს მხარს.

# პარლამენტში „თავისუფლების ქარტიის“ მესამე მოსმენით კენჭისყრა იგეგმება

დამდეგ კვირაში პარლამენტი კანონპროექტ „თავისუფლების ქარტიას“ მესამე მოსმენით უყრის კენჭს. მისი ინიციატორი საპარლამენტო ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე გია თორთლაძეა.

კანონპროექტი ლუსტრაციის კანონსა და პატრიოტის აქტის მსგავს დოკუმენტს აერთიანებს. მისი ძირითადი მუხლები ითვალისწინებს სამართალდამცავი და სახელმწიფო ორგანოების კოორდინაციას ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის, დანაშაულის პრევენციისა და გახსნის მიზნით. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს საქართველოს მთავრობის, ეროვნული ბანკის, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო და საემიგრაციო სამსახურების, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ტერაქტებთან დაკავშირებით დანაშაულის შემცველი და თუ ოპერატიულ სამსახურებში არსებული ინფორმაციის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მიწოდების ვალდებულებას; ქვეყნის საემიგრაციო კონტროლის გაძლიერებასა და ოკუპირებული ტერიტორიების პირობითი საზღვრების მონიტორინგს; საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო საზღვრების, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა და ტვირთების მონიტორინგს და ა.შ.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო გადარიცხვების კონტროლს, ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების რეგისტრაციის, ნებაყოფლობით აღრიცხვისა და რეესტრის წარმოების მიზნით სახელმწიფო კომისიის შექმნას, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ლენინური კომიტეტების ყოფილ წარმოამდგენლებზე თანამდებობრივი შეზღუდვების დაწესებას და ა.შ. ამავე პროექტით, საქართველოში საბჭოთა-ბოლშევიკური სიმბოლიკა კანონით უნდა აიკრძალოს.

კანონპროექტი პარლამენტმა 20 მაისის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განიხილა, მაგრამ მისი კენჭისყრა სარედაქციო შენიშვნების შეტანის შემდეგ, მომდევნო სხდომისათვის გადაიდო.

**მედიანიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

შედით საიტზე atb.ge

„%!!

# სააკაშვილს ეს სისასტიკე არ შერჩება!

შორენა კოწოწაშვილი



**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია საზოგადოების მხრიდან პარლამენტთან გამოთქმულ პროტესტს 26 მაისს, გამთენიისას განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ხარისხიანი ქართველების სამართლიან პროტესტს უწოდებს.**

— დღეს ძალიან გამიხარდა, რომ ამდენი ხარისხიანი ქართველი დავინახე აქ პროტესტის გამოსახატავად. ეს არის სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ, რომ გმობს ხალხი ძალადობასა და სისასტიკეს, რაც გამოვლინდა ამ დღეების წინ. პოლიტიკური შეფასება უკვე გავაკეთე. დღეს არ მინდა, პოლიტიკური შეფასებებით დავამძიმო ეს სოლიდარობის განცდა, — განაცხადა აქციაზე მოსულმა ირაკლი ალასანიამ.

ოპოზიციური პარტიის ლიდერის განცხადებით, ჯერ დაკარგულებსა და დასახიჩრებულებს უნდა მივხედოთ და შეფასებების გაკეთების დრო მერეც იქნება. ალასანია დარწმუნებულია, რომ სააკაშვილსა და ხელისუფლებას ეს სისასტიკე არ შერჩება. რაც შეეხება სახალხო კრების მიერ ორგანიზებული აქციის ორგანიზატორებს და, საერთოდ, პასუხისმგებლობის საკითხს, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობა ხელისუფლებასთან ერთად იმ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებსაც უნდა დაეკისროთ, რომლებმაც ხალხი ამაზე წაიყვანეს.

— *ბატონო ირაკლი, თქვენი აზრით, სააკაშვილმა პროტესტი კი არ ჩაკლა, პირიქით, გააძლიერა?*

— დარწმუნებული ვარ, სისასტიკემ არ შეიძლება დაამარცხოს სამართლიანობის განცდა. ამით სიმართლეს ვერასოდეს ჩაკლავ. ამიტომ, ხომ ხედავთ, სამოქალაქო მშვიდობიანი პროტესტი გაიზარდა და ორ დღეში ასეთი ერთსულოვანი აქცია მივიღეთ.

— *რა ფენომენია ადამიანების აქციიდან მოტაცება და რაიონებში, წინასწარი დაკავების იზოლატორებში გადაყვანა?*

— ეს არის სააკაშვილის ხელისუფლების ბუნების ფენომენი და ეს აუცილებლად შეიცვლება.

# ხელისუფლება ჩვენ უნდა გავუშვათ!

შორენა კოწოწაშვილი



**ეროვნული ფორუმის წარმომადგენელი გუბაზ სანიკიძე ფიქრობს, რომ ხელისუფლება ტერორს აძლიერებს და ყველაფერს აკეთებს, რათა ხალხში შიში დათესოს. მაგრამ შედეგად ვიღებთ ზიზღს.**

სანიკიძის აზრით, სააკაშვილი ქართველმა ხალხმა უნდა გაუშვას და დასავლეთის დიდი იმედები არ უნდა გვქონდეს.

რატომ წავიდა სააკაშვილი ასეთ მძიმე ნაბიჯზე დამოუკიდებლობის 20 წლისთავზე და მართლა იგრძნობოდა ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობა „სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეროვნული ფორუმის ერთ-ერთ ლიდერ გუბაზ სანიკიძესთან.

— *ბატონო გუბაზ, როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღო ხელისუფლებამ აქციის ასე სასტიკად დაშლის გადაწყვეტილება, მას ხომ ახსოვს 7 ნოემბრის მწარე გაკვეთილი?*

— არ ახსოვს. რომ ხსომებოდა, ეს ხელისუფლება ამას არავითარ შემთხვევაში არ იზამდა. ამ ხელისუფლებას გაკეთებული აქვს ერთი არჩევანი. მათ მიაჩნიათ, რომ თურმე ტერორით დარჩებიან ხელისუფლებაში. ტერორით დარჩენილი ხელისუფლება არავინ არ იცის. ასეთი ისტორიამ არ იცის, მხოლოდ საქართველოს ისტორიამ კი არა.

— *სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის შეეშინდა სააკაშვილს და ამიტომ დასაჯა ასე აქციის მონაწილეები?*

— არა. სააკაშვილის შინაგან სამყაროს მე ვერ გამოვიცნობ, იმიტომ რომ ის არ არის ნორმალური ადამიანი. სააკაშვილი არის მანიაკი, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. ქვეყნის პრეზიდენტი ტელევიზიით რომ იტყვის, ტრაქტორისტებს რომ მოუწოდებს, ხალხს გადაუარეთო, ის ნორმალური კაცი არ არის.

— *ამ სამაგალითო დასჯით პრეზიდენტს ქართველებისთვის ჭკუის სწავლება უნდოდა თუ მხოლოდ ხალხის პროტესტისგან თავისუფალი რუსთაველი?*

— ქართველებისთვის ჭკუის სწავლება უნდოდა. თვითონ ფიქრობს, რომ ასე უნდა ასწავლოს ჭკუა ქართველებს.

— *ფარულ აუდიო და ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით რას იტყვით? პასუხისმგებლობა „სახალხო კრების“ ორგანიზატორებსა და ნინო ბურჯანაძეს ეკისრებათ?*

— პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად ხელისუფლებას ეკისრება, რომელმაც ეს ვანდალიზმი ჩაიდინა. თუ მიტინგის დაშლა უნდოდათ, კორიდორი რატომ არ გაუკეთეს?! ეს არ იყო ტერიტორიის გაწმენდა. ეს იყო ტერორისტული აქტი, დასჯა ადამიანების, ყველა მხრიდან ალყაში მოქცევა, ფიზიკური განადგურება. ამით უნდოდათ ქართველების მორალურად გატეხა და დანარჩენი ქვეყნისთვის ჩვენება, რომ ასე მოგექცევით ყველას. ეს არ იყო შემთხვევითი. პასუხისმგებლობა მთლიანად ხელისუფლების კისერზეა.

— *რას იტყვით საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპკორპუსის მიერ გაკეთებულ შეფასებებზე?*

— როგორც ჩანს, ეს შეფასებები ნელ-ნელა უფრო ადეკვატური გახდება. რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, ელჩებთან ძალიან ინტენსიური მუშაობაა დაწყებული ამ მიმართულებით. ვნახოთ, რა იქნება. ზედმეტი მოლოდინები არც გარედან უნდა გვქონდეს. საკუთარი თავის იმედად უნდა ვიყოთ. სააკაშვილის ხელისუფლება უნდა გავუშვათ. ყველა ვარიანტში უნდა გავუშვათ და უნდა გაუშვას ქართველმა ხალხმა. ვერც ერთი პოლიტიკოსი და ვერანაირი პოლიტიკური ბლოკი ამას ვერ მოახერხებს. ეს ტყუილია. სეირის ყურება ამ ქვეყანაში არ გამოდის. არც არავის იმედად ყოფნა არ შეიძლება. კომბინაციაა აუცილებელი. პირველი — სწორი მოთხოვნა, მეორე — საზოგადოების მხარდაჭერა და მესამე — საერთაშორისო მხარდაჭერა. ეს შესაძლებელია თავისუფლად, თუ ცოტა მეტს ვიფიქრებთ.

# სააკაშვილს პირში ვუთხარი, რომ მკვლელია

## რა ინციდენტი მოხდა მარჯანიშვილის თეატრში

გულიკო ბალა ე



**მართალია, მიხეილ სააკაშვილმა 26 მაისს რუსთაველზე ქართველების დასჯისა და დაშინების ოპერაცია ჩაატარა, მაგრამ რეალურად უფრო დიდი პროტესტი მიიღო.**

**შაბათსა და კვირას მთელი რუსთაველის პროსპექტი სავსე იყო ხალხით, რომელიც რუსთაველის ძეგლთან შეიკრიბა და პარლამენტისკენ დაიძრა.**

**ქართველი საზოგადოება, ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების ხოცვა-ჟლეტის მოწყობის გამო განრისხებული და მუშტშემართული, პროტესტს გამოთქვამდა.**

**კორტებთან მოკლული ზურა ვაზაგაშვილის მამა, იური ვაზაგაშვილი, მომხდარს საშინელებად მიიჩნევს და საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს.**

— *ბატონო იური, 26 მაისს მომხდარს როგორ აფასებთ?*

— ეს არის საშინელება. მიშამ დაამტკიცა, რომ თავისი ხალხის მტერია. მიშა თავისი რეჟიმით არის კაციჭამია. მგონი, შიგნითაც და გარეთაც ყველასთვის ნათელია, საქართველოს როგორი ხელისუფლება ჰყავს. დადგა დრო, როცა საზოგადოებამ უნდა ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა. ყველა ერთად უნდა დავდგეთ. ახლა იმის დრო არ არის, ვთქვათ, ის არ მომწონს, ეს არ მომწონს, იმას როგორი წარსული აქვს. პოლიტიკოსებს საერთოდ დავანებოთ თავი. თვითონ საზოგადოება გამოვიდეთ და დავიცვათ ჩვენი შვილები. ამაზე საშინელი რა უნდა მოხდეს? ხელისუფლებამ გაწირა თავისი მოსახლეობა — დიდი, პატარა, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილის ტოლები, მოაქცია ალყაში და სასტიკად გაუსწორდა. დღემდე კიდევ 46 ადამიანზე მეტია დაკარგული. ღმერთმა ქნას, რომ კარგად იყვნენ, მაგრამ ძალიან სერიოზული ეჭვებია. ამის შერჩენა არ შეიძლება.

ცალ-ცალკე ვერაფერს მივაღწევთ, რადგან წინ ძალიან საშიში მტერია. თუ დღეს ეს შევარჩინეთ და ახლა მაინც ერთად არ დავდექით ყველა — საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციებიც და პოლიტიკოსებიც, ჩათვალეთ, რომ ეს ქვეყანა დაღუპულია. უფსკრულში ვართ, ხალხო! სწორედ დღეს არის ის დრო, როცა ყველა ერთად უნდა დავდგეთ. ბოლო შანში გვეძლევა, რომ გადავარჩინოთ ქვეყანა. მოვუწოდებ ყველას, დავდგეთ ერთად, საზოგადოება გამოვიდეთ, ათჯერ, ასჯერ მეტი გამოვიდეთ, რადგან დაზღვეული არავინაა. არავინ იცის, ეს კაციჭამია ვის ოჯახს მიადგება და მის თვალწინ შეუჭამს შვილს. ხორცებს აგლეჯენ, ხალხო, ჩვენს შვილებს, ჩვენს ახლობლებს, მთელ საზოგადოებას. უფსკრულშია ქვეყანა, მისი მომავალი. მე მგონი, ყველა დამერწმუნება, რომ საქართველოსთვის ყველაზე ღირებულია შვილები, შვილიშვილები, მათი მომავალი და მათი ქვეყანა. ეს ყველაფერი იღუპება. ამ ქვეყნის გადარჩენის ბოლო შანსია. თუ ერთად დავდგებით, გადავრჩებით. კიდევ ერთხელ მოგმართავთ, რომ ყველამ გამოვილვიძოთ, ყველაფერი გადავდოთ, დავდგეთ ერთად და გადავარჩინოთ მომავალი თაობა და ჩვენი ქვეყანა.

— *სააკაშვილი და მისი ხელისუფლება რატომ აკეთებს ამას? თავის მოქალაქეებს სასტიკად რატომ ექცევა?*

— ხელისუფლებას იმდენი ცოდვა ჩადენილი, რომ სხვა გზა არა აქვს. არ არსებობს ალბათობა იმისა, რომ ამ ხელისუფლებას ამ ქვეყნის ნახევრად დალაგება მაინც აწყობდეს, რადგან საბრალდებო სკამზე დაჯდომა მოუწევს. ამიტომ სჩადის საშინელებებს. ეს არის დაშინების პოლიტიკა. თუ დაშინება არ არის, რა ჰქვია იმას, რაც ახლა გააკეთეს? 9 აპრილზე უარესი ხომ იყო. ხომ ლანძღავენ რუსეთს. 9 აპრილს ხალხისთვის დერეფანი დატოვებული იყო, რომ გაქცევა შეძლებოდათ. 9 აპრილს მოდიოდნენ და გვეხვეწებოდნენ, დაიშალეთო, დერეფანიც დაგვიტოვეს და ერთი მხრიდან მოგვაწვნენ. ამათ ალყაში მოგვაქციეს. ეს იყო სპეციალურად დაგეგმილი აქცია.

— *იმ ღამით თქვენც იქ იყავით?*

— დიახ. ეს იყო დაგეგმილი, რათა კიდევ ერთხელ დააშინოს მოსახლეობა. დააშინოს და იგულაოს. გაგვთიშა. საზოგადოება გათიშა. ხან საპროცესო მოიგონა, ხან — ჩაშვების ინსტიტუტი.

— *საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ ბევრია გარდაცვლილი, მაგრამ ხელისუფლება არ აჩენს და არც გამოაჩენს. შეიძლება, იმაზე წავიდეს ხელისუფლება, რომ გარდაცვლილები არ გამოაჩინოს და გაუჩინარებულებად დარჩნენ?*

— ამათგან ყველფერია მოსალოდნელი. ყველამ ვიცით, ვინ არიან ისინი. არის ხალხი, რომელიც რუსთაველიდან გაიყვანეს, მანქანები მტკვრის პირას მიაყენეს და ხელებშეკრული ადამიანები მტკვარში უნდა გადაეშვათ. აქ არიან მოსულები და თვითონ იტყვიან, რა გაუკეთეს. ამის უამრავი თვითმხილველია. ლეიბორისტული პარტიის წევრის დაღუპვას ნინო ბურჯანაძის ესკორტს რომ აბრალებენ, გამოჩნდა თვითმხილველი, რომელიც ამბობს, რომ ის პიროვნება მის გვერდით იდგა, მოკლეს, ბურჯანაძის ესკორტი არ დასჯახებია. გაუჩინარებულ ადამიანებს დიდი საშიშროება ემუქრებათ. მიცვალებულები რომ არ გადამალონ, მარტო იმისთვისაც უნდა დავდგეთ და მოვითხოვოთ, სად ჰყავთ, გამოაჩინონ. საავადმყოფოებში მიხვალ, სიას არ გაძლევენ. ყველაფერი ჩაკეტილია. ჩემი მეგობარი იყო რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ამბობს, მე ჩემი თვალით ვნახე ოთხი მიცვალებული, მაგრამ არ ვიცი, ეს მიტინგის მონაწილეები იყვნენ თუ სხვებიო. ერთადერთი გამოსავალი საზოგადოების გამოსვლა და ერთად დადგომაა. უბრალოდ, დავფიქრდეთ, რას გვიშვრება გარე მტერი ამაზე უარესს? შინაური მტერი უფრო საშიშია, ვიდრე გარეშე. მოდის, გკლავს, გარბევს, გცემს, გართმევს, იტაცებს. უფრო საშინელებას გარეშე მტერი რას აკეთებს. ციხეებში ადგილები აღარ არის, იმდენ ადამიანს აპატიმრებს. ხელისუფლებას ჩვენი ალალმართალი ხალხი ტყვეებად აჰყავს. მიშას ტყვეები არიან, აბა, ვინ არიან? ყველასთვის ცნობილია, რას აკეთებენ — ტყვეების აყვანა, ნგრევა, წართმევა, ცემა, მოკვლა, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ნახევარი საქართველო მშიერი დადის. ზოგს წამლის ფული არ აქვს, ზოგს — საჭმლის ფული. გადახედეთ ისტორიას, ამაზე საშიში მტერი თუ ჰყოლია საქართველოს. არა მგონია.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

— სააკაშვილის რეჟიმი უფრო და უფრო სასტიკი და დაუნდობელი ხდება. სისასტიკის ხარისხის მიხედვით მან გაიმეორა 7 ნოემბერი კვადრატში. მასშტაბი სხვა იყო, ნაკლები მომიტინგე იყო, მაგრამ პროპორციულად გაცილებით მეტი პოლიციელი არბევდა. ეს სისასტიკის გამოხატულებაა. ამასთანავე, ადამიანი არ დაუტოვებიათ, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა რომ არ მიეყენებინათ. ქვეყანა კლასიკური დიქტატურისკენ მიექანება. მიხეილ სააკაშვილი ადასტურებს, რომ საბოლოოდ ის ყალიბდება კავკასიურ კადაფად. დემოკრატიის გაძლიერების არანაირი ნიშანწყალი საქართველოში აღარ იგრძნობა.

**დავით ლილუაშვილი:**



— 26 მაისს სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა ბართლომეს ღამე მიუწყო პარლამენტთან შეკრებილ საზოგადოების ნაწილს. ეს იყო ანგარიშსწორება, სისხლიანი სპეცოპერაცია. მიზანმიმართულად, მთელი მონდომებით სპეცრაზმი აქ შეკრებილი ხალხის წინააღმდეგ ანგარიშსწორებას ახდენდა. ამას აკეთებდნენ განსაკუთრებული სისასტიკით. ასეთ ძალადობას, ასეთ აღვირახსნილობას, ასეთ ანგარიშსწორებას რომ ვერ შეურიგდება საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება, მოსახლეობა, ქართველი ეთნოსი, დღევანდელი შეკრება ამის ნათელი მაგალითია. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებებისათვის, ჩვენი ღირსების დაცვისთვის. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს არის უფლებადამცველების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ყველა კეთილი ნების ადამიანის პოზიცია.

როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილი 26 მაისის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დღეს მარჯანიშვილის თეატრში იმყოფებოდა.

თეატრის წინ მას ერთი ახალგაზრდა შეხვდა, რომელმაც უთხრა, რომ ის არის მკვლელი, დამნაშავე, არაკაცი და პასუხს აგებს 26 მაისს ჩადენილი დანაშაულის გამო.

ის ახალგაზრდა დავით ფაცაცია გახლდათ, რომელიც სრულიად შემთხვევით, მეგობრის დაპატიჟებით აღმოჩნდა თეატრში, მაგრამ, როცა გაიგო, რომ იქ მიხეილ სააკაშვილი მიდიოდა, თეატრი დატოვა და სწორედ ამ დროს აღმოჩნდა მის პირისპირ.

გუშინ **დავით ფაცაცია** საპროტესტო აქციაზე იყო მოსული.

— *ბატონო დავით, რა ინციდენტი მოხდა და რატომ გაგასამართლეს?*

— მეგობარმა დამირეკა და მითხრა, მარჯანიშვილის თეატრში ღონისძიებაზე დასასწრები მოსაწვევი მაქვსო. ვიცით, რომ მარჯანიშვილის თეატრი ძალიან კარგი თეატრია და იქ წასვლა ჩემთვის მისაღები იყო, თანაც მეგობარმა მთხოვა და გავყევი. ღონისძიება 8 საათზე იწყებოდა. როცა სკამზე დავჯექი, აღმოვაჩინე, რომ იქ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნაციონალების წარ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ზვიად ძიძიგური: აქციის ზოგიერთი მონაწილე გააუპატიურეს

## 26 მაისის ღამეს ექიმები გესტაპოელებივით იქცეოდნენ

ნონა ცაბა ე



### ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

***— ბატონო ზვიად, საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას აღარ აქვს დასავლეთის მხარდაჭერა და ის ვერ გაბედავს 7 ნოემბრის გამეორებასო, თუმცა უარესიც ჩაიდინა. როგორ შეაფასებთ იმას, რაც 26-ში, გამთენიისას მოხდა რუსთაველზე?***

— ეს იყო ანგარიშის გასწორება საკუთარი მოქალაქეების მიმართ, ოღონდ ეს იყო შენიღბული თვითონ იმ სპეცნაზელებისთვის, ისინი, ვისაც იმ დღეს ხოცავდნენ და ვისაც როგორც ცხოველებს, ისე ექცეოდნენ; ის ადამიანები მათთვის არ იყვნენ ქართველები, ისინი იყვნენ მტრები, მოსისხლე მტრები, ასე ქონდათ მათ ჩაგონებული და შედეგი ჩვენ რაც მივიღეთ 25-დან 26 მაისის ღამეს, ეს იყო პოლიტიზებული პოლიციის მიერ დარბეული აქცია, სადაც მთელი სისასტიკე იყო გამოყენებული. ხანდახან ამბობენ, ძალას გადაამეტა პოლიციამო, ეს ძალის გადამეტება არ იყო, ეს იყო ღიად დაფიქსირება ზიზღის, სიძულვილის, არაადამიანური დამოკიდებულების. ყველა იმ მოქალაქის მიმართ, რომელიც არ დგას ნაციონალური მოძრაობის და მიხეილ სააკაშვილის გვერდით.

***— საკუთარ ხალხზე შურისძიებას ჰგავდა ეს ყველაფერიო...***

— ეს იყო ანგარიშის გასწორება და დიახ, შურისძიების ელემენტებსაც შეიცავდა. მათ დიდი შიში ნახეს, ჰქონდათ შიში იმისი, რომ რუსეთი ჩაერეოდა ამაში და აქედან გამომდინარე რამდენიმე ხნის განმავლობაში მათ საკმაოდ არასასიამოვნო პერიოდი ჰქონდათ და ამ პერიოდზეც იძიეს შური და ანგარიში გაუსწორეს ყველას. იმ ადამიანებს სხვათა შორის, რომელთა დიდი უმრავლესობა არის საკუთარ ქვეყანაზე შეყვარებული, პატრიოტი ადამიანი და მე მინდა განვაცხადო, რომ იმ ადამიანებთან არაფერი არავის არ აქვს საპრეტენზიო, რომლებიც ვერ ხედავენ სხვა გზას ამ ქვეყანაში სასიკ ეთო ცვლილებებისთვის, თუ არა სახალხო პროტესტით შეცვლის გზისა. რასაც მე ნამდვილად ვერ ვიტყვი ორგანიზატორებზე, რომლებმაც შეგნებულად მიიყვანეს პროცესი სისხლიან დაპირისპირებამდე.

***— დღეს ბევრს საუბრობენ ამაზე, რომ ბურჯანაძე მიზანმიმართულად წავიდა დარბევაზე, თქვენ რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— მე ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ უკეთეს შემთხვევაში ამ უტვინო აქციას და უარეს შემთხვევაში გამიზნულ აქციას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა გამწვავება, თავისი პასუხისმგებლობები ახლავს. ყველა ადამიანმა, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ დედამიწის ზურგზე არის ყველაზე გამოცდილი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე რესპექტაბელური და ყველაზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური ფიგურა, ელემენტარულად ამდენი უნდა იცოდეს, რომ ასეთ რისკზე არ წაიყვანოს საკუთარი ხალხი. პოლიტიკური რვიანი და პირადად მე ვამბობდი წინასწარ, რომ ეს არ არის ის აქცია, რომელიც მაშტაბური რაოდენობის ხალხს გამოიყვანს და ეს ასეც მოხდა. ეს არ არის ის აქცია, რომელიც რაღაცა პოლიტიკურ სიმწვავეს გამოიწვევს ქვეყანაში და პირიქით შეიძლება ამას მოჰყვეს სისხლის დაღვრა. სამწუხაროდ, ესეც მოხდა. შედეგად რა მივიღეთ, შედეგად მივიღეთ ის, რომ დღეს ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტად თავაწეულმა დაიწყო იმის მტკიცება, რომ რუსეთი უპირებს მას გადატრიალების მოწყობას საქართველოში. ნახეთ უცხოური პრესა, მედია, საერთაშორისო არენაზე ყველგან სააკაშვილი იწონებს თავს იმით, რომ პუტინს თავისი ხრიკებით უნდოდა სააკაშვილის ჩამოგდება და ის, რაც მოხდა რუსთაველზე, ეს იყო პასუხი პუტინზე. ეს არის დღეს სააკაშვილის პოლიტიკური პასუხი, ყველაფერ იმაზე, რაც მოხდა რუსთაველის გამზირზე. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის, მაგრამ მას მიეცა შესაძლებლობა, რომ ამ ტექსტებით ელაპარაკა.

***— თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად ალბათ ხელისუფლება ვერ უნდა გაექცეს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მას ახლა აკისრია...***

— ხელისუფლება რომ შესაცვლელია, სასწრაფო წესით და ხელისუფლება რომ გასაშვებია ყველაზე მცირე პოლიტიკურ შვებულებაში, ამაზე მეორე აზრი არ არსებობს, საუბარია უბრალოდ ფორმებზე. ჩვენ ყველა მოთხოვნაში პრაქტიკულად, რაც ჰქონდა რადიკალურ პარტიებს, ვიყავით ზიარნი, ერთი და იგივე მოთხოვნები გვქონდა, ფორმებთან დაკავშირებით გვქონდა ჩვენი წარმოდგენა. რამდენიმე თვის განმავლობაში გაცილებით უფრო მაშტაბური აქციები დამთავრდა ისევ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენით და ვერ მოახერხა აქციებმა ამის გაკეთება, იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა არც მაშინ არ ჰქონდა იმ პროცესებს, რომელსაც ჩვენ კანცელარიასთან, რეზიდენციასთან, პარლამენტის შენობასთან პიკეტირების გზით ვეწეოდით და არც ახლა არ ჰქონია ამას მხარდაჭერა. შეუძლებელია თანმიმდევრული, გონივრული პოლიტიკის გარეშე, რომელსაც ხალხის მხარდაჭერა ექნება და საერთაშორისო მხარდაჭერა, აი, ამ ერთობლივი კომპონენტების გარეშე, შეუძლებელია რაიმე წარმატებაზე ფიქრი. ამიტომ ჩვენ უნდა გადავდოთ ეს ერთდღიანი და ერთკვირიანი გეგმები, რომ მე ახლა ჩამოვალ პარიზიდან 25-ში, დილით და 25-ში, საღამოს აღარ იქნება მიხეილ სააკაშვილი. ასეთი ტიპის განცხადებები, ასეთი ტიპის მოტყუება, ეს ხომ ხალხის მოტყუება და გაბრიყვება იყო.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ პოლიტიკოსებმა შეგნებულად მოატყუეს საზოგადოება?***

— შეგნებულად იყო თუ შეუგნებლად იმ ადამიანების, რომლებიც ემოციურად არიან თავიანთი მძიმე მდგომარეობის გამო და მათზე ასეთი ტიპის განცხადებებით, იოლად შეიძლება ზემოქმედების მოხდენა, ამით როდესაც სარგებლობ, რათა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდე, რაღაცა ორდღიანი და ერთკვირიანი პიარი გაიკეთო, ასეთ დროს ხელისუფლების კი არა საზოგადოების საქმეა, რომ ასეთი ტიპის პოლიტიკოსებს გამოუტანოს განაჩენი. როდესაც ჩვენ გვეუბნებიან რამდენიმე თვის განმავლობაში, რომ აი, ჩვენ შევიკრიბებით ახლა და იმდენი ვიქნებით, რომ გვეშინია ციფრის დასახელება, არ გეტყვით, რას ვიზამთ, მაგრამ ისეთ რამეს ვიზამთ, რომ სააკაშვილი ველარ იქნება 26 მაისს, რომ 25-ში გადადგება სააკაშვილი და ამას ქალბატონი ბურჯანაძე ამბობდა. არ არის ასეთი ტიპის განცხადებებით ხალხის დაბოლება დღეს არავითარი შედეგის მომტანი. აი, ისეთი შედეგის მომტანი კი შეიძლება იყოს, როგორიც ჩვენ ვიხილეთ. განა არ ვიცოდით, როგორ ხელისუფლებასთან გვქონდა საქმე?! განა არ ვიცოდით, რომ თუკი შენ აძლევ სამართლებრივ-პოლიტიკურ და მორალურ საშუალებას ხელისუფლებას, რომ დაგარბიოს, როცა 26 მაისის აღლუმზე ამბობ, რომ აღლუმს არ ჩავატარებინებ და მე უნდა ჩავიბარო ეს აღლუმი. ასეთ პირობებში ხომ ჯარსაც შენ წინააღმდეგ განაწყობ, პოლიციასაც შენ წინააღმდეგ განაწყობ. ხელისუფლებასაც ხომ მორალურად აძლევ იმის შესაძლებლობას, რომ მთელ მსოფლიოსთან თქვას, რომ აი, 20 წლისთავია დამოუკიდებლობის და რამდენიმე ასეული კაცი ცდილობს ეს ზეიმი ჩაგვამწაროს და არ მივცემთ ამის უფლებას. როცა ასეთი ტიპის კოზირებს აძლევ ხელისუფლებას ხელთ, ეს რა არის?! ამაზე დასკვნა ყველა ადამიანს აქვს. მე ერთი რამე მინდა ვთქვა, შეიძლება ვიღაცას უადგილოდ მოეჩვენოს, დღეს როდესაც რამდენიმე ადამიანი არის დაღუპული და ზუსტად კიდევ არ ვიცით, რა რაოდენობა იქნება, უნდა ვთქვა, რომ მარტო ცხელი გული არ შველის საქმეს. ცივი გონება სჭირდება, გული გონიერი — ეს არის გამოსავალი და ამ მიმართულებით უნდა წავიდეს ქართული პოლიტიკა. ამდენი შეცდომის ერთდროულად დაშვება ისეთი ხელისუფლების წინაშე, რომელიც არის ვერაგი, რომელიც არის ფინანსურად ორგანიზებული და წელში გამართული, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათ ენაზე ლაპარაკი, არ შეიძლება ამდენი შეცდომის დაშვება. შეცდომები იყო გაცილებით მეტი, ვიდრე ეს შეიძლებოდა ვინმეს წარმოედგინა. დინჯად, მშვიდად რუტინული მუშაობით უნდა გადადგა ნაბიჯები და ამას ალტერნატივა არ აქვს. კაცმა არ იცის, კიდევ რამდენი ადამიანი არის დაღუპული, კიდევ რამდენ ადამიანს იპოვიან სასაფლაოზე დაგდებულს, უკვე გარდაცვლილს, რამდენს კიდევ დასახიჩრებულს იპოვიან. ისეთი საოცრებები მოხდა ამ დღეებში. დაიჭირეს მაგალითად, ზვიად გიორგაძე, რომელიც საერთოდ არავითარ მიტინგში, არავითარ ღონისძიებაში არ მონაწილეობდა, თავის რძალს, ზაირა მიქატაძეს, რომელიც არის თქვენი კოლეგა, ჟურნალისტი, მიუტანა საწვიმარი ლაბადა 12 საათზე და ველარ გამოვიდა იქიდან და უმოწყალოდ სცემეს, გაასამართლეს კაცი, იმის გამო, რომ იმ დროს რუსთაველის პროსპექტზე იმყოფებოდა. ასევე გია გურგენიშვილი, საგარეჯოს რაიონის კონსერვატორების თავმჯდომარე, დაიჭირეს 21-ში დილით, არავინ არ იცის, რატომ დაიჭირეს. განაჩენში უწერია, იგინებოდა გაურკვეველი მიმართულებითო. თუ კახეთში გინების გულისთვის ადამიანებს იჭერენ, მაშინ რატომ მთელი კახეთი არ არის დაპატიმრებული?! როდესაც ბიძინა გეგიძეს, ცნობილ რაგბისტს და რაგბის ფედერაციის ყოფილ პრესიდენტს, რომელმაც სერიოზული წარმატებები მოუტანა საქართველოს, ის ბიძინა გეგიძე ხელფეხშეკრული, ნაცემი, თავპირდასისხლიანებული დააგდეს სასაფლაოზე. აი, ეს არის ამ ხელისუფლების დამოკიდებულება და ასეთი ფაქტები არის უამრავი.

***— ალბათ კვლავაც გაგრძელდება მსგავსი ტერორი ხელისუფლების მხრიდან...***

— ტერორის გაგრძელების რა მოგახსენოთ, გაგრძელდება თუ არა, ამას ყველანი ვნახავთ, თუმცა, რაც მოხდა, ამაზე სასწრაფოდ არის რეაგირება მთელი საზოგადოების და მე დღეს ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, როდესაც ბევრი ადამიანი ვნახე საპროტესტო მდუმარე აქციაზე, რომელიც პარლამენტის წინ გაიმართა. ეს არ იყო ორგანიზებული პოლიტიკური ძალების მიერ, ეს იყო საზოგადოების პროტესტი და ვფიქრობ, რომ საზოგადოების პროტესტის როცა ასეთი მაღალი მუხტი არსებობს, მაშინ იქ ტერორის გაგრძელება არის შეუძლებელი. პირიქით, ტერორის გაგრძელება კი არა ჩვენ პასუხი უნდა მოვითხოვოთ იმ დახოცილ ხალხზე, პასუხი უნდა მოვითხოვოთ იმ უსამართლობაზე. მურმან დუმბაძე, რომელიც საღ-სალამათი ჩანს კადრებში, როგორ მიჰყავდა პოლიციას აქციიდან დაკავებული, ნეკნებდამტვრეული, თავპირდასისხლიანებული გდია თელავის იზოლატორში. ანუ დაპატიმრების მერე სცემდნენ ადამიანებს. საშინელი ფაქტები გამოქვეყნდა დღეს „ფეისბუქზე“, რომ გაუპატიურებებს ჰქონდა ადგილი მომიტინგეებისას და რა ვიცი, ათასი სისაძაგლე. ამაზე პასუხი არის მოსათხოვი. ხელებგაკრულ, ნაცემ მომიტინგეებს თითებიდან ბეჭდებს ხსნიდნენ, ჟურნალისტებს უმოწყალოდ სცემეს, რომელი ერთი შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ. ჩვენი ამოცანაა, მთელი საზოგადოების და არა მხოლოდ პოლიტიკური სპექტრის, რომ დავეხმაროთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ მხეცური დარბევის შედეგად დაზარალდნენ. მე მინდა სირცხვილი შევუთვალო იმ ექიმებს, რომლებიც, როგორც გესტაპოელები, ისე ექცეოდნენ დასახიჩრებული ადამიანების მშობლებს და თვითონ იმ ადამიანებსაც, ნაცმოძრაობის, სააკაშვილის თუ სპეცნაზელების შიშით. ასეთი რამ საქართველოში არ ხდებოდა. რაც არ უნდა მომხდარიყო, ექიმი ყოველთვის იდგა ექიმის დონეზე. ეს ყველას არ ეხება, მაგრამ თქვენ მიხვდებით, ვისზეც არის ლაპარაკი. ასეთი გამეხებული სახით ექიმები პირველად ვნახე საქართველოში.

***— როგორ ფიქრობთ, ამდენი საშინელების შემდეგ რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, ღირდა ეს ყველაფერი იმად, რომ სააკაშვილს აღლუმი ვერ მიეღო?***

— ჩვენ ბრალდებას გვიყენებდნენ, რატომ არ მოხვედითო, თორემ არ დაარბევდნენო. ჯერ ერთი, ეს მოსაზრება ძალიან გულუბრყვილო მოსაზრებაა, რას ჰქვია, არ დაარბევდნენ, ჩვენ რომ მივსულიყავით და ჩვენი მომხრეებიც მიგვეყვანა, მსხვერპლი იქნებოდა ხუთჯერ და ათჯერ მეტი, ვიდრე არის დღეს. ჩვენ ამას რა თქმა უნდა, თავი ავარიდეთ, თანაც წინასწარ ვაცხადებდით, არც ერთ ჩვენგანს არ დაუწყია თავისი პოზიციის დამალვა და ყველანი ვაცხადებდით, რომ ჩვენ არ ვაპირებდით ასეთი ტიპის ღონისძიებაზე მისვლას. მეორეც, მე რამდენადაც ვიცი, მათი მოთხოვნა, სააკაშვილი რომ უნდა გადამდგარიყო 25-ში, ეს იყო და შემდეგ გაირკვა, რომ თურმე სააკაშვილის გადადგომა კი არ იყო მნიშვნელოვანი, არამედ აღლუმის ჩაშლა ყოფილა მნიშვნელოვანი. რა თქმა უნდა, არც მაშინ ვეთანხმებოდი ამ მოსაზრებას, არც ახლა და არც მომავალში არ დავეთანხმები. ეს არ არის სწორი გამოსავალი და სწორი ნაბიჯი. ვერც ხელისუფლებამ ჩაატარა აღლუმი, როგორც მას წარმოედგინა ისე, მაგრამ საქართველოს კი გაუთენდა ძალიან მძიმე დღეები და ჩვენ ყველამ ერთად მეტი სიმტკიცე და მეტი აქტიურობა უნდა გამოვიჩინოთ.

***— სააკაშვილი პირსისხლიან ლიდერად არის შეფასებული და თქვენ როგორ ფიქრობთ, ასეთი ლიდერი რამეს დათმობს, თუნდაც საარჩევნო კუთხით?***

— იცით, თქვენი კითხვა თავის თავში პასუხს მოიცავს. ის, რომ რევოლუციით სააკაშვილი არ წავა, არის ცალსახა. თანაც ამ რევოლუციური გზით სააკაშვილის გაშვებას საერთაშორისო ორგანიზაციები არასოდეს არ დაუჭერენ მხარს. არჩევნების გარდა სხვა გზას ამ ქვეყანაში ალტერნატივა არა აქვს. რამდენად წამოვა დათმობაზე? წამოვა, მთელი ქართველი საზოგადოების კონსოლიდაცია უნდა მოხდეს, სწორედ იმისთვის, რომ არჩევნებია ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა. რევოლუცია თუ უნდა ვინმეს, რევოლუციაც არჩევნებია, ხვალინდელი კარგი ცხოვრებაც არჩევნებია, ყოველდღიურ პრობლემებზე გასაცემი პასუხიც არჩევნებშია და ჩვენი მოვალეობაა, ეს თითოეული ადამიანის სულამდე და გულამდე მივიტანოთ. სხვაგვარად ჩვენ ამ ქვეყანაში ვიქნებით მუდმივად აქციებში, მუდმივად რევოლუციებში და მუდმივად ასეთ მდგომარეობაში, როდესაც დახოცილი და დასახიჩრებული თანამემამულეების პრობლემები იქნება ჩვენი საზრუნავი და არა ის, როგორ ავაშენოთ, დავალაგოთ და წავიყვანოთ სწორი მიმართულებით ეს ქვეყანა.

## ადვოკატ ქეთი ბექაურს ავტომანქანა დაუზიანეს

ადვოკატ ქეთი ბექაურს ავტომანქანა დაუზიანეს.

საკუთარ ავტომანქანაზე დაზიანება მან „კინოს სახლთან“, რადიო „ობიექტივიდან“ გამოსვლის შემდეგ შეამჩნია.

როგორც ქეთი ბექაურმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, დაზიანება აშკარად სპეციალურად არის მიყენებული რაიმე საგნით, რადგან თუ ეს რომ სხვა ავტომანქანის გახახუნების ბრალი იყოს, მაშინ ავტომანქანის სარკეც დაზიანებოდა.

მისივე თქმით, რადიოდან ჩამოსვლისას „სი-თი პარკის“ საჯარიმო ქვითარი მას მანქანის მარცხენა მხარეს დახვდა, სავარაუდოდ იმიტომ, რომ მანქანის მარჯვენა მხარისთვის ყურადღება არ მიექცია, სადაც დაზიანებაა.

მომხდარ ფაქტზე შესაბამისი ოქმი საპატრულო პოლიციამ უკვე შეადგინა. თავად ქეთი ბექაური კი ითხოვს გაიხსნას ის ვიდეო-ჩანაწერი, რომელზეც სავარაუდოდ მომხდარი ფაქტი იქნება ასახული. მანქანის დაზიანებას ადვოკატი ბოლო დღეებთან დაკავშირებით მის აქტიურობას უკავშირებს.

— ახლაც რადიო „ობიექტივში“ ვიყავი, სადაც 26 მაისის მოვლენები ტერორად და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად შევაფასე, — აცხადებს ბექაური და დასძენს, რომ არა თუ მისი მანქანის დაზიანება, არამედ მისი სიცოცხლის ხელყოფაც ვერ შეაჩერებს სამართლიანობისთვის ბრძოლაში.

**ინტერპრესნიუსი**

## სამხრეთ ოსეთში დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ჩაიშალა

გუშინ ე.წ. სამხრეთ ოსეთში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება გადადეს.

„იტარ-ტასის“ ცნობით, ე.წ.სამხრეთ ოსეთის მთავრობამ ეს გადაწყვეტილება, აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის გარდაცვალების გამო მიიღო.

ცხინვალში სადღესასწაულო კონცერტები და სტადიონის გახსნა გადაიდო.

ცხინვალში დამოუკიდებლობის დღე მხოლოდ სადღესასწაულო შეკრებით აღინიშნება, რომელზეც სერგეი ბაღაფშის ხსოვნას, წუთიერი დუმილით, პატივს მიაგებენ.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში გუშინ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მიღებიდან მე-19 წელი უნდა ეზეიმათ.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის დე-ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში 62 წლის ასაკში, მოსკოვის კლინიკაში დღეს დილით გარდაიცვალა.

**მედიანიუსი**

# 26 მაისს ქართველი ერის გენოციდი განხორციელდა

შორენა გონგლა ე

**„იმედი ყოველთვის არის, იმედი არ იყიდება“ — ეს ფრაზა აწ განსვენებულ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნის. საკუთარი სიტყვის შესრულება პატარკაციშვილს არ დასცალდა. იმედი რომ „იყიდება“, ეს „ტელეიმედის“ სპეციალურმა რეპორტაჟმა საბოლოოდ დააგვირგვინა. ჟურნალისტი რისი ჟურნალისტია, რომ აქციაზე მისული ვინმე ჭკუამხიარული არ გამოქექოს, რომელიც საკუთარი გაპრეზიდენტების შესაძლებლობებზე სერიოზული სახით საუბრობს კამერებთან.**

21 მაისის აქცია რომ მარცხისთვის იყო განწირული, ეს თავიდანვე ნათელი იყო, თუმცა აქციამ თავისი საქმე მაინც გააკეთა. მართალია, ამერიკულმომზადებაგავლილმა და უზადოდ აღჭურვილმა კარგად ნაკვებმა ქართულმა ზონდერბრიგადებმა დროშის ტარებით შეიარაღებულ მშიერ მომიტინგეებს როგორც რიცხოვნებით, ასევე საბრძოლო აღჭურვილობითა და მომზადების მაღალი დონით ნამდვილად აჯობეს, მაგრამ მომხდურს არც აქ დახვდნენ ჯაბანნი. მოკლედ, სააკაშვილის პრეზიდენტობის ისტორიამ კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი გადაშალა.

წინა აქციებისაგან განსხვავებით, ხელისუფლებას 26 მაისის აქციის დარბევის ბევრად უფრო მყარი არგუმენტი აქვს. ეს არის აქციის ორგანიზატორ ნინო ბურჯანაძის მოსკოვური ვოიაჟისა და ასევე რუსული მხარდაჭერის არსებობა. ეს, რა თქმა უნდა, ფასადური თავისმართლებაა, რეალურად კი 26 მაისის ღამეს ზონდერბრიგადებმა შიმშილითა და სილატაკით გაწამებული ადამიანების ზურგზე ერთხელ კიდევ გაივარჯიშეს კუნთები. აქციამ სრული ფიასკო განიცადა. ეს — ერთი შეხედვით, მაგრამ რეალურად მსგავსი წარმატება ვარდოსანი ხელისუფლების არსებობის ისტორიაში არ ყოფილა. მიხეილ სააკაშვილმა ესოდენ ნანატრი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი ჩაბარება ნინი ბადურაშვილის უნიჭოდ შესრულებული საქართველოს ჰიმნის, თანაგუნდელებისა და მათი ოჯახის წევრების გარემოცვაში, ფაქტობრივად, ცარიელ რუსთაველზე მოუხდა. მსგავსი ფაქტი საქართველოს დამოუკიდებლობის ოცწლიანი ისტორიის მანძილზე არ ყოფილა.

დარბევის შემდეგ, ბუნებრივია, ყველა ფიქრობდა, რომ ხალხმა საბოლოოდ ისწავლა ჭკუა და აქციობანაც შეწყდა, მაგრამ აქციების გაგრძელება უკვე არასამთავრობო სექტორმა დაიწყო. მათი უმეტესობა 26 მაისის აქციას ემიჯნებოდა. რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, მათი ასეთი თავშეკავება ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ „მწვანეებზე“ არსებულ ნულებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თავშეკავებულ და გაწონასწორებულ ოპოზიციას კი რატომღაც დაავიწყდა, რომ აქციაზე ნინო ბურჯანაძის კი არა, ხალხის გვერდით უნდა დამდგარიყო. სამოქალაქო სექტორის მიერ ორგანიზებული აქცია უკვე მეორე დღეა გრძელდება. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, ისინი ხელისუფების წინააღმდეგ სამართლებრივი გზებით იწყებენ ბრძოლას და შედეგის დადგომამდე არსად წასვლასაც არ აპირებენ.

**ზაზა ხატიაშვილი:**



— 26 მაისს განხორციელდა ქართველი ერის გენოციდი. მე ვამბობდი, რომ ეს არის ფაშისტური რეჟიმი და ყველაფერზე არიან წამსვლელები. ამ დარბევაზე ლეგიტიმაცია სააკაშვილს მისცეს ევროკავშირისა და ამერიკის ელჩებმა. ამიტომ ვთვლი, რომ უნდა დადგეს მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი და სამოქალაქო საზოგადოებამ დაიწყოს სამართლებრივი ბრძოლა, უნდა დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება ამერიკისა და ევროკავშირის ელჩების გამოწვევის მოთხოვნით. ეს იყო სპეცოპერაცია. ჟურნალისტმა ზაირა მიქატაძემ, რომელიც შეესწრო 9 აპრილის, თქვა, რომ რუსის ჯარი უფრო გვინდობდა დარბევის დროს, ვიდრე ეს ქართველი ზონდერები. სააკაშვილი უნდა დავამარცხოთ სამართლებრივად. ის უნდა გამოცხადდეს სამოქალაქო საზოგადოების მტრად და მის წინააღმდეგ ევროკავშირმა უნდა დაიწყოს სანქციების შემოღება. მე გადავდგი პირველი ნაბიჯი, შევიტანე ბარუზოს სახელზე განცხადება, სააკაშვილი, კუბლაშვილი, ადეიშვილი და კალმახელიძე გამოცხადებულიყვნენ სამოქალაქო საზოგადოების მტრებად. 21-მა ორგანიზაციამ ხელი მომიწერა, მოვუწოდე ჟურნალისტებაც, რომ შემოერთებოდნენ ამ წინადადებას, მოვუწოდე ასევე ვეტერანებსაც, რადგანაც ეს ადამიანი ყველას ოჯახში შევა. მე ვარ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი და ვიცი, კაცი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებით მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში, სამართლებრივად როგორ დაასამარო. სამწუხაროდ, ამაში სამოქალაქო საზოგადოებამ მხარი არ დამიჭირა და ჩავთვალე, რომ მათ უნდოდათ, ჰყოლოდათ სააკაშვილი. როდესაც გამოვიდა გირგვლიანის გადაწყვეტილება, ამით, ფაქტობრივად, გადაწყვეტილება გამოუტანეს საქართველოს პრეზიდენტსა და მის გარემოცვას. ევროკავშირისა და ამერიკის ელჩებმა გააკეთეს განცხადება? მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ამერიკამ მოიყვანა სააკაშვილი და ის ყოველთვის დაუჭერს მას მხარს. გუშინ, როდესაც სააკაშვილი პასუხობდა უკრაინის ტელევიზიის შეკითხვებს, თქვა, არ ყოფილა ძალის გადამეტება, ჩემი ქმედება ევროკავშირისა და ამერიკის ელჩებმა კანონიერად შეაფასესო, ანუ ეს არის ერთი ჯაჭვი, ჩვენ ვართ სამართლებრივად განწირული ქვეყანა. ეს არის რეჟიმი, რომელიც ამერიკამ მოიყვანა, დაგვისვა და რომელსაც ევროკავშირი მხარს უჭერს. პირველი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, არის ის, რომ უნდა მოხდეს ამ ელჩები გამოწვევა. როგორ გაბედეს მათ, კანონიერად ჩაეთვალათ ეს დარბევა?! ტალიავინის დასკვნით დადასტურდა სააკაშვილის დანაშაული, ვინმემ მოსთხოვა პასუხი? არც ახლა მოსთხოვენ პასუხს.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

— აქცია ორგანიზებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მოთხოვნები აბსოლუტურად მისაღები და სამართლიანია. საუბარია 26 მაისის ბარბაროსული დარბევის შემსრულებლებისა და ბრძანების გამცემის დასჯაზე. მოთხოვნებში ასევე შედის ყველა იმ პირის გათავისუფლება, რომლებიც უკანონოდ არიან დაკავებული, იქიდან გამომდინარე, რომ ეს იყო მშვიდობიანი აქცია და არანაირი საფუძველი არ არსებობდა მათი დაკავებისა. სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა სია, სადაც ორასამდე ადამიანის გვარია დასახელებული, რომლებიც არიან დაკავებული. მთლიანობაში სიტუაცია



უმძიმესია, ვინაიდან სააკაშვილი თანდათან საბოლოოდ ყალიბდება გაცხადებულ დიქტატორად. ეს ყველაფერი კეთდება მიზანმიმართულად, რათა ქართველი საზოგადოება დააბეჩავონ, ხელი ააღებინონ საკუთარი ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლაზე. მაგრამ, ვხედავთ, რომ ეს არ გამოუვიდათ, რაც აჩვენა ჩვენმა აქციებმაც, იქიდან გამომდინარე, რომ აქციაზე გამოვიდა ათასობით ადამიანი. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები მოახერხებენ საკუთარი ძალების კონსოლიდაციას, რადგან ერთადერთი გამოსავალია. მხოლოდ კოორდინირებით არის შესაძლებელი ამ აღვირახსნილობის დამარცხება. ეს აქციები გაგრძელდება სააკაშვილის რეჟიმის დასრულებამდე, სააკაშვილის სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარდგომამდე და საქართველოში ერთპიროვნული მმართველობის დამთავრებამდე.

**ეკა ბესელია:**

— თქვენ ხედავთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება ძალიან აქტიურია. სამოქალაქო საზოგადოება პასუხს ითხოვს ხელისუფლებისგან. ის ამბობს, რომ შეურაცხყოფილია იმ ძალადობის, ბარბაროსული დარბევის, ცინიზმის გამო, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი. მე ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ მოინახა ძალები და საზოგადოებამ გააგრძელა აქტიურობა და ბრძოლა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ უნდა დავიღალოთ და



არ უნდა შევწყვიტოთ ბრძოლა. ხვალიდან რამდენიმე უფლებადამცველთან ერთად ვიწყებ სოლიდარობის დღეებს. ეს არის სპეციალური კამპანია, ჰუმპანიტარული საქველმოქმედო აქციები, დახმარება დაზარალებულებისთვის, პატიმრებისთვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დამნაშავეებს ვაგებინოთ პასუხი. საზოგადოება უნდა გახდეს კონსოლიდირებული. ამით განისაზღვრება ერის ზნეობრივი და მორალური ფასეულობები და, რაც მთავარია, ეს პროტესტი უნდა გაგრძელდეს.

## „26 მაისის კავშირი“ შეიქმნა

საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის ინიციატივით „26 მაისის კავშირი“ შეიქმნა. ამის შესახებ დღეს თბილისში, რუსთაველის ძეგლთან გამართულ სოლიდარობის აქციაზე სიტყვით გამოსვლისას მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა სოსო მანჯავიძემ განაცხადა.

მისი თქმით, კავშირში შევა ყველა ის ადამიანი, ვინც გაიზიარებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის პრინციპებს.

— ჩვენ, „26 მაისის კავშირი“ საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა თქვენთან, ხალხთან ერთად მოვამზადებთ აქციას სახელწოდებით: დავინახოთ ერთმანეთი„. ჩვენ აქციისას გამოვიყენებთ მშვიდობიანი პროტესტისათვის აპრობირებულ ყველა მეთოდს და ვთხოვთ ქართველ ერს, მონაწილეობა მიიღოს ამ საერთო და პრინციპულ საქმეში. ეს დღე იქნება გარდამტეხი დღე საქართველოს ისტორიაში და ჩვენ არ დავმარცხდებით, რადგან ახლა დამარცხება საბოლოო დამარცხების ტოლფასი იქნება, — განაცხადა სოსო მანჯავიძემ.

**მედიანიუსი**

## სამგორის არხში ჩავარდნილი ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა

ლილოს დასახლებაში, სამგორის არხში 8 წლის გიორგი ხეჩიკაშვილი ჩავარდა. როგორც „მედიანიუსს“ საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს, ბავშვი სწრაფმა დინებას გაიტაცა, თუმცა მაშველებმა მისი წყლიდან ამოყვანა შეძლეს. შემთხვევა გუშინ დაახლოებით დღის 13.50 საათზე მოხდა.

როგორც „მედიანიუსს“ სასწრაფო დახმარების სამსახურში განუცხადეს, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ბავშვი პირველ კლინიკურ საავადმყოფოს ძმები ზუბალაშვილების სახელობის პედიატრიულ განყოფილებაში გადაიყვანა, სადაც იგი გარდაიცვალა.

**მედიანიუსი**

## ირანის პრეზიდენტი სომხეთს ეწვევა

სომხური სააგენტო „ტეწს.ამ“-ის ინფორმაციით, 6 ივნისს ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი ორდღიანი ვიზიტით სომხეთს ეწვევა.

აჰმადინეჯადი სომხეთის პრეზიდენტს სერჟ სარქსიანთან და მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავს.

ცნობისათვის: ეს აჰმადინეჯადის სომხეთში მეორე ვიზიტია. ის სომხეთს პირველად 2007 წელს ეწვია. ამ პერიოდში ვიზიტის დროს სომხეთსა და ირანს შორის ვაჭრობის საკითხებში ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

დღეისთვის ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა 270 მილიონ დოლარს შეადგენს. ექსპერტები, ამ ვიზიტის შემდეგ, ვაჭრობის მკვეთრ ზრდას პროგნოზირებენ.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილს პირში ვუთხარი, რომ მკვლელია

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მომადგენლობა იკრიბებოდა უკვე — ერთ-ერთი გამგეობის წევრი, ერთ-ერთი მინისტრის მოადგილე მოვიდა. როცა ჩემ წინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯალაღანია დაჯდა, უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ აქ მართლაც სააკაშვილი აპირებდა მოვლას. ჩემთვის პრინციპული იყო, რომ მე იქ, მის გვერდით მშვიდად ვერ ვიჯდებოდი. ან მომიწევდა ხელის გარტყმა მიხეილ სააკაშვილისთვის, ან კიდევ იძულებული ვიყავი, იქაურობა დამეტოვებინა. ავდექი და დაცვას ვთხოვე, თუ მიხეილ სააკაშვილი აპირებს მოსვლას, მითხარით, რადგან, თუ ის მოდის, მაშინ მე მივდივარ, თუ არადა, მაშინ დავრჩები-მეთქი. დაცვამ ვერ მიპასუხა. ამის შემდეგ გარეთ გავედი და რომ შევამჩნიე, დიდი რაოდენობით დაცვის თანამშრომლები იდგნენ, განსაკუთრებით — ზამბარიანები, ჩემთვის პრინციპული იყო უკვე ეს ურთიერთობა. წავედი ქვევით და დავდექი. ერთი წუთის შემდეგ ვხედავ, პრეზიდენტის ესკორტი მოდის. დაველოდე და, როცა სააკაშვილი მანქანიდან გადმოვიდა, თითქმის პირისპირ აღმოვჩნდი. მე მას 3-5 მეტრის მანძილიდან პირდაპირ მივმართე, რომ ის არის მკვლელი, ის არის არაკაცი, ის არის დამნაშავე, რომელიც პასუხს აგებს 26 მაისს მომხდარის გამო. უნდა გენახათ მისი სახე — ეს არის გორის სახე...

***— როგორი სახე მიიღო?***

— სააკაშვილს დაახლოებით იმ სტილის შესახედაობა ჰქონდა, როგორიც მას გორში ომის დროს ფორთხვისას გადაღებულ კადრებში აქვს. მერე უკვე 10 მეტრი ფეხით გავიარე და დაცვა გამომეკიდა, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული დაახლოებით 50 კაცი იყო, ჩამტენეს მანქანაში და წამიყვანეს.

***— სააკაშვილმა ხომ არ მიუთითა, დააპატიმრეთო?***

— შესაძლებელია. არ ვიცი. მე კიდევ ერთხელ შევტრიალდი და კიდევ ერთხელ დავუძახე, არაკაცი ხარ-მეთქი...

— დაპატიმრების მომენტში... ის შევიდა შიგნით და ალბათ უთხრა, დავეკავებინე, ან ეს ბუნებრივად ხდება, თვითონ იციან, რაც უნდა გააკეთონ. ჩემი მეგობარი ვახტანგ მაისურაძე 100 მეტრის დაშორებით იდგა, სიგარეტის საყიდლად იყო გასული და დააკავეს. არ ვიცი, რის გამო დააკავეს. ამ სასამართლოს უბედურება ისაა, რომ ამ ადამიანს არაფრის გამო 2 თვე მიუსაჯეს. სუპერმარკეტში სიგარეტი რომ იყიდა, ალბათ, ამის გამო მიუსაჯეს. მეორე ადამიანი, მეგობარი, გიორგი ლაპიაშვილი, 400 ლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ ჩემგან 10 მეტრში იდგა. ეს არის კრიმინალი, ეს არის დანაშაული, ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რას წარმოადგენს ეს ხელისუფლება, როცა უდანაშაულო ადამიანებს იჭერენ ქუჩაში.

***— თქვენ ფიზიკური შეურაცხყოფა ხომ არ მოგაყენეს?***

— 50 კაცი შემომესია და ჩამტენეს მანქანაში. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ პოლიციელები მეუბნებოდნენ, როგორ გაბედე ამის თქმაო. მათი პროტესტი კი არ დაფიქსირებულა, რატომ უთხარი და რატომ აპროტესტებო, ერთი მხრივ, შიშის განცდა იყო, მეორე მხრივ, გაოცება გამოხატეს, როგორ გაუბედე ამის თქმაო.

***— სასამართლოზე რა ხდებოდა?***

— ძალიან სერიოზული სასამართლო იყო. მადლობა მინდა გადავუხადო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატს, ტელევიზიებსა და არასამთავრობოებს, რომლებიც იქ იყვნენ. დარწმუნებული ვარ, მოსამართლემ თავის თავზე აიღო ჩემი გათავისუფლება. სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა აბსოლუტურად უსამართლოდ, მაგრამ იმ უსამართლო პროცესის შედეგი იყო მეტ-ნაკლებად ლოგიკური. მართალია, მე გამამტყუნეს იმაში, რაშიც მტყუანი არ ვიყავი, ეს იყო ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია, მაგრამ განაჩენი, რაც გამოიტანეს — სიტყვიერი გაფრთხილება — პრაქტიკულად, პრეცედენტი არ არსებობს ადმინისტრაციულ საქმეებში.

***— მოსამართლე ვინ იყო?***

— მოსამართლე იყო დიმიტრი კვირტიშვილი. მე მას მადლობას ვუხდი. თუ ამ მოსამართლეს რაიმე დაემუქრა, მე ვიქნები მისი პირველი დამცველი.

***— სასამართლოზე ბრალდების მხრიდან მოწმე იყო წარმოდგენილი?***

— მათი მხრიდან ერთადერთი მოწმე იყო პოლიციელი ვალერი აბაკუმოვი.

# გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ მეექვსედ გამოიცა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მწერლის გურამ დოჩანაშვილის კლასიკად ქცეული და გახმაურებელი რომანი „სამოსელი პირველი“ უკვე მეექვსედ გამოიცა. ახალი გამოცემის პრეზენტაცია „თიბისი გალერეაში“ გაიმართა და მწერალთან შეხვედრაც შედგა. როგორც შეხვედრაზე გაირკვა, ახალი ტირაჟით „სამოსელი პირველის“ გამოცემა მკითხველის უშუალო თხოვნით გადაწყდა.

ეს მწერლის რომანის უკვე მეექვსე გამოცემაა, რომელიც გამომცემლობა „მერიდიანმა“ დაბეჭდა. ლიტერატურის მოყვარულებს ახალი გამოცემის შეძენა წიგნის მაღაზიებში უკვე შეუძლიათ. ნაწარმოების წერა გურამ დოჩანაშვილმა 1966 წელს დაიწყო და მასზე 12 წლის განმავლობაში მუშაობდა. მისი პირველი ნაწილი 70-იან წლებში დაიბეჭდა და მაშინვე დიდი მოწონება დაიმსახურა. „თიბისი გალერეაში“ მკითხველთან შეხვედრამდე კი გურამ დოჩანაშვილი კახეთს ესტუმრა და გურჯაანის კულტურის ცენტრში მისი შემოქმედებითი საღამო გაიმართა. საღამოს ორგანიზატორებმა ცნობილი რომანის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“ ტელესპექტაკლის ჩვენება მოაწყვეს. ღონისძიების ორგანიზატორი გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა იყო. გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსმა ნიკა ნიჟარაძემ განაცხადა:

— გურამ დოჩანაშვილი ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მწერალია. მას ძალიან უყვარს გურჯაანი და გადავწყვიტეთ, მისთვის ერთი მოკრძალებული საღამო გვეჩუქებინა, მოგვეწვია და ბევრი ადამიანი გაგვეხარებინა მწერალთან უშუალო შეხვედრით.

„თიბისი გალერეაში“ კი გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრა თავისუფალი იყო. „სამოსელი პირველის“ განახლებული ტირაჟის პრეზენტაციაზე მწერალმა ავტოგრაფებიც მრავლად დაარიგა და შეკრებილ საზოგადოებასაც მიმართა:

— ჩემი ამ რომანის 5-6 გამოცემა უკვე მოხდა, რაც მკითხველის დიდი ინტერესით იყო გამოწვეული. ნებისმიერი შემოქმედისთვის დიდი პატივია, როცა მისი ნაწარმოების მიმართ ასეთი დიდი ინტერესია. ბედნიერი ვარ და ჩემთვის პირადად დიდი სიხარულია ასეთი თანადგომა ჩემი მეკითხველისაგან. დიდი მადლობა ყველას ასეთი სიყვარულისთვის, სითბოსთვის, თანადგომისა და კეთილგანწყობისთვის. მინდა სულ ვწერო, არ გავჩერდე, რათა იმედები და ნდობა ჩემს ერთგულ მკითხველს არ გავუმტყუნო.

# შსს-მ დაკარგული ადამიანები უნდა მოძებნოს

შორენა კოწოწაშვილი

**ოპოზიციური პარტიები და უფლებადამცველი ორგანიზაციები ხელისუფლებისგან იმ ადამიანების ვინაობისა და სრული სიის გახმაურებას ითხოვენ, რომლებიც სახალხო კრების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციების გამო დაიჭირეს.**



როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 26 მაისს რუსთაველზე განვითარებული მოვლენების, უფრო სწორად, ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხის ჯალათური ანგარიშსწორების შედეგად ათობით ადამიანი არ ჩანს და მათ შესახებ ოჯახის წევრებს არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია აცხადებს, რომ დაკარგულები არ არსებობენ.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი ლაშა თორდიას მიერ გავრცელებულ განცხადებას დროულად გამოეხმაურა და სააკაშვილის თანაგუნდელი უპასუხისმგებლო განცხადებების გავრცელებაში დაადანაშაულა.

— საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, ვციტირებ: უახლოეს დღეებში ხელისუფლება 26 მაისის საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების სიის გამოქვეყნებას გეგმავს. თუმცა სიის გამოქვეყნების ზუსტი დრო მან ვერ დააკონკრეტა, — განაცხადა თინა ხიდაშელმა ბრიფინგზე, რომლითაც პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ის ვადები შეახსენა, რომლის ფარგლებშიც ვალდებულია ხელისუფლება იმოქმედოს.

— მივმართავ ლაშა თორდიას და საქართველოს ხელისუფლებას: ეს ვადა დაკონკრეტებულია საქართველოს კონსტიტუაციაში. კონსტიტუციის მე-12 მუხლში შავით თეთრზე წერია, რომ ყველა დაკავებული პირი, მათ შორის ისეთი ადამიანებიც, რომელთა პიროვნების იდენტიფიკაციაც შესაძლოა რაიმე მიზეზის გამო ვერ ხერხდება, 48 საათის განმავლობაში უნდა წარედგინონ სასამართლოს. ეს არის ბოლო ვადა სასამართლოში წარდგენის, თუმცა იდენტიფიკაცია მათი, ამ ადამიანების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ბუნებრივია, მანამდე უნდა განხორციელდეს, — აღნიშნა თბილისის საკრებულოს დეპუტატმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, 27 მაისს, ღამით ამოეწურა ვადა ყველა ამ ადამიანის სასამართლოში წარდგენისთვის, რომლებიც რუსთაველზე აქციის დაშლა-დარბევის დროს დააპატიმრეს.

ხიდაშელის თქმით, სრულიად წარმოუდგენელია თორდიას განცხადება იმასთან დაკავშირებით, თითქოს რამდენიმე დღე სჭირდება დაკავებული პირების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

— ჩვენ მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს შს სამინისტრომ ყველა დაკავებულის სია, — აცხადებს რესპუბლიკური პარტიის სახელით თინა ხიდაშელი და ლაშა თორდიას განცხადების მეორე ნაწილსაც ეხმაურება. თორდიამ კი თავის განცხადების მეორე ნაწილში მიუთითა, ვრცელდება ინფორმაცია დაკარგულების შესახებ, თუმცა ასეთები არ არსებობენ.

— თუ ასეთები ანუ დაკარგულები არ არსებობენ, მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს დაკავებულების სიები და მეორე: დაუყოვნებლივ მისცეს ადვოკატებს თავიანთი კონსტიტუციური უფლებების განხორცელების უფლება და შესაძლებლობა. მისცეს ადვოკატებს შესაძლებლობა, შეხვედრის თავის დაცვის ქვეშ მყოფებთან და საკუთარ კლიენტებთან; აგრეთვე საზოგადოებისთვის, პირველ რიგში, მათი ოჯახებისთვის სრული ინფორმაციის მიწოდების. არსებობს ინფორმაცია 25 დაკარგული ადამიანის შესახებ, ოჯახის წევრები მათ შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. თუ თორდია დარწმუნებულია, რომ დაკარგულები არ არსებობენ, მე მოვითხოვ, ლაშა თორდიამ დღესვე აცნობოს საზოგადოებას, რა ღონისძიებები გაატარა შს სამინისტრომ იმისათვის, რომ ამ ადამიანების ძებნა განხორციელებულიყო. იმიტომ, რომ მათი ოჯახის წევრები ტელევიზიებში რეკავენ, რადიოებში აცხადებენ და ეძებენ დაკარგულ საკუთარ ოჯახის წევრებს. ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთება არ შეიძლება, როდესაც სრული ინფორმაცია არ გაქვს. თუ გაქვს ინფორმაცია, მაშინ საზოგადოებას აქვს უფლება, რომ ამ ინფორმაციას ასევე ფლობდეს, — აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა დღეისათვის ადამიანის უფლებების კუთხით არსებული ვითარება და ქვეყნის ძალოვანი უწყების მუშაობა ამ მხრივ, „რკინის მინისტრად“ ცნობილ კახა თარგამაძის მინისტრობის პერიოდს შეადარა და აღნიშნა, რომ დღეს გაცილებით მძიმე ვითარებაა.

— მე, როგორც უფლებადამცველი, რომელიც 15 წელი ამ საქმეს ვემსახურებოდი, სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, კახა თარგამაძის დროს არც ერთ პატიმართან შესვლის პრობლემა მე არ მქონია. ციხეში შესვლის პრობლემა არ მქონია კახა თარგამაძის დროს, რომელსაც ისტერიულად ვებრძოდი. ის, რაც ახლა იზოლატორებში ხდება, საქართველოში არასოდეს არ მომხდარა. ამას გეუბნებით სრული პასუხისმგებლობით, — აღნიშნა ბოლოს თინა ხიდაშელმა, რომელიც არ გამორიცხავს, რომ დღეისათვის აქციების დღეს გაუჩინარებული ადამიანების საქმეები საბოლოოდ სტრასბურგში მოხვდეს.

# დასავლეთმა ნელთბილი შეფასებები თავისთვის დაიტოვოს

## სააკაშვილის საქციელს ქართველი ხალხი შეაფასებს

შორენა კოწოწაშვილი

**რუსთაველის გამზირზე სამოქალაქო სექტორის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციას შეუერთდა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ ხალხის სამართლიანი აღშფოთება არ შენელდება და ეს პროტესტი სააკაშვილის გადადგომით დასრულდება.**

**ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ხელისუფლების მხრიდან აქციის დაშლისას ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას და ყოვლად დაუშვებელია აქციის მონაწილეების რუსთაველიდან ფაქტობრივად მოტაცება და გაუჩინარება-გადამალვა.**



გთავაზობთ ინტერვიუს დეპუტატ **დიმიტრი ლორთქიფანიძესთან.**

***— ბატონო დიმიტრი, როგორ შეაფასებდით პარლამენტის წინ ძალისმიერი გზით აქციის დაშლას და პროტესტს, რომელსაც საზოგადოება გამოთქვამს?***

— ძალიან სამართლიანია ხალხის აღშფოთება. არა მგონია, საღად მოაზროვნე ადამიანი, მოქალაქე საქართველოსი, ვისაც გული შესტკივა საქართველოზე, ამ პროტესტს არ იზიარებდეს. ვისთვისაც სულერთი არ არის ხალხის ბედი, უნდა იყოს აქ. ეს არის მნიშვნელოვანი სოლიდარობის აქტის გამომხატველი დღე. ეს არის იმის ნიშანი, რომ ხალხი ამას არ შეეგუება. ხელისუფლებამ ისე არ უნდა გაიგოს, რომ ხალხმა მიიღო ეს იმპულსები, შემდეგ კი დაივიწყა. ეს არის რეალურად ხალხის გამოღვიძების დღე, რომელიც აუცილებლად უნდა დამთავრდეს პრეზიდენტის წასვლით ამ ქვეყნიდან, უნდა დამთავრდეს მთავრობის ჩამოშლით, დაშლით და რეალურად ყველა დამნაშავე პირი უნდა იქნეს პასუხისგებაში მიცემული. ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ამის გარანტი იქნება საყოველთაო, სახალხო მღელვარების აქციების დაწყება, პერმანენტული აქციების დაწყება, რომელიც აღარ დამთავრდება მანამ, სანამ ამ ქვეყანაში კანონიერება და სამართლიანობა არ იზეიმებს. რაც შეეხება თავად აქციის დარბევას, ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს დაიგეგმა უშიშროების საბჭოში. ამის ამოცანა და მიზანი იყო აქციის არც ერთი მონაწილე არ გაქცეულიყო, არ დაძვრომოდა ამათ ხელიდან. ეს იყო ამათი მიზანი.

***— ანუ ის, რაც რუსთაველზე მოხდა 25 მაისს, ჯერ არ დამთავრებულა?***

— ის, რაც 26 მაისს მოხდა, არის ნათელი გამოხატულება იმისა, რომ საზოგადოებას საკუთარმა მთავრობამ მოუწყო ტერორისტული აქტი და ეს აქციები გარანტია იქნება იმისა, რომ ამერიკის ელჩი იქნება, ჩეხეთის ელჩი თუ ევროკავშირის წარმომადგენელი, გააკეთოს ადეკვატური შეფასებები. ხელისუფლებამ აქცია კი არ დაშალა, აქციის მონაწილეებს საშუალება არ მისცა, რომ წასულიყვნენ იმისათვის, რომ ყველა მათგანს სასტიკად გასწორებოდა. ეს იმისთვის გააკეთა, რომ საზოგადოების ყველა დანარჩენი წევრისთვის გაეგზავნა გზავნილი: იცოდეთ, ამას გაგიკეთებთ ყველა თქვენგანს. იყავით ჩუმად და იყავით მორჩილნი. ამ მორჩილებას მოითხოვდა 1956 წლის 9 მარტს საბჭოთა კავშირი, ამას მოითხოვდა საბჭოთა კავშირი 1989 წლის 9 აპრილსაც და ამ მორჩილებას მოითხოვს თავისუფლების სახელით მოსული ეს ხროვა, რომელიც ცდილობს, საკუთარი ხალხი დაიმორჩილოს. მაგრამ ვერ დაიმორჩილებს.

***— აქციის დაშლისას ძალის გადამეტებასთან დაკავშირებით დასავლეთის მხრიდან ნელთბილი შეფასებები გაკეთდა. ობიექტური განცხადებები გაკეთდა?***

— ნელთბილი შეფასებები თავისთვის დაიტოვონ. შეფასებებს გააკეთებს ხალხი, საზოგადოება და ისინი იძულებული იქნებიან თავიანთი შეფასებები ამ შეფასებებს გაუსწორონ.

***— ბატონო დიმიტრი, პრეზიდენტიდან დაწყებული ყველა ნაციონალი აცხადებს, რომ იმ დღეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო. გამორიცხავთ, რომ ხელისუფლებამ თუნდაც ამ აქციაზე მყოფი უფლებადამცველები სახელმწიფო გადატრალების მცდელობის ორგანიზატორთა მხარდამჭერებად გამოაცხადოს?***

— ვიმეორებ, აქ ლაპარაკია იმაზე, რაც უნდა ლეგიტიმური ყოფილიყო დაშლის აუცილებლობა, როდესაც დაშლას გააჩნია თავისი კანონით დაწერილი ნორმები და ამ ნორმების საწინააღმდეგოდ ამ ადამიანებს არ აძლევ წასვლის საშუალებას და ალყაში აქცევ დაწყებული 11 წლის ბავშვით და დამთავრებული მოხუცამდე, ყველას სჯი, შემდგომ ამას ყველას აჩვენებ, როგორ ყრიან ეს ადამიანები ასფალტზე. ეს არ არის იგივე, რასაც ზვიადაურს უკეთებენ — დარლასამც შეეწირებიო.

***— რას ნიშნავს აქციის მონაწილეთა თბილისიდან რეგიონების იზოლატორებში გადაყვანა, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებს ამუშავებს ხელისუფლება?***

— რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ იმდენად ბევრი ადამიანი დააპატიმრეს, რომ თბილისში ველარ ატევდნენ. თბილისში არის ორად ორი იზოლატორი. ეს იზოლატორები ველარ იტევდა ამ ადამიანებს. ამიტომ მარნეულში, გარდაბანში, მცხეთაში, გორში, თელავში, გურჯაანში — ყველგან, სადაც კი არის იზოლატორები, ხალხით გაავსეს. ამ ადამიანებს 5-წუთიანი მართლმსაჯულების განხორციელების პირობებში 30-დღიანი, 60-დღიანი და 90-დღიანი პატიმრობები შეუფარდეს. ჩვენ დღეს მათი საბოლოო სიებიც არ ვიცით. არ ვიცით, ვინ არიან დაკავებულები. ერთ მაგალითს გეტყვით, ვანის რაიონის წარმომადგენელი ზაქარია ხურციძე, რომელიც დააჯარიმეს 400 ლარით მიტინგში მონაწილეობისთვის, ღამის 3 საათზე მისი უბნის ინსპექტირი დაადგა სახლში თავზე 8 უფორმო ადამიანთან ერთად, მოკიდეს ამ ადამიანს ხელი და წაიყვანეს. მას შემდეგ ეს ადამიანი გაუჩინარდა. ათობით შემთხვევაა, როცა ადამიანები მიჰყავთ გაურკვეველი მიმართულებით. აღურიცხავია, რამდენი გარდაცვლილია ამ ვანდალური აქტის შედეგად, რამდენი ადამიანია გატაცებული და რამდენი — დაკავებული. რასაც შოთა უტიაშვილი აქვეყნებს, ეს არის არასრული ინფორმაცია.

***— დაბოლოს, ზემოთ უშიშროების საბჭო ახსენეთ. შემთხვევითი არ იყო ბოკერიას უწყებისთვის აქციებამდე ცოტა ხნით ადრე უფლემაბოსილების გაზრდა?***

— რა თქმა უნდა, უშიშროების საბჭოსთვის უფლებამოსილების გაზრდა, ეს არის პირდაპირი გამოძახილი ამ ვანდალური აქტისა, რომელიც თბილისში ვიხილეთ 25 მაისის ღამეს და 26-ში, გამთენიისას. ეს არის ამის გამოძახილი. შესაბამისად, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, მის ლიდერს — მიხეილ სააკაშვილს და მასთან ერთად თავისუფლების ინსტიტუტის სახელით მოსულ ბანდას, რომელიც დღეს უშიშროების საბჭოს სახელით მართავს ამ შიდა ბრძოლებს.

შედით საიტზე atb.ge

# ნაციონალებს მალე ზურგზე დავაგდებთ!

## ჯაბა ჯიშკარიანი ხელისუფლებას აფრთხილებს

ქეთი ხომერიკი



**„ჩემი ინფორმაციით, ათამდე ადამიანია გარდაცვლილი და, ასე ვთქვათ, მოკლული პოლიციელების მიერ, თუ მეტი არა და ეს აუცილებლად გამოაშკარავდება, არ დაიმალება. ის ბოროტება, რომელიც „ნაციონალურმა მო რაობამ“ ჩაიდინა, ალიან მალე უკან შემოუტრიალდება მათ და, სამწუხაროდ, ამას პატრიარქიც კი ველარ შეაჩერებს,“— განაცხადა, ჯიშკარიანმა. „ახალი თაობა“ „სამოქალაქო ფრონტის“ ლიდერს, ჯაბა ჯიშკარიანს ესაუბრა.**

***— როგორ აფასებთ „სახალხო კრების“ მიერ ორაგნიზებული აქციის ძალისმიერი გზით დაშლას, მმართველი გუნდი ირწმუნება, რომ აქციის, ასე ვთქვათ, დაშლა კანონის ფარგლებში განხორციელდა და სამართალდამცავები კანონის შესაბამისად იქცეოდნენ...***

— ხელისუფლების შეფასება ნაკლებად მაინტერესებს, რადგან მათი სამარცხვინო პოზიცია და ქმედება ქართულ საზოგადოებას არაერთხელ უნახავს. სააკაშვილი და მისი ჯგუფის წევრები, რომ კრიმინალები და ტერორისტები არიან, ეს საზოგადოებამ, მშვენივრად, იცის. ხალხმა ეს არაერთხელ ნახა და აქციის დარბევით, ეს აზრი, კიდევ ერთხელ, გამყარდა საზოგადოებაში. თუმცა, 28 მაისის აქციაზე საზოგადოების უფრო მეტ აქტიურობას მოველოდი ამ ყველაფერზე, ვინაიდან, ის რაც სააკაშვილმა გააკეთა 1989 წლის 9 აპრილს რუსეთის ჯარსაც კი, რომელსაც როდიონოვი მეთაურობდა არ გაუკეთებია. ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მაშინ ქართული პოლიცია კორიდორებს უკეთებდა ქართულ საზოგადოებას და ატარებდა, დღეს კი, ეს ყველაფერი შემოტრიალდა და ძალოვანი უწყების წარმომადგენლები პირიქით იქცეოდნენ. ისინი, პირდაპირ, ალყაში აქცევდნენ ადამიანებს და ცემით კლავდნენ, და ეს ფაქტები არსებობს. ჩემი ინფორმაციით, ათამდე ადამიანია გარდაცვლილი და, ასე ვთქვათ, მოკლული პოლიციელების მიერ, თუ მეტი არა და ეს, აუცილებლად, გამოაშკარავდება, არ დაიმალება. არავითარი ალლუმი არ ღირდა ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასადაც კი. ეს იყო პრინციპული, ასე ვთქვათ, ავანტურისტი სააკაშვილის პოზიცია, ეს არის ჯიუტი ადამიანი, რომელიც საკუთარ ახირებას და ავანტურას ანაცვალებს ერის და ქვეყნის თავისუფლებას. სააკაშვილი ადამიანებს სიცოცხლის უფლებასართმევს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

***— თქვენი აზრით, რატომ მოექცა ისე სასტიკად ხელისუფლება აქციის მონაწილეეებს, რატომ სცემეს და აწამებას ადამიანები, რომლებიც რეალურად, ძალოვნებს წინააღმდეგობას არ უწევდნენ, ამ ნაბიჯით განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები დასაჯეს? ასევე იყო თუ არა ეს ხალხის დაშინების მცდელობა, რომ ისინი ქუჩაში აღარასოდეს გამოვიდნენ?***

— რა თქმა უნდა, ეს მაგიტომ გაკეთდა. სააკაშვილმა კიდევ ერთხელ ანახა საკუთარ ხალხს, რომ მას ჰყავს ზონდერბრიგადები, მის მიერ დაჩმორებული სპეციალური რაზმი, თუ პოლიცია და ის არის ამ ყველაფრის განკარგულების გამცემი და ის ადამიანები შეასრულებენ ყველაფერს, რასაც ის უბრძანებს, აი, ეს დაანახა სააკაშვილმა საკუთარ ხალხს, ანუ მან კიდევ ერთხელ მოახდინა საკუთარი ძალის დემონსტრირება, იმისთვის, რომ დააშინოს ხალხი და ჩაახშოს ის პროტესტის გრძნობა, რომელიც ადამიანებს აქვთ. ეს ყველაფერი ემსახურებოდა სამოქალაქო საზოგადოებაში შიშის სინდრომის დათესვას, რომ მომავალში უფრო მეტი ხალხი არ გამოვიდეს ქუჩაში, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს ყველაფერი შემოუტრიალდება სააკაშვილს. დიახ, ძალიან მალე ქართული საზოგადოება ქვას, ქვაზე არ დატოვებს პირდაპირი მნიშვნელობით, ვიმეორებ, ქვას ქვაზე არ დატოვებს ქართველი ხალხი. ეს მოხდება, იმ სისხლის პასუხად, რომელიც სააკაშვილმა პარლამენტის წინ, რამდენიმე დღის წინ დალვარა. მისი სახელი და გვარის ხსენებაც კი მეზიზღება და საერთოდაც, ეს ადამიანი არათუ ციხეში, არამედ საქართველოდან უნდა იქნეს გაძევებული, ასეთია ჩემი აზრი.

***— ხელისუფლება ირწმუნება, რომ „სახალხო კრების“ აქცია კრემლში დაწერილი სცენარი იყო, რაზეც შსს მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერებიც მეტყველებს, ფიქრობთ, რომ „სახალხო კრება“ რუსეთიდან იმართებოდა?***

— ხელისუფლება ამით თავს იმართლებს, „სახალხო კრება“ რუსეთიდან, არავითარ შემთხვევაში, არ იმართებოდა. როგორ შეიძლება ნონა გაფრინდაშვილი, გოგი ქავთარაძე და რეზო ესაძე, იმართებოდეს რუსეთიდან. ან ჭაბუა ამირეჯიბი, რომელიც პატრიარქმა, ჩვენმა უწმინდესმა ბერად შერაცხა და რომელიც დღეს, ბერის რანგში ცხოვრობს და წმინდან ცხოვრებას ეწევა იმართებოდეს რუსეთიდან. იმ აზრის, გავრცელება, რომ კრება ემსახურება რუსეთს, მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს. ხელისუფლებას სურს, რომ გაამყაროს ეს აზრი საზოგადოებაში და მას ეს, ასე ვთქვათ, თავისი სპეცრაზმის, თუ ძალოვანი უწყებების დასაბოლებლად სჭირდება. იცით, ეს ადამიანები, როდესაც სცემდნენ მომიტინგეებს ეუბნებოდნენ, თქვე რუსეთის აგენტებო, რამდენი გადაგიხადათ ბურჯანაძემო და ა.შ. სახელმწიფო ტელევიზიებიც ხალხის ამაში დარწმუნებას ცდილობენ, რომ თითქოსდა, ჩვენ ვემსახურებით რუსეთს და ეს ხდება იმიტომ, რომ საზოგადოება ორ ნაწილად გაყონ. და იმისთვის, რომ დაბოლებული, დაჩლუნგებული და გაბრუებული საზოგადოების ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც სააკაშვილის მიერ არის მართული მიმართოს, მეორე ნაწილის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, მე კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ვისაც სჯერა, რომ სააკაშვილი დღეს არის ადამიანი, რომელიც წარმატების მომტანია ქვეყნისთვის, სჯეროდეს, რას ვიზამ, ეს მათი პოზიციაა, მაგრამ მეორე ნაწილს, რომელსაც ამის არ სჯერა მოვუწოდებ, რომ ყველანი ერთად გამოვიდეთ და ის სისხლი, რომელიც დაღვარეს არ შევარჩინოთ. ჩვენი ერთადერთი მოთხოვნა უნდა იყოს სააკაშვილის რეჟიმის დამთავრება სიცოცხლის ფასადაც, რომ დაგვიჯდეს მაინც. ჩვენ, უბრალოდ, გაჩერების უფლება, მშვიდობიანი აქციების გამართვის უფლება არ გვაქვს, რადგანაც სისხლი არის დაღვრილი. სამოქალაქო ომი დაიწყო სააკაშვილმა, რაზეც არის პასუხი გასაცემი. მან დახოცა ადამიანები საკუთარი პოზიციის და აზრის გამოთქმის გამო, ამაზე არის პასუხი გასაცემი. არ შეიძლება ამ ადამიანის ხელისუფლებაში დატოვება, უნდა აღიკვეთოს ყველა ის ქმედება, რასაც ამ დღეებში ახორციელებენ სამართალდამცავები და განაგრობენ ამ რადიკალურ, თუ ძალადობრივ ქმედებებს, აი, ეს უნდა აღიკვეთოს, დამთავრდეს და ამას შველის მხოლოდ ერთი რამ □ სააკაშვილის ხელისუფლებიდან გაგდება, მიტაცებული შენობების, თანამდებობების და სკამების დაბრუნება და დემოკრატიული არჩევნების მშვიდობიანი გზით ჩატარება და ნორმალური ხელისუფლების მოსვლა, რომელიც შემდეგ ყველა დამნაშავეს განაჩენს გამოუტანს.

***— კი, მაგრამ ხალხის დიდი ნაწილი არ გამოდის ქუჩაში და აქციაზე გამოსული ადამიანების იმ მცირე ნაწილს კი, როგორც გაუსწორდა მმართველი გუნდი ყველამ დავინახეთ, ამ ფონზე გამოსავალი რა არის, რა გზით უნდა მოხდეს ხელისუფლების შეცვლა?***

— მოდით, პირდაპირ გეტყვით, მარტო, რომ დავრჩე ერთი ადამიანი იმდენს მაინც გავაკეთებ, რომ ამ ადამიანებს არ დავტოვებ ხელისუფლებაში. პროტესტი არის ყოველთვის გადამდები, მე შემიძლია გაგახსენოთ 2006 წელი, მაშინ, როდესაც სანდრო გირგვლიანი მოკლეს, ათი კაცის გარდა არც ერთი ადამიანი არ გამოდიოდა ქუჩაში, მაგრამ თქვენ ნახეთ, ზუსტად ერთ წელიწადში, 2007 წლის შემოდგომაზე როგორ გადაედო მათ ხალხის პროტესტი და, ასე ვთქვათ, გაიღვიძა საქართველომ. მაშინ ჩვენ, ასიათასობით ადამიანი ვნახეთ ქუჩაში.

***— თუმცა, კონკრეტული შედეგი მაშინაც ვერ იქნა მიღწეული... რას აპირებს „სამოქალაქო ფრონტი“?***

— არსებობს სააკაშვილის შეცვლის კონკრეტული გეგმა და ეს არის ქუჩა. „სამოქალაქო ფრონტი“ ქუჩის გზით აპირებს მოქმედებას და თქვენ ნაციონალურ მოძრაობას□და სააკაშვილს ძალიან მალე ნახავთ ზურგზე დაგდებულს. ვიმეორებ ძალიან მალე, რამდენიმე ათეულ დღეში. აქვე მინდა, ერთი რამ განვაცხადო: ის ბოროტება, რომელიც „ნაციონალებმა“ ჩაიდინეს, ძალიან მალე უკან შემოუტრიალდებათ და სამწუხაროდ, ამას პატრიარქიც კი ველარ შეაჩერებს და ეს მინდა, რომ კარგად იცოდნენ მათ.

***— და კვლავ შსს მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერებს მინდა მივუბრუნდე, ეს ჩანაწერები რამდენად სანდოა, უნდა იქნენ, თუ არა ბურჯანაძე და სხვა ლიდერები პასუხიგებაში მიცემულნი?***

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს არც ჩანაწერს, არც გია უჩავს ჩვენებას, ჩემთვის არის მთავარი ის, რომ სისხლი დაიღვარა და ამაზე პასუხია გასაცემი. ქართველმა მოკლა ქართველი, რაზეც არის პასუხი გასაცემი. და ეს ყველაფერი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების დაკვეთით და ბრძანებით მოხდა. ვიმეორებ, ეს ყველაფერი არის სასწრაფოდ აღსაკვეთი საქართველოში.

***— ოპოზიციის ნაწილმა ბურჯანაძე უპასუხისმგებლო პოლიტიკოსად მოიხსენია, არეშიძეს თქმით, კი ბურჯანაძემ იცოდა, რომ დარბევა მოხდებოდა და შეგნებულად წავიდა ამ ნაბიჯზე, ლიდერი მეტი პასუხისმგებლობით არ უნდა მოკიდებოდა ამ ყველაფერს, წავიდა თუ არა ბურჯანაძე პროვოკაციაზე?***

— არ ვიცი, არეშიძე რას აცხადებს, მე ვიცი ერთი რამ: ბურჯანაძემ გამოიჩინა, ასე ვთქვათ, ურყევი პოზიცია, ის დადგა საკუთარი პრინციპების ერთგული და გააკეთა ის, რასაც ქართველი ხალხის ნაწილი ითხოვდა. მან ხალხი ქუჩაში გამოიყვანა და ის მათ სახლებში ვერ გაუშვებდა. ყველას ჰქონდა გაცნობიერებული რაზე მიდიოდა, ვინაიდან სახალხო კრება იყო ერთი ორგანიზმი და მისი გადაწყვეტილება იყო ეს ყველაფერი. მე, არ ვიცი, ვინ რას იტყვის, თუმცა ბურჯანაძისკენ თითის გაშვერა, არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება, რადგან ეს ადამიანი ბოლომდე დადგა ამ ბრძოლაში და მე, ამას ვაფასებ. არ შეიძლება ამ ყველაფრის არ დანახვა, რაც შეეხება ხელისუფლებას, აი, ამ ყველაფერზე, იგივე აქციის გამართვაზე, იქ გამოვლენილ ძალადობაზე და დახოცილ ადამიანებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ სააკაშვილს, მერაბიშვილს და იმ კრიმინალურ კლანს, რომელიც მართავს დღეს რეჟიმს ეკისრებათ.

***— თუმცა, აქციის ორგანიზატორებსაც ხომ შეეძლოთ, რომ აქცია სხვაგან გაემართათ, ხელისუფლებამ არაერთხელ გაფრთხილა ლიდერები და ფაქტობრივად, უთხრა თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა არასანქცირებულ აქციას შედეგად, რატომ არ მოიქცნენ ასე?***

— ხელისუფლება არ არსებობს საქართველოში, ის არალეგიტიმურია.დაგავიწყდათ ხალხო ის, რომ მათ სკამები მიტაცებული აქვთ? არჩევნები 5 იანვარს გაყალბდა. და როდესაც ხელისუფლება არალეგიტიმურია,შესაბამისად, ნებისმიერი ორგანოს მიერ გაცემული ბრძანებაც არის არალეგიტიმური. აქედან გამომდინარე, მერიის გაცემული ბრძანებაც არის უკანონო და საერთოდაც, ვფიქრობ, რომ აქციის გამართვას არავითარი სანქცია არ სჭირდება. 28 მაისს გაიმართა არასანქცირებული აქცია, რომელიც ვერ დაარბიეს.ვიმეორებ, ის ბოროტება და ძალადობა, რომელიც მათ 26 მაისს ჩაიდინეს შემოუბრუნდებათ, ვინაიდან ძალადობა შობს ძალადობას. ეს ნაცისტები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ ურტყამდნენ და კლავდნენ ადამიანებს ძალიან მალე ჩაჯდებიან ციხეში და აგებენ პასუხს.

***— და თქვენ თუ იყავით აქციაზე დარბევის დროს?***

— 26 მაისს, აქციაზე კონკრეტულად დარბევის დროს არ ვყოფილვარ, რადგან ჩემს მეგობარს, დავით კირკიტაძეს სახლთან დახვდნენ და სასტიკად სცემეს, რომელსაც თავზე მრავალი ჭრილობა აღენიშნება.

***— თქვენი აზრით, რატომ სცემეს, იმიტომ, რომ ხელი შეეშალათ თქვენთვის რათა აქციაზე ვერ მისულიყავით?***

— არ ვიცი, მას ორი მანქანით დაესხნენ თავს. ჩემს სახლთანაც იყო მობილიზებული რამდენიმე პოლიციის მანქანა, ასევე იქაც სადაც ვიმყოფებოდი, საიდანაც კირკიტაძესთან გავედი. არ ვიცი, ეს კონკრეტულად რას ემსახურებოდა, მაგრამ პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ კირკიტაძის ცემაში ვინც ღებულობდა მონაწილეობას, ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ვინაობა ვიცი და მე, მას გავცემ პასუხს, ცხვირპირს დავუმტვრევ. აქვე, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, რომ ქართველ ხალხს გამოფხიზლებისკენ მოვუწოდო. ჩემო ძმებო და დებო მოკლეს ბევრი ადამიანი, ჩვენი თანამოქალაქეები, რაზეც თითოეულმა ჩვენთაგანმა პასუხი უნდა გავცეთ. ჩვენ, უბრალოდ, გაჩუმების უფლება არ გვაქვს. თუ შეგვჩა ღირსება და სამართლიანობის განცდა ამაზე თვალები არ უნდა დავხუჭოთ და ძალიან მალე უნდა გამოვიდეთ მთელი საქართველო, ქუდზე კაცი ქუჩაში და უნდა დავამთავროთ ეს რეჟიმი. ვიმეორებ, უნდა დავამთავროთ ნებისმიერი გზით, სიცოხლის ფასადაც, რომ დაგვიჯდეს მაინც. დიახ, ტყვიაზეც უნდა წავიდეთ და უნდა დავამთავროთ რეჟიმი, რომელიც კლავს ადამიანებს. და კიდევ ერთი, ყველა ის ადამიანი, რომელიც დღეს იზიარებს სააკაშვილის ხელისუფლების პოზიციას ავტომატურად არის თანამონაწილე იმ სისხლისა, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაიღვარა, დანარჩენი ადამიანები, რომლებიც დგანან ნეიტრალურ პოზიციაზე, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას ძალადობის გაპროტესტებაში ავტომატურად ხდებიან თანამონაწილენი დანაშაულისა, ვინაიდან დუმილი ნიშნავს თანამონაწილეობას და სიჩუმე ნიშნავს დანაშაულის გაზიარებას. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ, ვთხოვ ყველა რიგით ქართველს, რომ აიმაღლოს ხმა და დადგეს სიმართლის სადარაჯოზე.

# სააკაშვილს სულ რუსული ფული ელანდება

ნათია ხურცილავა

**არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მოქალაქეებმა 26 მაისს მომხდარი ფაქტები გააპროტესტეს. მდუმარე მსვლელობაში მონაწილეობა მიიღეს მოქალაქეებმა პოლიტიკური სიმპათიების განურჩევლად. საპროტესტო მსვლელობაში მონაწილეობა პოლიტიკოსებმაც მიიღეს, მაგრამ მთავარი არა პოლიტიკოსები, არამედ რიგითი ადამიანები იყვნენ.**

თუ ექსპერტებს დავუჯერებთ, მათი განცხადებით, 26 მაისის დარბევის მთავარი გზავნილი მოქალაქეების დაშინება იყო, რათა ვერავინ გაბედოს პროტესტის გამოხატვა.

თუ ამ მესიჯის ადრესატი ქართველი საზოგადოება იყო, მაშინ მის გამომგზავნს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

მდუმარე პროტესტი, რომელიც არასამთავრობოების მიერ იყო ორგანიზებული, გაცილებით მრავლისმეტყველი იყო, ვიდრე მთელი ის აქციები, რომლებსაც 26 მაისი მოჰყვა.

ექსპერტების განცხადებით, თუ ქვეყანაში პროტესტი არ იქნება, მაშინ დემოკრატიაზე საუბარიც კი ზედმეტია.

— ხელისუფლებამ სასტიკი ანგარიშსწორება მოუწყო მშვიდობიან მომიტინგეებს, დაარბია აქცია და ფიზიკურად გაუსწორდა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს. უფლებადამცველები მომხდარს ვაფასებთ, როგორც სასტიკ სადამსჯელო უკანონო ღონისძიებას საკუთარი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ უჭერენ მხარს ძალადობრივ რეჟიმს. ბრძანების გამცემმა და შემსრულებელმა პირებმა დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კოდექსი. აქციის მონაწილეთა დაშლის სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს არგუმენტი, რომლითაც გამართლებული იქნებოდა მშვიდობიანი მომიტინგეების დაკავებისა და მათთვის ხელბორკილების დადების შემდეგ ფიზიკური ძალადობის განხორციელება, მათ შორის, პოლიციის სამმართველოში. იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა სპეცოპერაციის დამგეგმავი და მონაწილე პირების ქმედებაში, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობით, დარღვევას, სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის დარღვევას, რაც გულისხმობს თავისუფლების უკანონო აღკვეთას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით. სისხლის სამართლის 144-ე მუხლის, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე პრიმის, განზრახ უკანონო დაკავებისა და სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. მოვითხოვთ, შეაჩერონ მასობრივი რეპრესიები და ანგარიშსწორება. შეიქმნას საგამოძიებო კომისია საზოგადოების მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირების მონაწილეობით. ობიექტური გამოძიების შედეგად დაისაჯოს ყველა პირი, — ასეთია ის მოთხოვნები, რომლებიც ადამიანის უფლებადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# სააკაშვილს სულ რუსული ფული ელანდება

დასაწყისი მე-10 გვერდზე

**ზაქარია ქუცნაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი:**

— 26 მაისს დიდი დანაშაული მოხდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ. დანაშაული გამოიხატა იმით, რომ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი უფლებებისთვის იბრძოდნენ, ზოგს სიცოცხლე წაართვეს, ზოგს ჯანმრთელობა დაუზიანეს, ზოგს თავისუფლება აღუკვეთეს, ზოგი გაიტაცეს. ეს იყო დანაშაული, რომლის მსგავსი 22 წლის წინ 9 აპრილს მოხდა. თუმცა, მაშინ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა იძალადეს ქართველ ხალხზე. დღეს ქართველებმა იძალადეს ქართველებზე და ამით ამაყობენ.

— გაუჩინარებული ადამიანების შესახებ რას იტყვით?

— დარწმუნებული ვარ, რომ ყველა გატაცება ხელისუფლების მიერ მოხდა. ყველა გატაცებული ადამიანი ერთი მიზნით იყო წაყვანილი. როდესაც დაკავებული მიჰყავთ სამართალდამცავ სტრუქტურაში, იქ ნაკლებად გეშინია, რადგან იცი, რომ ვერ მოგკლავენ, შეიძლება გცემონ, მაგრამ, როდესაც გატაცებული სასაფლაოზე, ტყეში მიჰყავთ, მაშინ სულ არ აინტერესებთ კანონი და სამართალი. ადამიანები იმიტომ გაიტაცეს ტყეში და სასაფლაოზე, რომ მიხვდნენ, ქართველებს დაპატიმრების უკვე აღარ ეშინიათ. სააკაშვილი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ცდილობს, მმართველობა შიშის ფაქტორით შეინარჩუნოს. არა დარწმუნების, არა სიყვარულის, არა ახსნის, არამედ შიშის ფაქტორით. როდესაც ნებისმიერი მოქალაქე იმიტომ უნდა დაემორჩილოს ამ უკანონო კანონებს, რომ აიცილოს ცემა, თავისუფლების აღკვეთა და უკვე გატაცება, რადგან გატაცება ახალ ფორმად შემოვიდა, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რომ ქართველი სხვა ბუნებისაა. ის შეიძლება მოკვდეს, შეეწიროს, მაგრამ თავისუფლებას არ დათმობს. ეს შეკრებაც, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მიერ არის ორგანიზებული, იმის ნიშანია, რომ ქართველების შეშინება შეუძლებელია. ამიტომაც ეს ბრძოლა ხელისუფლების მხრიდან წაგებულია. ცუდი ის არის, რომ ამ ბრძოლაში ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, საკუთრების დანაკარგები გვაქვს. თუმცა, არჩევანი ასეთია — ან შეგუება, ან ბრძოლა. ვიღაცა შეეგუება, ვიღაც — ვერა და იბრძოლებს.

— პასუხისმგებლობის საკითხზე რას იტყვით? ვის ეკისრება ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა?

— თუ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, უნდა დადგეს როგორც დამკვეთების, ისე შემსრულებლების. რომ არ ყოფილიყო უკანონო ბრძანება, არ იქნებოდა მისი აღსრულებაც. ამ ბრძანებით პრეზიდენტი ამაყობს.

— რომ სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა...

— მას თანამდებობის შენარჩუნება სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ჰგონია. მთელი მისი სიმცდარე იმაშია, რომ თუ სკამზე იჯდება, ჰგონია, რომ საქართველო კარგად არის. ასე გამოგვიცხადეს 7 აგვისტოსაც, რომ ქვეყანამ გაიმარჯვა, რადგან სკამზე დარჩა, რეალურად კი ქვეყანა დამარცხდა. ასევე დამარცხდა ქვეყანა 26 მაისს, რადგან ხალხი დაიღუპა და ხალხზე იძალადეს. ის, რომ სკამზე ზის, არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებულია.

**ზურაბ აბაშიძე, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი:**

— ჩვენ სოლიდარულები ვართ. პარტიულ კუთვნილებას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. როგორც მოქალაქე, მე გამოვედი და ვდგავარ ჩემი ხალხის გვერდით. უნდა განვაცხადო, რომ ის, რაც 26 მაისს მოხდა, გამოძიებული უნდა იყოს და ყველა დამნაშავე უნდა დაისჯოს, უნდა დაისაჯონ იმიტომ, რომ ადამიანები ასეთ რთულ და მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანეს და უმოწყალოდ გაუსწორდნენ. ადამიანები დაიხოცნენ და ეს უმძიმესი დანაშაულია. ეს ხალხი ხელისუფლებამ მოკლა. დაკავებული ადამიანები უნდა გაათავისუფლონ და ყველა თავის ოჯახს უნდა დაუბრუნდეს. ყველა დამნაშავე სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული. რაც შეეხება მორალურ პასუხისმგებლობას, ეს მეორე საკითხია, როგორ გაიმართა 26 მაისს აღლუმი, ესეც ვნახეთ. ვიმეორებ, პოლიტიკურ-მორალური პასუხისმგებლობა ყველას ეკისრება.

— არ უნდა გამართულიყო აღლუმი?

— რა თქმა უნდა, არ უნდა გამართულიყო, როდესაც ადამიანები დაიხოცნენ. ვის ეაღლუმებოდა. არც ერთი ზნეობრივი ადამიანი ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

**შალვა ნათელაშვილი, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი:**



— რუსეთმა გამოგვიგზავნა ფული ყველას და დაგვავალა, რომ დღეს რუსთაველის პროსპექტზე უნდა შევკრებილიყავით. ხომ ხედავთ, რომ რუსული ფულის გარეშე, პოლიტიკური პარტიების გარეშე, მოწოდებების გარეშე ამდენი ათასი ადამიანი შეიკრიბა. სააკაშვილმა უნდა იცოდეს, რომ მისი ხვალინდელი დღე ეს არის. სააკაშვილი ხალხის რისხვას შეეწირება. იმ ხალხის რისხვას, რომლის ორგანიზებული მკვლელობაც მან ამ გამზირზე ჩაიდინა რამდენიმე დღის წინ.

— ბატონო შალვა, თქვენი მთავარი მოთხოვნა რა არის?

— ჩვენი მთავარი მოთხოვნა სააკაშვილის მოცილება და მოუსავლეთში გაგზავნაა. კარგია, რომ ასე აჩვენა თავისი სახე, მაგრამ ცუდია, რომ ამას ხალხი შეეწირა. ადამიანები დაიღუპნენ. დიქტატორები და მანიაკები ნებაყოფლობით ხელისუფლებას არ თმობენ, მათ შორის, არც არჩევნებით.

— თუ ასეა, თქვენი გზა როგორია?

— სამწუხაროდ, მათ წინააღმდეგ საჭიროა ზოგჯერ ხანგრძლივი ბრძოლა, რაზეც ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ და ყველამ ჩვენი აგური უნდა დავდოთ საქართველოს საკეთილდღეოდ.

— როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

— სააკაშვილის გადადგომა გარდაუვალია. სხვა შემთხვევაში საერთო-სახალხო რევოლუცია იქნება სახეზე და მერე რაც უნდათ, ის დაგვაბრალონ.

**კოკა გუნცაძე:**

— მოვედი იმ ტერორის, სისასტიკის, ადამიანებზე ნადირობის გასაპროტესტებლად, რომელიც იყო ამ ხელისუფლების მხრიდან 26 მაისს. ბუნებრივია, როგორც ადამიანი, სოლიდარობას ვუცხადებ ყველას, ვინც ამ ხელისუფლების ტერორის მსხვერპლი გახდა. მე მოვედი აქ ჩემი შინაგანი რწმენის საფუძველზე. რაც შეეხება პარტიას, ამის შესახებ უახლოეს ხანებში შესაბამისი განცხადება გაკეთდება.



**დიმა ჯაიანი:**

— ბატონო დიმა, სად იყავით, ნაცემი ხომ არ ხართ?

— არა, ნაცემი არ ვარ. კინოთეატრ „რუსთაველში“ შევედით მე, ჩემი ვაჟი, გოგი ქავთარაძე, სოსო ჯაჭვლიანი. იყო შეტევები, მაგრამ ოთხი სპეცრაზმელი იყო ჩვენ ირგვლივ და მათ სხვები არ მოუშვეს ჩვენს საცემად. არ ვიცი, ეს გეგმის ნაწილი იყო თუ ის ოთხი ადამიანი იყო ღვთისნიერი, თუმცა, ამით არავის ვამართლებ. ჩემ გვერდით ბევრად ჩემზე ვაჟკაცს, ჩემზე პატრიოტსა და პატიოსანს უმოწყალოდ სცემდნენ. ეს იყო საშინელება. სამი ჯგუფი იყო.

— ვისზე საუბრობთ?

— სპეცრაზმზე. შინდისფერიანები, ლურჯები და შავები. უკან შავები მოდიოდნენ. ასეთ საქართველოში მე ცხოვრება არ მინდა.

— „შავში“ რას გულისხმობთ, შავი „სპეცოვკა“ ეცვათ?

— თავიდან ბოლომდე შავი „სპეცოვკა“ ეცვათ. ისინი რასაც აკეთებდნენ, არ ვაჭარბებ, ერის ტრაგედიაა.

— ერთი მაგალითი მითხარით, რას აკეთებდნენ?

— ერთი ცალფეხა კაცი იყო ოჩამჩირიდან დევნილი, შარვლის ტოტი ჩაკეცილი ჰქონდა. რომ დაარტყეს, მეორე სართულიდან პირველზე ჩაფრინდა, დავარდა და თავი გაუსკდა. მერე რვა სპეცრაზმელი გამეტებით ურტყამდა. ყველაფერი რომ ავხსნა, გეტყვით იმას, რაც გოგი ქავთარაძემ მითხრა: აქ რომ არ ვყოფილიყავი, ჩემი თვალით არ მენახა და ეს ჩემთვის შენ მოგეყოლა, არასოდეს დაგიჯერებდიო.

— გოგი ქავთარაძე რა მდგომარეობაშია?

— რეზინის ტყვია აქვს ყურთან მოხვედრილი და გასიებული აქვს. გია ბურჯანაძე და სოსო ჯაჭვლიანია არიან ნაცემები. გიას თავი აქვს გახეთქილი. სოსო მცხეთის იზოლატორშია, ერთთვიანი აქვს მისჯილი. აქ ისე კარგად გვეპყრობოდნენ და მერე რატომ სცემეს, არ ვიცი. რომ შემოვიდნენ, მე და გოგი დავეცით. რომ არა ჩემი ვაჟი და სოსო ჯაჭვლიანი, ხალხი გადაგვივლიდა, გაგვჭყლეტდა, მაგრამ უცებ ფეხზე დაგვაყენეს. გასასვლელს ვეძებდით, ვერსაიდან გავდიოდით, ყველა მხრიდან ჩაკეტილი იყო, ყველგან ისინი იდგნენ. მერე ერთადერთი გზა იყო, რომ კინოთეატრში შევსულიყავით. საშინელება მოხდა, 48 კაცი უგზო-უკვლოდ არის გამქრალი. ჩვენთან მშობლები, ახლობლები იყვნენ, ტირიან, ბღავიან, რა ქნას იმ ხალხმა.

— ნინო ბურჯანაძემ ადრე დატოვა აქცია?

— არა. ეს ტყუილია. კი არ დატოვა, დაატოვებინეს.

— ვინ?

— დაცვამ. ნუ მიგყავართო.

— თუმცა, კადრები არის, სადაც ჩანს, რომ თავისი ფეხით მიდის...

— არა, ხალხთან უნდოდა, ყოფილიყო. მე ბურჯანაძის პარტიის წევრი არ ვარ, მე ხალხის გამო ვიდექი, არავისთვის არ ვმდგარვარ.

— რას აპირებს „სახალხო კრება“?

— არ ვიცი, რას აპირებს „სახალხო კრება“. მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ბოლომდე ვაპირებ ბრძოლას.

# შეიქმნება თუ არა პარლამენტში საგამოძიებო კომისია?

**შეიქმნება თუ არა პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც 26 მაისს აქციის დაშლის დროს მომხდარ საკითხს შეისწავლის? საპარლამენტო ოპოზიციის ერთი ნაწილი ასეთი კომისიის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს, თუმცა, ოპოზიციის მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ პარლამენტში მსგავსი კომისიის შექმნას აზრი არა აქვს, რადგან ის ობიექტურად არ იმუშავებს.**

ნანა მიშელაშვილი

პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას უმრავლესობის თანხმობა სჭირდება. მხოლოდ ოპოზიციის მოთხოვნით მსგავსი კომისია არ იქმნება. თითქმის ყველა პარლამენტში მმართველი პარტია თავს იკავებს სხვადასხვა საკითხის შესასწავლად საგამოძიებო კომისიის შექმნაზე. ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ უმრავლესობა არც ახლა დასთანხმდება პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას აზრი არა აქვს, რადგან ის ობიექტურად ვერაფერს გამოიძიებს. სწორედ აქედან გამომდინარე, ცაგარეიშვილი მსგავსი კომისიის შექმნას არ ითხოვს, ხოლო მისი შექმნის შემთხვევაში, კომისიის წევრობას არ აპირებს.

გიორგი ცაგარეიშვილისგან განსხვავებით, ოპოზიციონერ დეპუტატთა ერთი ნაწილი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ მოთხოვნას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ამ კვირაში დასვამს, თუმცა, რამდენად განხორციელებადი იქნება ეს საკითხი ამ დღეებში გაირკვევა.

მმართველი პარტიის წევრების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქმე ჯერ სამართალდამცავებმა უნდა გამოიძიონ და პარლამენტი მათ მუშაობაში არ უნდა ჩაერიოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 26 მაისს მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს, პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას ამ ეტაპზე არ უნდა ველოდოთ.

რაც შეეხება 26 მაისს აქციის დაშლის დროს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციას, მათმა დიდმა ნაწილი საკუთარი პოზიცია უკვე გამოხატა.

რუსთაველის გამზირზე აქციის დროს ძალის გადამეტების თაობაზე ინფორმაციასთან დაკავშირებით გამოძიებას მოითხოვს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, საქართველოს საკითხებზე მომხსენებლები კასტრიო ისლამი და მაიკლ იენსენი აქციის დაშლისას არაპროპორციული და გადამეტებული ძალის გამოყენების თაობაზე ინფორმაციის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ. ამასთან, ისინი ეჭქვეშ არ აყენებენ დემონსტრანტების დაშლის შესახებ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების ლეგიტიმურობას, რადგან რუსთაველის გამზირზე დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი უნდა გამართულიყო, დემონსტრანტებმა კი სხვა ადგილზე გადანაცვლებაზე უარი განაცხადეს. მომხსენებლებმა გამოთქვეს შეშფოთება რიგი ინფორმაციების გამო იმის შესახებ, რომ პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული და გადამეტებული ძალა დემონსტრანტების დასაშლელად.

— ხელისუფლებამ სრულად, დამაჯერებლად და გამჭვირვალედ უნდა გამოიძიოს ეს ინფორმაციები და გამოძიების შედეგები საზოგადოებას გონივრულ ვადებში წარუდგინოს. ამავდროულად, ყველა მხარეს მოვუწოდებთ შეინარჩუნონ სიმშვიდე და აღარ მოახდინონ სიტუაციის ესკალაცია, — ნათქვამია ასამბლეის ოფიციალურ ინფორმაციაში.

საქართველოს ხელისუფლებას ბოლო დღეების მოვლენების დროს ადამიანების სიკვდილის ფაქტების გამოძიებისკენ მოუწოდებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი.

26 მაისს, აქციის დაშლის დროს ჟურნალისტებიც დაზარალდნენ. ამ ფაქტის გამო საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“. ეს ორგანიზაცია თბილისში დემონსტრაციის დაშლისას ჟურნალისტებზე ძალადობის გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ პოლიცია 12 ჟურნალისტს თავს დაესხა და დააკავა.

— ჟურნალისტების, რომლებიც მოვლენებს აშუქებდნენ წინააღმდეგ ძალის გამოყენება შეუწყნარებელია. ვუცხადებთ როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას, რომ ჟურნალისტები არ უნდა იყვნენ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების თანმდევი მსხვერპლი, — ნათქვამია ამ ორგანიზაციის განცხადებაში.

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ აღნიშნავს, რომ დემონსტრაციის დაშლისას ჟურნალისტებს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, მათ ჩამოართვეს ან დაუმტვრიეს ფოტოაპარატები და ვიდეოკამერები, ზოგი რეპორტიორი კი უსაფუძვლოდ დააკავეს.

— პოლიციამ კარგად იცოდა, რომ ჟურნალისტები იქ იმყოფებოდნენ როგორც რეპორტიორები. ზოგ ჟურნალისტს სცემეს იმის მიუხედავად, რომ ისინი ნათლად იყვნენ იდენტიფიცირებულნი. პოლიციამ ჩამოგლიჯა მათ პრესის მოწმობები. შესაძლოა, დაზარალებული რეპორტიორების სია კიდევ უფრო გაიზარდოს, — ნათქვამია ორგანიზაცია — „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ განცხადებაში.

ამ ორგანიზაციის განცხადებაში ჟურნალისტებზე განხორციელებული კონკრეტული ძალადობის ფაქტებიც არის მოყვანილი.

— ჟურნალისტები უფრო მეტად ხდებიან პოლიტიკური პროცესების მძევლები. თუმცა, პრესის თავისუფლების მხრივ, ვითარება საქართველოში გაცილებით უკეთესია, ვიდრე მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში. ჟურნალისტები ყოველდღიურად არიან ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმების სამიზნეები, — ნათქვამია ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ განცხადებაში.

ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტებს გმობს საპარლამენტო ოპოზიცია. ისინი სამართალდამცავებს მოუწოდებენ ობიექტური გამოძიება ჩაატარონ და ყველა ის პირი დაისაჯოს, ვინც ჟურნალისტებს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელს უშლიდა.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც 26 მაისის შემდეგ დაკარგულებად ითვლებიან, მათ შესახებ რამდენიმე დღეა ინფორმაციას ითხოვენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. ოპოზიცია მოითხოვს, რომ დაკარგული პირების შესახებ ზუსტი ინფორმაცია გამოქვეყნდეს და ისინი საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ.

კიდევ ერთი, ოპოზიცია და სახალხო დამცველი მოითხოვს, რომ რუსთაველის გამზირზე დაკავებულ პირებს საშუალება მიეცეთ დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს.

დაკავებულთა ოჯახის წევრები რამდენიმე დღის განმავლობაში საუბრობენ იმაზე, რომ მოკლებული არიან შესაძლებლობას, იცოდნენ, სად იმყოფებიან დაკავებულები.

იურისტები განმარტავენ, რომ ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა სამ უფლებას: შეატყობინოს თავისი დაკავების ფაქტის შესახებ მესამე მხარეს, რომელსაც თვითონ აირჩევს (ოჯახის წევრს, მეგობარს, საკონსულოს); უფლებას ადვოკატზე და უფლებას, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება იმ ექიმის მიერ, რომელსაც აირჩევს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით, ეს არის სამი ძირითადი საშუალება, დაკავებული პირების სასტიკი მოპყრობისაგან დასაცავად, რომელიც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის საწყის ეტაპზე.

# „მზიურში“ „მზის ფესტივალი“ ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

**პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ბავშვთა ქალაქ „მზიურში" ყოველწლიური დღესასწაული „მზის ფესტივალი" უკვე მეექვსედ გაიმართება. ღონისძიების ორგანიზატორი და ავტორი ანა გოგუაძეა. როგორც თავად ამბობს, ყველაფერი ერთ ჩვეულებრივ დღეს დაიწყო და აი, უკვე 6 წელია გრძელდება.**

**ანა გოგუაძე, ფესტივალის ორგანიზატორი:**

— „მზის ფესტივალი — ჩვენ ვხედავთ მზეს“ ყოველ წელს, პირველ ივნისს, ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ ტარდება. მისი სლოგანი ყოველწლიურად იცვლება, თუმცა, სათქმელი ერთია — ჩვენ ყველანი ვხედავ მზეს! მზის ზეიმი „ჩვენ ვხედავთ მზეს“ პირველად 2006 წელს ჩატარდა. მისი სლოგანი იყო „გაიღიმეთ“. ფესტივალის სლოგანი კი ყოველწლიურად იცვლებოდა — „სიყვარული ყველგან არის“, „სასწაული ხდება“, საბოლოოდ კი ჩვენს ფესტივალს გადაერქვა სახელი და ეწოდება „მზის ფესტივალი“. მას შემდეგ ყოველი წლის 1 ივნისს ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ ტარდება საბავშვო ფესტივალი „ჩვენ ვხედავთ მზეს!“. ამ ფესტივალზე ნებისმიერ ბავშვს აქვს საშუალება, მოიტანოს თავისი ნახატი და „მზიურში“ საჯაროდ გამოფინოს. პირველ წელს მოვაწყვეთ ელენე ახვლედიანის საბავშვო სამხატვრო სკოლის მოწაფეების გამოფენა. ფესტივალის არსებობის ექვსწლიანი არსებობის მანძილზე ჩვენ ვუმასპინძლეთ გლდანის ბავშვთა სახლის 70 მზრუნველობას მოკლებულ ბავშვს, გიორგი მთაწმინდელის სახელობის ახალგორის ბავშვთა სახლის 100 ბავშვს, წყნეთის ბავშვთა სახლის 100 ბავშვს, კოჯრის ბავშვთა სახლის 50 ბავშვს, ბოდბის ბავშვთა სახლის 60 ბავშვს, წელს კი მოგვყავს ორი ბავშვთა სახლის — სურამისა და მომავლის სახლის ბავშვები. სულ 60 ბავშვს ვუმასპინძლებთ.

***— რატომ მოგინდათ ამ ფესტივალის ჩატარება?***

— როგორც აღვნიშნე, ყველაფერი ერთი ჩვეულებრივი დღით დაიწყო: ხომ შეიძლება, ნოდარ დუმბაძის მიერ დაარსებულ მზიურ ქალაქში ერთი დღე მაინც იყოს ისეთი, როგორზეც დიდი მწერალი ოცნებობდა? ყველა იღიმებოდეს, ბავშვების ჟრიამული ისმოდეს, ყველა უფროსი ბავშვობაში დაბრუნდეს, ყველა ბედნიერი იყოს თუნდაც ერთი დღით მაინც! ამიტომ გადავწყვიტე, მომეფიქრებინა ისეთი ფესტივალი, რომელიც ჩემი საყვარელი მწერლის ოცნებას რეალობად აქცევდა. ამ ფესტივალის წყალობით ჩვენ ვხედავთ მზეს! ჩვენ ყველანი ერთად ვხედავთ დუმბაძის მზეს და პირველ ივნისს ყველასთვის ვაწყობთ ზეიმს! ჩვენს ფესტივალზე დასწრება თავისუფალია, თუმცა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებზე საგანგებოდ მოწვეული არიან მზრუნველობამოკლებული ბავშვები სხვადასხვა ბავშვთა სახლიდან. მათთვის სპეციალური საჩუქრები მზადდება. ჩვენი პროექტის მიზანია, რამდენიმე საათით მაინც ასრულდეს ნოდარ დუმბაძის ოცნება და ყველა იქ მომსვლელმა ათასობით ადამიანმა თავი ნამდვილ ზღაპარში იგრძნოს. ორგანიზატორებისა და პარტნიორების მონდომებით ყოველი წლის 1 ივნისს „მზიური“ მართლაც ოცნების ქალაქია!

***— თქვენს ფესტივალზე სხვადასხვა ბავშვთა სახლის აღსაზრდელები მოგყავთ?***

— რა თქმა უნდა. ყოველ წელს ჩვენ საქართველოს სხვადასხვა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ვმასპინძლობთ. ამ დღეს არ არსებობს სხვაობა ბავშვებს შორის. ყველა ბავშვი თანასწორი ხდება შესაძლებლობებით, ყველას აერთიანებს მზის სითბო და ბედნიერს ხდის თუნდაც ერთი დღით. პირველი ივნისის ღონისძიებებს შორის ჩვენს ქალაქში „მზის ფესტივალს“ ანალოგი არა აქვს მასშტაბურობის, დატვირთვისა და შინაარსის თვალსაზრისით, ამიტომ პროექტს ყოველთვის დიდი გამოხმაურება ჰქონდა. ეს მართლაც გამორჩეული პროექტია, რადგან „მზიურში“ ამ დღეს უხარია დიდსა და პატარას. ხშირად დაწერილა ჩვენს პროექტზე, რომ მართლაც ყველა უდარდელ ბავშვობას დაუბრუნდა. მშობლები წლიდან წლამდე ელოდებიან „მზის ფესტივალს“, რათა თავიანთ პატარებს დაუვიწყარი დღე აჩუქონ.

***— ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში გაიმართება?***

— „მზიურში“ ველოდებით ყველას 14 საათიდან საბავშვო მზის ფესტივალზე „ჩვენ ვხედავთ მზეს!“ ჩვენი ღონისძიებები 4 საათის განმავლობაში გაიმართება. ამ ფესტივალისთვის სპეციალურად დაიწერა სიმღერა, რომელის ავტორი და შემსრულებელიც სალომე კორკოტაშვილია. წელს ჰიმნის ახალი ვერსიაც ჩავწერეთ — სალომე კორკოტაშვილი სტუდია „1,2,3“-ის ბავშვებთან ერთად მღერის. ჩვენი წლევანდელი ზეიმი ორ ძირითად მიზანს ემსახურება — მზრუნველობას მოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრაცია და ზრუნვა ბავშვთა ქალაქ „მზიურზე“ იმისათვის, რომ ეს ადგილი იქცეს ნოდარ დუმბაძის ოცნების ადგილად ანუ ზღაპრულ ქალაქად. ამისთვის საჭიროა „მზიურის“ პოპულარიზაცია. იქ რაც შეიძლება მეტი საბავშვო ღონისძიება უნდა ჩატარდეს. ჩვენი „მზის ფესტივალი“ კი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

***— როგორია საფესტივალო პროგრამა?***

— ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები — ნებისმიერ ბავშვს შეეძლება ფერადი ცარცებით ხატვა პარკის ტერიტორიაზე. მთელი დღის განმავლობაში „მზიურის“ ტერიტორიაზე ბავშვებს გაართობენ უზარმაზარი თოჯინა მზე და სტუდია „მულტი-პულტი“-ს ჯამბაზები, სხვადასხვა მულტფილმის გმირები, გვესტუმრება ბავშვთა სოფლის „მხიარული ავტობუსი“, მოეწყობა სხვადასხვა შეჯიბრება ბავშვებს შორის, გამარჯვებულები კი დაჯილდოვდებიან სიმბოლური პრიზებით, სამხატვრო სტუდია „აკადემუსი“ მოაწყობს ნამუშევრების გამოფენას, ჩატარდება საბავშვო სტუდია „1.2.3“-ის კონცერტი. ტრადიციულად, ფესტივალის დასრულების შემდეგ ჰაერში გავუშვებთ ბუშტებს.

***— ყველაფერს საკუთარი ძალებით ატარებთ?***

— არა, რა თქმა უნდა. ამ ფესტივალს სხვადასხვა წელს სხვადასხვა სპონსორი ჰყავს. წელს პირველად „მზის ფესტივალი“ „ჯეოსელთან“ ერთად ჩატარდება. ვიცი, რომ „ჯეოსელიც“ ამზადებს რაღაცას, მაგრამ დღემდე ზუსტად არ ვიცი, რას. გპირდებით, წლევანდელ ფესტივალზე ბევრი სიურპრიზი იქნება, განახლებულ ვიზუალურ მხარეს შევთავაზებთ პატარებს, მათ ბევრი საჩუქარი ელოდებათ. ფორუმელები ფორუმ.ჯი-დან არიან ამ ფესტივალის მთავარი მამოძრავებელი და დამხმარე ძალა. მათ გარეშე არაფერი გამოვიდოდა.

***— რატომ მზე?***

— იმიტომ რომ მზე ძალიან მიყვარს. ჩვენს ფესტივალს ყოველთვის ჰყავს თოჯინა მზე, რომელიც წელს ახალი თოჯინა მზე იქნება. თითქმის ყველაფერი მზად გვაქვს, ახლა მთავარი ამინდია — გვინდა, ფესტივალმა თავისი სახელწოდება გაამართლოს და მზიანი ამინდი იყოს. ძალიან მინდა, ამინდმა ხელი შეგვიწყოს, იმიტომ რომ ამ დღესასწაულის მომზადებაში დიდი შრომაა ჩადებული.

# სუხიშვილებმა საგანგებო კომენტარი გააკეთეს

ეკა ირემაშვილი

26 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ანსამბლ სუხიშვილების დირექტორის მოადგილე ხატია ეკიზაშვილმა საგანგებოდ შეკრიბა ჟურნალისტები და საზოგადოებაში გავრცელებული სხვადასხვა ვერსია ოფიციალური განცხადებით გააბათილა.




26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით სუხიშვილებს „ხორუმი“ 100-კაციანი შემადგენლობით უნდა ეცეკვათ. ცეკვა არ შედგა, თანაც სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც ჯარისკაცის ფორმაში ჩაცმული ანსამბლის ერთ-ერთი მოცეკვავე პრეზიდენტის დაცვის ორ წევრს აღლუმის მიმდებარე ტერიტორიიდან გაჰყავს.

ამ ფოტომ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ცნობილია, რომ 26 მაისის აღლუმზე სუხიშვილების მიერ „ხორუმის“ შესრულება აღლუმის ოფიციალურ პროგრამაში იყო ჩასმული. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ხორუმის“ შეუსრულებლობა საქართველოს პრეზიდენტის სურვილი იყო, რაც 26 მაისს განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ცეკვა პარლამენტის წინ 26 მაისის ღამეს განვითარებული მოვლენების გამო სწორედ პრეზიდენტის სურვილით არ შედგა.

ერთ-ერთი ვერსიით კი „ხორუმის“ შესრულებაზე უარი თავად ანსამბლის წევრებმა განაცხადეს და პროტესტიც საკმაოდ ხმაურიანი იყო, რის შემდეგაც პრეზიდენტის დაცვამ ერთ-ერთი მოცეკვავე აღლუმიდან გაიყვანა. „სუხიშვილების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი აცხადებს, რომ 26 მაისს „ხორუმის“ ცეკვაზე უარი მათი გადაწყვეტილება იყო. მისი თქმით, 26 მაისის ღამეს თავისუფლების მოედანზე ტრაგედია დატრიალდა, მას და მის მოცეკვავეებს კი არანაირი უფლება არ ჰქონდათ, აღლუმზე ეცეკვათ.

**ხატია ეკიზაშვილი, სუხიშვილების დირექტორის მოადგილე:**

— მოგეხსენებათ, რომ ჩვენი საგასტროლო ტურნე გადატვირთულია. ამდენმა ფრენამ, უწყვეტმა რეპეტიციებმა ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გადაღალოს. ჩვენს მოცეკვავეს მზეზე გული წაუვიდა. ლაშა ლობიანიძე 24 მაისს ჩამოვიდა ათენიდან, სადაც „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობდა და ურთულესი ფრენის შემდეგ გადაღლილი იყო. მას გული წაუვიდა, დაეცა, თავიც დაურტყამს და აღლუმიდან ამის შემდეგ გაიყვანეს.

***— რომ არა ეს ინციდენტი, მოცეკვავეები აღლუმზე ცეკვას აპირებდნენ?***

— არა. წინა ღამეს რუსთაველის გამზირზე ორი ადამიანის დაღუპვის გამო სადღესასწაულო განწყობა ნამდვილად აღარ იყო. გადაწყდა, რომ აღლუმზე დაგეგმილი ყველა ნომერი — ჩვენი ცეკვა თუ სხვა საკონცერტო ნომრები აღარ შესრულდებოდა, რადგან მსხვერპლის გამო სადღესასწაულო განწყობა არავის ჰქონდა. ეს იყო თავდაცვის სამინისტროსა და აღლუმის ორგანიზატორების გადაწყვეტილება, ასეთივე იყო ჩვენი პოზიცია და ამ შემთხვევაში ორგანიზატორებისა და ჩვენი აზრი ერთმანეთს დაემთხვა. ყველამ კარგად იცის, რომ „სუხიშვილები“ სახელმწიფო ანსამბლია, მოცეკვავეები სადღესასწაულო ღონისძიებებში ხშირად მონაწილეობენ და ეს არც ერთი პოლიტიკური ძალის წყენის მიზეზი არ უნდა გახდეს.

***— თქვენი მოცეკვავე პოლიციას არ დაუკავებია?***

— ამას კატეგორიულად უარვყოფთ. არანაირ დაკავებას ადგილი არ ჰქონია. ჩვენი მოცეკვავე პოლიციამ კი არ დააკავა, ის შეუძლოდ გახდა და მას დაეხმარნენ, რომ აღლუმიდან გასულიყო და სასწრაფოს ექიმებს მისთვის სამედიცინო დახმარება აღმოეჩინათ. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ შემთხვევას ასეთი კუდები მოაბეს და ათასნაირი ვერსია შეთხზეს. არც კი მინდა გავიმეორო ის აბსურდული ვერსიები, რომლებიც ამ ფაქტის გარშემო გამოითქვა.

***— მაინც, რა ვერსიები გამოითქვა?***

— გაკვირვებული ვარ, რადგან ყველაფერში უამრავი ვერსიის ძებნა დამღლელია. ჩვენ თავადაც ბევრი სისულელე გავიგეთ, რომ თითქოს გაზი გაუშვეს, თავში ჩაარტყეს ვილაცას, რაც სიმართლეს არანაირად არ შეესაბამება.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

**განცხადებები**

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

**SMS-განცხადებები - 3090**

**იყიდება**

● იყიდება 2-სართულიანი ახალაშენებული კერძო სახლი ახალი რემონტით. ფასი 125.000 დოლარი. მის.: დოლიძის ქ., 120. ტელ: 899 78 53 28; 36 47 01.

● იყიდება ანანურთან ახლოს 2-სართულიანი სახლი, 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, გზასთან და არაგვთან ახლოს. ტელ: 891 34 09 96.

# ესპანეთის პოლიციამ ირანისათვის ვერტმფრენების მიწოდების გარიგება ჩაშალა

ესპანეთის ხელისუფლებამ ირანისათვის ცხრა ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო ვერტფმრენის ირანისათვის უკანონო მიწოდება აღკვეთა.

ამ განცხადებით სააგენტო ფრანს პრესი 26 მაისს გამოვიდა.

სპეცოპერაციის დროს საფრანგეთის პოლიციამ მადრიდსა და ბარსელონაში, რამდენიმე საწყობში რეიდების შედეგად რვა ადამიანი დააკავა. მათგან ხუთი ესპანელი ბიზნესმენი იყო, სამი — ირანის მოქალაქე.

გარდა ვერტმფრენებისა, პოლიციელებმა აღმოაჩინეს აგრეთვე საავიაციო სათადარიგო დეტალები, რომლებიც სავარაუდოდ, ვენესუელაში უნდა გაეგზავნოთ.

ჩამორთმეული აღჭურვილობის საერთო ღირებულება 100 მილიონ ევროს აღწევს.

პოლიციის ინფორმაციით, ეს ვერტმფრენები ესპანეთისათვის იყო განკუთვნილი. ირანში მათი ექსპორტი გაეროს რეზოლუციით არის აკრძალული. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ესპანურმა კომპანიამ შეგნებულად გადაწყვიტა ამ აკრძალვის დარღვევა და ტექნიკის უკანონო ექსპორტი ირანში.




შესაძლო გარიგების შესახებ ესპანეთის პოლიციამ წინასწარ შეიტყო, ხოლო როდესაც ცნობილი გახდა, რომ ირანელები ესპანეთში უკვე საქონლის შესაძენად აპირებდნენ ჩასვლას, მათი დაკავება გადაწყვიტა.

პოლიციის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ესპანელი ბიზნესმენები ამ საექსპორტო გარიგების საავიაციო დეტალების რემონტის სავსებით ლეგალურ გარიგებად გაფორმებას აპირებდნენ.

ბელ-112 ტიპის ვერტმფრენები სამხედრო მოსამსახურეების ტრანსპორტირებისათვის არის განკუთვნილი. მაქსიმალური სიჩქარეა 230 კმ საათში, ფრენის სიშორე — 600 კმ.

# ნატოს დაბომბვამ ავღანეთში 12 ბავშვი შეიწირა

ავღანეთში, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე გილმენდის პროვინციაში, ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, ნატოს ავიადარტყმების შედეგად 14 სამოქალაქო პირი დაიღუპა.




მათი თქმით, ავიაციამ იერიში ნაუზადის ოლქზე მიიტანა აშშ-ის სამხედრო საზღვაო ქვეითების ბაზაზე თავდასხმის შემდეგ.

ნატოს ჯარები მეამბოხეებს უმიზნებდნენ, მაგრამ ბომბები მოხვდა ორ სახლს, რის შედეგადაც ორი ქალი და 14 ბავშვი დაიღუპა.

ადგილობრივი ხელისუფლები და ნატოს წარმომადგენლები ამ ინციდენტის გარემოებებს სწავლობენ.

უცხოელი ჟურნალისტების თქმით, დასახლება სერა კალას მცხოვრებთა ჯგუფმა პროვინციის დედაქალაქ ლაშმარ გაში რვა დაღუპული ბავშვის გვამი ჩამოასვენა, მათგან ზოგიერთი ორი წლისა იყო.

— ესენი ხომ თალიბები არ არიან, — გაიძახოდნენ ისინი.

საერთაშორისო ძალების წარმომადგენლებმა მანამდე განაცხადეს, რომ მეამბოხეებთან ბრძოლის დროს დაიღუპა ნატოს ერთი სამხედრო მოსამსახურე, რის შემდეგაც საჰაერო დახმარება გამოიძახეს.

ნატოს სამხედროების ხელით მშვიდობიანი ავღანელების დაღუპვის ყოველი შემთხვევა მოსახლეობაში უკმაყოფილების აფექტებას იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევებში ავღანელები თალიბების მოქმედების გამ ილუპებიან

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ქარზაიმ არაერთხელ გააკრიტიკა ნატო, რადგან დასავლეთის სამხედროები მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან აცილებას არასათანადო ყურადღებას უთმობენ. ქარზაიმ ავღანეთის თავდაცვის მინისტრს მოუწოდა შეეწყვიტათ უცხოეთის ჯარების თვითნებური ოპერაციები.

ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნურისტანის პროვინციაში ნატოს საჰაერო თავდასხმის შედეგად 30 თალიბთან ერთად დაიღუპა 20 ავღანელი პოლიციელი და 18 მშვიდობიანი მცხოვრები.

პოლიციელები და სამოქალაქო პირები, სავარაუდოდ, ნატოს სამხედროებმა თალიბებად მიიჩნიეს.

რაც შეეხება მშვიდობიან მოსახლეობას, ვაზნები რომ გაუთავდათ თალიბებმა მათ სახლებს შეაფარეს თავი და მათ ცეცხლი გაუხსნეს. ნურისტანის პროვინციაში გასული კვირის განმავლობაში სამთავრობო ჯარებსა და თალიბებს შორის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა.

# აშშ-ის ნაპირებთან მეკობრეთა ხომალდის ღუზა იპოვეს

ამერიკელმა მეცნიერებმა ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინეს მოზრდილი ღუზა, რომელიც სავარაუდოდ ლეგენდარული ინგლისელი მეკობრის, ედვარდ ტიჩის, მეტსახელად „შავი წვერის“ ხომალდს ეკუთვნოდა.



ღუზა, რომლის წონა ტონას აღემატება, ჩრდილოეთ კაროლინას სანაპიროსთან აღმოაჩინეს.

სავარაუდოდ, შავი წვერის ხომალდი „დედოფალ ანას შურისძიება“ აქ 1718 წელს ჩაიძირა.

თავად ედვარდ ტიჩი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ამერიკის ატლანტის ოკეანის სანაპიროს თავზარს სცემდა, ამ შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე ბრძოლაში დაიღუპა.

სწორედ ის გახლდათ ფილმის „კარიბის ზღვის მეკობრეები, შავი წვერი“ იმავე სახელის მატარებელი პერსონაჟის პროტოტიპი.

მისი როლი ინგლისელმა მსაიხობმა „ოქროს გლობუსის“ პრემიის მფლობელმა იენ მაკშეინმა ითამაშა.

გემის ნამსხვრევების პოვნის შემდეგ არქეოლოგებმა განაცხადეს, რომ ფსკერზე კიდევ მრავალი ნივთი რჩება, რომლებიც მეკობრული ისტორიების მოყვარულთათვის საინტერესო შეიძლება იყოს.

პროექტის ხელმძღვანელის, მარკ უაილდ-რამსინგის თქმით, სამი ასწლეულის განმავლობაში ხომალდის ნამსხვრევები ერთმანეთს შეეწება, ამიტომ მყვინთავებს მუშაობა უჭირთ.

არქეოლოგების ჯგუფი ოკეანის ფსკერიდან ყველა ნივთის ზედაპირზე ამოტანას 2013 წლისათვის გეგმავს.

მიმდინარე წლის იანვარში მეცნიერებმა იპოვეს ფრანგული ყაიდის ხმლის ფრაგმენტები, სავარაუდოდ, ეს ხმალი შავი წვერის საკუთრება იყო.

ედვარდ ტიჩი, ცნობილი ინგლისელი მეკობრე კარიბის ზღვის რაიონში 1710-იან წლებში მოქმედებდა.

1718 წელს ვირჯინიის შტატის გუბერნატორმა მისი დაჭერისათვის ჯილდოდ 100 გირვანქა სტერლინგი დააწესა. იმავე წელს ტიჩი მოკლეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



დედა მარინა, მამა ჯემალ ხერგიანები, მეუღლე მარი ხურციძე, ძმები გეგი, ბექა, ლაშა ხერგიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გივი (გივიკო) ხერგიანის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 30 მაისს, 16 საათზე, საბურთალოს ქუჩა №7, IV სადარბაზო.

დაკრძალვა: 4 ივნისს, 15 საათზე, დაბა მესტიაში.

---

ბიძა სერგო ხერგიანი, მამიდები ლიანა, ლეილა, ნელი ხერგიანები, ბიძაშვილი ლექსო ხერგიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გივი (გივიკო) ხერგიანის**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე მერი ქორჩილავა, შვილები რუსუდანი, ვალერი ზუხბაიები, შვილიშვილები თამარ, ლადო გოგიები, დავით ზუხბაია, სიძე თემურ გოგია, რძალი მანანა შენგელია, ძმისშვილი გივი ზუხბაია, დისშვილი ნანა კვირტია, სოფიკო კვირტია, თამარ, ნინო ზუხბაიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვალერიან აქვსენტის ძე ზუხბაია**

დაკრძალვა: 31 მაისს, 15 საათზე.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №2, ბინა 3.

---

კოტე კვირტია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**ვალერიან აქვსენტის ძე ზუხბაიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## თქვენი დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ




1. თუ გიგრძნიათ ოდესმე, რომ ცხოვრებაში რაღაც გაკლიათ?
2. თუ გაქვთ აუსრულებელი სურვილები?
3. თუ გაქვთ ნიჭი და ტალანტი, რომელიც ჯერ არ გამოგიყენებიათ?
4. თუ გაღიზიანებენ სხვა ადამიანები?
5. ხშირად ხართ მოწყენილი?
6. თუ გიგრძნიათ ოდესმე ისეთი იმედგაცრუება, რომ ყვირილი მოგინდათ?
7. თუ გაგჩენიათ ადამიანისთვის გარტყმის სურვილი.
8. ზოზინებს უხეშად თუ ეპყრობით?
9. თუ ისურვებდით, რომ მეტი მოვალეობა გქონდეთ?
10. ამაყობთ თქვენი მიღწევებით?

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**პასუხები**

**0-3 ქულა:** იმედის გაცრუება თქვენთვის უცხო ხილია, სიცოცხლისაგან სიამოვნებას იღებთ

**4-6 ქულა:** იმედგაცრუება თქვენთვის უცხო ხილი არაა, თუმცა არც ძალიან ხშირ მოვლენას წარმოადგენს. ალბათ სჯობდა, თქვენი ცხოვრების კონტროლი გაგეძლიერებინათ. გაიხსენეთ, რა ამბიციები გქონდათ.

**7-10 ქულა:** თქვენი ცხოვრება იმედგაცრუებით არის სავსე. ნუ ზიხართ გულხელდაკრეფილი, ნუ ელით, თითქოს რაიმე თავად მოხდება, თუ თავად გახდებით თქვენი ცხოვრების ბატონ-პატრონი, არაფერს წააგებთ, უარეს შემთხვევაში საკუთარ თავს მაინც დააბრალებთ მარცხს და წარუმატებლობას.

გ.თ.

## ცhოფყღჯპღბ



1. სატურნის თანამგზავრი; 2. დაბალი მცენარე წვრილი ღეროებით; 3. სიბრძნის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 4. ბიბლიური პერსონაჟი; 5. მრავალსიმიანი საკრავი; 6. სარწყავი არხი; 7. ... კუნანბაევი; 8. ერთგვარი სირაქლემა; 9. მეოთხე ნოტი; 10. შინაური ცხოველი; 11. სახოტბო ლექსი; 12. სასანთლე; 13. ყვავილი; 14. ... ხაიამი; 15. დგამი; 16. შუქფარი; 17. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 18. მდინარე ევროპაში; 19. პარკოსანი მცენარე; 20. ლომების ოჯახი; 21. ტურგენევის მოთხრობა; 22. იუპიტერი ძველქართულად; 23. „დაჰკრეს ბუკი და ...“; 24. მთათა სისტემა ევროპაში; 25. ჯუჯა კამეჩი; 26. ლ.ტოლსტოის რომანი; 27. მარადმწვანე დეკორატიული ხე; 28. ასო „ნ“-ს სახელწოდება; 29. სიმეტრიის საპირისპირო; 30. პაემანი; 31. იტალიელი მხატვარი (1573-1610 წწ.).

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები**

**კროსვორდი ა**

**თარაზულად:** 1. „ტეკილა“; 2. კანოე; 3. ზვირთი; 4. მანეჟი; 6. ინდექსი; 9. ზაირი; 11. „სალხინო“; 15. კურცხაარი; 16. „ჯამილე“; 17. ავადხარა; 19. იაშვილი; 21. გალუაზი; 22. მანათი.

**შვეულად:** 1. სელექცია; 7. ნეპტუნი; 8. ონიქსი; 10. ტამპერე; 12. ჟიჟკა; 13. ალაფი; 14. პარაკლისი; 18. „ხიხვი“; 20. ლატვია; 23. ჩალხია; 24. „ლელო“; 25. ფელახი; 26. თორა; 27. აზიმოვი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხილარი; 2. კარე; 3. კოპერნიკი; 4. ხეპრე; 5. „სირტაკი“; 8. „ქენონი“; 9. ხარაგაული; 12. სულორი; 14. მატისი; 16. ისანი.

**თარაზულად:** 1. „ხვანჭკარა“; 6. ჩოქბჯენი; 7. ლანქერი; 9. ხუცესი; 10. მესა; 11. კონტური; 13. ხომლი; 15. აუდიტი; 17. ლიგნიტი; 18. ჯოყოლა; 19. ფიესტა; 20. მირიანი.

# „ბარსა“ საუკეთესოობას თამაშით ამტკიცებს

**ბარსელონა-მანჩესტერი 3:1**

*1:0 პედრო (28), 1:1 რუნი (36), 2:1 მესი (56), 3:1 ვილია (71)*

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვეში (პუიოლი 88), მასკერანო, პიკე, აბიდალი, ბუსკეტსი, ხავი, ინიესტა, პედრო (აფელაი 90), მესი, ვილია (კეიტა 86)

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ფაბიო (ნანი 69), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია, კერიკი (სკოულზი 77), გიგზი, პარკი, რუნი, ერნანდესი

მოხდა ის, რასაც გულშემატკივართა დიდი ნაწილი ელოდა. „ბარსელონა“ თავისი თამაშითა და სტილით ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩშიც აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა და „მანჩესტერ იუნაიტედი“ თვალშისაცემი უპირატესობით დაამარცხა. კატალონიელებმა ისტორიაში მეოთხედ, ხოლო ბოლო 5 წლის განმავლობაში მესამედ მოიპოვა ევროპის საუკეთესო კლუბის წოდება და ამით ყველაფერი თქვა.

როგორც 2 წლის წინანდელ ფინალში, მატჩი ამჯერადაც „წითელი ეშმაკების“ დიდი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ ეს მხოლოდ 10 წუთი გაგრძელდა. ამ დროის მანძილზე სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა და რომ არა ვიქტორ ვალდესი, „მანჩესტერი“ ანგარიშის გახსნას აუცილებლად მოახერხებდა. მიუხედავად იმისა, რომ □„ბარსას“ მეკარეს ამის შემდეგ საქმე საერთოდ არ მიცემია. ის ერთადერთი გოლიც აუღებელი ჩანდა. საწყის წუთებში კი, ვალდესმა ჯერ საჯარიმოში შეჭრილ რუნის დაასწრო ბურთზე თამაში, მეორედ კი, პიკეს ავტოგოლისგან იხსნა საკუთარი კარი.

მე-10 წუთიდან „ბარსამ“ საკუთარი თამაშის ჩვენება დაიწყო და მეტოქეს აგრძნობინა, რომ მისთვის არანაირ სტადიონსა და ქვეყანას მნიშვნელობა არ აქვს. ვან დერ სარის კართან ძალიან დაცხა და მალევე პირველი სახიფათო მომენტიც შეიქმნა. მე-16 წუთზე ხავის გამჭოლი პასის შემდეგ დაახლოებით 5 მეტრიდან, პედრომ არაზუსტად დაარტყა. მალევე დავიდ ვილიამ გაისროლა სახიფათოდ, თუმცა მცირედით არაზუსტად, აქედან კიდევ ერთ წუთში, ვილიას მორიგი დარტყმული ვან დერ სარის იოლი ნადავლი გახდა.

ანგარიში 27-ე წუთზე გაიხსნა — ხავიმ ბურთი მოედნის ცენტრთან ახლოს მიიღო, დაახლოებით საჯარიმომდე დაუბრკოლებლად იარა და ჩვეული, ბრწყინვალე გადაცემით, პედრო დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, რომელმაც ბურთი ვან დერ სარისგან ახლო კუთხეში მოათავსა.

36-ე წუთზე, „მანჩესტერმა“ ანგარიში გაათანაბრა. „წითელმა ეშმაკებმა“ ძალიან ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს, რის დაგვირგვინებადაც რუნი-გიგზი-რუნის შორის კომბინაციის გათამაშება და ინგლისელის აუღებელი დარტყმა იყო. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც რუნი გიგზის მისამართით აკეთებდა გადაცემას, უელსელი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა და არბიტრს შეხვედრის შეჩერება მართებდა.

ტაიმის დარჩენილ ნაწილში, ერთადერთი სახიფათო მომენტიც კატალონიელებმა შექმნეს. 43-ე წუთზე, მესის კარგი თამაშისა და გადაცემის შემდეგ, დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა ვილიამ თანაგუნდელისთვის ბურთის დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ თითქმის ცარიელი კარის წინ დარჩენილი არგენტინელი, ბურთს ვერ შესწვდა.

კატალონიელთა უპირატესობით დაიწყო მე-2 ტაიმიც. 52-ე წუთზე, ვან დერ სარმა ალვეშის ახლო მანძილიდან დარტყმული მოიგერია, ხოლო დამატებაზე მოთამაშე მესის, უკვე პატრის ევრამ არ გაატანინა.

65-ე წუთზე „ბარსელონა“ კვლავ წინ გავიდა. გათამაშების საუკეთესო ბომბარდირმა, ლიონელ მესიმ, 21 მეტრიდან გაისროლა და „მანჩესტერს“ წინა ფინალის მსგავსად კვლავ გაუტანა. მართალია, არგენტინელის დარტყმის შემდეგ, ბურთი კუთხეში არ წასულა, მაგრამ მისი ტრაექტორია საკმარისი აღმოჩნდა ლეგენდარული ჰოლანდიელი კიპერის კარის ასაღებად. ამასთან, მანჩესტერელმა მცველებმა მესის საკმაოდ იოლად მისცეს უფლება კარში დაერტყა, მესი კი მსგავს საქციელს არავის პატიებს.

63-ე წუთზე, კვლავ მესი გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ამჯერად, არცთუ ხეირიანად ითამაშა და ვან დერ სარი ბურთს იოლად დაეუფლა. ორ წუთში, ალვეშის გადაცემის შემდეგ, მესი ახლო მანძილიდან ეფექტურად ცდილობდა გატანას, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ, ბურთი ცარიელი კარიდან „მანჩესტერის“ მცველმა გამოიტანა. კიდევ ორ წუთში, ვან დერ სარს ხავის შორეული დარტყმის მოგერიება მოუხდა.

შეხვედრის ბოლო გოლი 71-ე წუთზე გავიდა — შეტევის მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა მესიმ, რის შემდეგაც, ბურთი საჯარიმოში ბუსკეტსმა მიიღო, რომელმაც საჯარიმოს ხაზთან ვილიას დაუბრუნა, ჩემპიონთა ლიგის პირველად მომგებმა ფეხბურთელმა კი მოჭრილი დარტყმით, ბურთი მეკარისგან ახლო, ზედა კუთხეში მოათავსა და ვან დერ სარს მის კარიერაში უკანასკნელი გოლი გაუტანა.

ლეგენდარულ ჰოლანდიელ მეკარეს, ედვინ ვან დერ სარს, კარიერაში ბოლო პროფესიულ მატჩში, უკანასკნელი სეივის განხორციელება თანამემამულე იბრაჰიმ აფელაიმ აიძულა და სწორედ ეს ეპიზოდი გამოდგა მატჩის უკანასკნელი აღსანიშნავი მომენტი.

რაც შეეხება „მანჩესტერს“, გატანილი გოლის გარდა, „წითელი ეშმაკების“ ფეხბურთელებმა, სულ 2-ჯერ დაარტყეს კარის მიმართულებით და ორივეჯერ არაზუსტად. 71-ე წუთზე, რუნიმ გადააცილა ბურთი ვალდესის კარს, 85-ე წუთზე კი, ნანის უმტყუნა მიზანმა.

როგორც წესი, ტურნირის მოგებისთვის განკუთვნილ ჯილდოს, გუნდის კაპიტნები იბარებენ ხოლმე და ივარაუდებოდა, რომ კარლეს პუიოლი შეცვლაზე იმიტომ შევიდა, რომ თასი მას აღემართა, მაგრამ „ბარსას“ კაპიტანმა ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო და ჯილდოსთვის პირველად შეხების პატივი აბიდალს გადააბარა.

შეგახსენებთ, რომ ფრანგმა მარცხენა მცველმა, ცოტა ხნის წინათ, ღვიძლის სიმსივნე დაამარცხა.

ჩემპიონთა ლიგის (თასის) ისტორიაში, „ბარსელონა“ გახდა მე-3 გუნდი, რომელმაც ფინალში 2-ჯერ მოახერხა ერთი და იმავე მეტოქის დამარცხება. აქამდე, „რეალს“ „რეიმსი“, ხოლო „მილანს“ „ბენფიკა“ ჰყავდათ ორ-ორჯერ დამარცხებული. კატალონიური კლუბისთვის დაბალი ლობე „მანჩესტერ იუნაიტედი“ გამოდგა.

— უსაზღვროდ გახარებული ვარ. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება დიდ ძალებს მოითხოვს. “მანჩესტერთან“ თამაშისთვის მოსამზადებლად დრო გვქონდა და საუკეთესო ფეხბურთიც ვაჩვენეთ. პირველი გოლი კი გავიტანეთ, მაგრამ ვიცოდით, რომ მანჩესტერელები იოლად არ დანებდებოდნენ, კლუბის ისტორია და დღევანდელი ძალა ამის უფლებას არ მისცემდათ, აუცილებლად ყველაფერს გააკეთებდნენ თამაშის გადასარჩენად. საბოლოო ჯამში, თამაში ჩვენი იყო, სიტუაციას ვაკონტროლებდით. მოხარული ვარ „ბარსაში“ ყოფნით, ამ ბიჭების გაწვრთნა სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ ამასთან, ძნელია. მე ფანატიკურად მიყვარს ჩემი საქმე და ამით ვხელმძღვანელობ. როდესაც ეს გრძნობა დამტოვებს, ცოტა ხანს დავისვენებ და ძველებური ენთუზიაზმის დაბრუნებას შევეცდები. ვერ წარმომიდგენია, სხვაგან როგორ უნდა ვიმუშაო, მაგრამ თუ ასე მოხდა, „ბარსელონას“ ტიპის ფეხბურთელების ძებნას დავიწყებ. ალბათ, ასეთი ფეხბურთი ბედმა მომიძღვნა, — განაცხადა მატჩის შემდეგ პეპ გვარდიოლამ.

# საქართველოს ფინალამდე იაპონია დარჩა

მატჩი მოულოდნელი სცენარით დაიწყო და 40 წუთის მანძილზე ასე გაგრძელდა. პირველ ტაიმში ქართველ მორაგბეებს მძიმე ბრძოლა გადახდათ. ზიმბაბველებმა „ბორჯღალოსნებს“ არაფერი დაუთმეს და ტოლ-სწორად ეთამაშნენ, თუმცა მერე ქართულ ძალას წინ ველარ აღუდგნენ და დარჩენილ ოცდათვრამეტ წუთში ქულები მხოლოდ საქართველოს ნაკრებმა აგროვა.

თამაშში ბურთი ზიმბაბველებმა შეიყვანეს, ლევან ჩილაჩავამ საკუთარ ნახევარზე კარგად გაიწია, მის წინსვლას კარგი გაგრძელება მოჰყვა, საქართველოს ნაკრებმა მიძალება არ შეწყვიტა და მესამე წუთზე გუნდის კაპიტანმა დავით ლოსაბერიძემ ლელო გაიტანა, ბახვა კობახიძემ კი რეალიზაცია გამოიყენა — 7:0.

ლის შემდეგ, ბურთი ბექა ბიწაძემ აიტაცა და ლელო გაიტანა, კობახიძემ კი რეალიზაცია კვლავ ზუსტად შეასრულა და ტაიმი საქართველოს ნაკრებმა 21:14 მოიგო.

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, კუდა ჩივანზა ფლანგზე გაიქცა და ზიმბაბველთა მეორე ლელო გაიტანა, მაგრამ საბედნიეროდ, რეალიზაცია არაზუსტი აღმოჩნდა და საქართველოს ნაკრებმა ლიდერობა შეინარჩუნა.

ამის შემდეგ ქართველთა თამაში კიდევ უფრო აგრესიული გახდა და ქულების მოგროვება მარტომ გააგრძელა.

46-ე წუთზე, მეტოქე თავისსავე 22-ში, მისი შერკინებისას დაიჩაგრა, ბურთი ზურაბ ძნელაძემ აიტაცა, მცველებთან ჭიდილში 7-8 მეტრი დაფარა



დასაწყისი ისეთი იყო, რომ გულშემატკივარი ქართველთა იოლი ძლევის სანახავად გაემზადა, მაგრამ მეტოქე სულაც არ ფიქრობდა ასე და პირველ ტაიმში გვარიანად იბრძოლეს. თუმცა, ამაში ხელი ქართველებმაც შეუწყვეს. პირველ ნახევარში ზიმბაბვემ ძალიან კარგი რაგბი ითამაშა, განსაკუთრებით ხელით თამაშით გამოირჩეოდნენ და მოულოდნელ გადაწყვეტილებებსაც იღებდნენ. ასე მოხდა მე-7 წუთზე, როდესაც მათი კარგი შეტევა ტომ ნელსონმა არეკნით დააგვირგვინა.

ზიმბაბვემ მაღალ სიჩქარეზე ითამაშა, მალევე ჯუსტინ კოლემ ხაზი გაჭრა და ლელოც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ჩვენებმა დაცვაში კარგად ითამაშეს და ლევან გოგოლაშვილმა მეტოქე ჩათვლის მოედნიდან ორიოდე მეტრში შებოჭა. მალე ქართველებმა საკუთარ შერკინებას ალლო ვერ აუღეს და დაჯარიმდნენ. მეტოქემ კარში დარტყმა არჩია და ნელსონმა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 6:7.

მართალია მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ თუ ჩვენები მოინდომებდნენ, თავის თამაშს ყოველთვის აჩვენებდნენ. ტაიმის შუაში ლუკა კვარაცხელიამ ხაზი კარგად გაჭრა, მაგრამ მიმყოლებმა დააგვიანეს და სალელოვე შანსი განიავდა. ბურთი კი დაიკარგა, მაგრამ ზიმბაბველთა 8 ნომერმა მისი ხეირიანად მოგერიება ვერ მოახერხა და ახლოში გადააგდო აუტში, რომელიც საქართველოს ნაკრებმა იოლად მოიგო, მოლი ააგორა, დაახლოებით ათიოდე მეტრი მეტოქე უკან დახია, მერე მას ჩილაჩავა ძირითად ბირთვს მოულოდნელად მოწყდა, დანარჩენი მანძილი დაფარა და ლელო მიითვალა, კობახიძემ კი რეალიზაცია გამოიყენა.

საქართველოს ნაკრებმა შეტევები კი გააგრძელა, მაგრამ 30-ე წუთზე სწრაფი კონტრშეტევა მიიღო. ზიმბაბვემ საკუთარი 22-დან ხელით წამოიღო ბურთი, ქართველთა დაცვის ხაზი გაბნეული იყო, ამით აფრიკელებმა კარგად ისარგებლეს — მეტოქემ და ჯასტინ კოლემ ლელო გაიტანა.

36-ე წუთზე ბახვა კობახიძე უბურთო მეტოქის ბოჭვისთვის დაჯარიმდა და ნელსონმა წონასწორობა აღადგინა. არეულ თამაშში „ბორჯღალოსნებმა“ ნაცნობ ხერხს მიმართეს, ბოლო წუთებზე მეტოქეს შერკინებით შეუტიეს, სადაც დიდი უპირატესობა ჰქონდათ. მეტოქის 22-ში ზედიზედ ორი შერკინებიდან მოგებული მანძიდა და საქართველოს ნაკრებმა პრემიალური ქულის მომტანი მეოთხე ლელო გაიტანა, კობახიძემ კი რეალიზაციით უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

რადგან პრემიალური ქულა განაღდებული იყო, ხოლო სხვაობა — მცირე, 55-ე წუთზე, კობახიძემ დაახლოებით 15 მეტრიდან ჯარიმა კარში დაარტყა და ანგარიში 31:19 გახადა.

ალბათ, არც ეს იყო საჭირო, რადგან საქართველოს ნაკრებს თავისი თამაში უკვე ნაპოვნი ჰქონდა. 57-ე წუთზე, ბიწაძემ მეტოქეს ფეხით გადაკიდება არ აცალა, კარგად დაუფარა, მერე სიჩქარეაკრეფილი ტყეშელიაძე მოძებნა და მანაც ძელებსშუამდე ირბინა, კობახიძემ კი რეალიზაცია შეასრულა. დასკვნით ოც წუთში, ქართველები აფრიკელთა 22-ში დამკვიდრდნენ. ძალისმიერ თამაშში „ბორჯღალოსნებს“ ძალიან დიდი უპირატესობა ჰქონდათ და მეტოქის ჩათვლის მოედანში ორჯერ შეაღწიეს, მაგრამ მსაჯმა ლელო არ დააფიქსირა. მერე ჩილაჩავამ ჯარიმა სწრაფად გაითამაშა და მსაჯს ეჭვის საბაბი აღარ დაუტოვა, კობახიძემ კი კვლავ ზუსტად დაარტყა — 45:19. გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ საქართველოს ნაკრები ბოლომდე დაიხარჯა, 38-ე წუთზე, 5-მეტრა შერკინების შემდეგ, ტყეშელიაძემ შეუტია და ქართველთა მეშვიდე ლელოთი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, კობახიძემ ამჯერად რეალიზაცია გააფუჭა და ტაბლოზე 50:19 დარჩა.

ახლა საქართველოს ნაკრებს წინ უმნიშვნელოვანესი მატჩი დარჩა იაპონელებთან, რომელმაც ფინალისტის ვინაობა უნდა გადაწყვიტოს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმ თამაშით, რაც ჩვენებმა პირველი ტაიმი აჩვენეს, აზიელებთან უფრო გაგვიჭირდება. არადა, ფინალამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია დარჩენილი.

**საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:**

ბახვა კობახიძე, ზურაბ ძნელაძე, დავით ლოსაბერიძე (ვანო გაბრიშვილი 58), გიორგი მარგიანი (უჩა მჭედლიშვილი 62), ლევან გოგოლაშვილი, ლუკა კვარაცხელია, რამაზ ჯინაშვილი (ჯიმი ღმაბაშიძე 36); ზურაბ ჟვანია (ირაკლი ჩომახაშვილი 76), ირაკლი ჩომახაშვილი, ლევან ჩილაჩავა (ზაზა ნავროზაშვილი 71), ბექა ბიწაძე, კოტე მიქაუტაძე (გიორგი ჟღენტი 62), გიგა თხილაიშვილი,

გაგრძელება მე-15 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტენეფიფე-პონფერადინა | 1:1 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ბანიკი-პრჟიბრჟამი | 0:2 |
| ბრნო-იაბლონეცი | 3:4 |
| ბოლესლავი-უსტი | 2:0 |
| სიგმა-პლზენი | 2:1 |
| სლავია-ბოჰემიანსი 1905 | 3:0 |
| სლოვანი-ბუდეოვიცე | 3:3 |
| სპარტა-ჰრადეც კრალოვე | 3:1 |
| ტეპლიცე-სლოვაცკო | 1:1 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| საპსბორგი-ლილესტრიომი | 2:4 |
| სტრომგოდსეტი-ფრედრიკსტადი | 1:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ტორონტო-ფილადელფია | 2:6 |
| ვანკუვერი-რედ ბული | 1:1 |
| კოლამბუსი-ჩიკაგო | 3:3 |
| ნიუ ინგლენდი-ლოს ანჯელესი | 0:1 |
| ჰიუსტონი-დალასი | 2:2 |
| კოლორადო-კანზასი | 1:1 |
| სოლტ ლეიკი-სიეტლი | 1:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ავაი-ატლეტიკო(მ) | 1:3 |
| ბოტაფოგო-სანტოსი | 1:0 |
| ინტერნასიონალი-სეარა | 0:1 |
| სან პაულუ-ფიგეირენსე | 1:0 |

**არგენტინა. კლაუსურა**

| | |
|---|---|
| კოლონი-არხენტინოსი | 1:2 |
| სან ლორენცო-არსენალი | 1:1 |
| ოლ ბოიზი-ქილმესი | 1:0 |
| რასინგი-ბანფილდი | 1:3 |

### პლაჟის ფეხბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| იტალია-თურქეთი | 9:4 |
| შვეიცარია-ესპანეთი | 4:5 |

### კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები**

**ქალები**

| | |
|---|---|
| კუბა-კანადა | 62:59 |
| ბელარუსი-ფინეთი | 48:45 |
| ლიტვა-უკრაინა | 90:58 |
| საბერძნეთი-ბელგია | 80:84 |
| საფრანგეთი-ისრაელი | 76:40 |
| ჩეხეთი-ლატვია | 77:64 |
| რუსეთი-პოლონეთი | 74:66 |
| ბულგარეთი-რუმინეთი | 64:69 |
| იტალია-შვედეთი | 63:42 |

### ფრენბურთი

**მსოფლიო ლიგა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| რუსეთი-იაპონია | 3:1 |
| ბულგარეთი-გერმანია | 2:3 |
| პოლონეთი-აშშ | 0:3 |
| პორტუგალია-ფინეთი | 3:2 |
| არგენტინა-სერბეთი | 0:3 |
| პუერტო რიკო-ბრაზილია | 0:3 |
| ს.კორეა-კუბა | 1:3 |

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-სლოვაკეთი | 1:3 |
| თურქეთი-ბელარუსი | 1:3 |
| დ.ბრიტანეთი-ხორვატია | 3:2 |
| ესპანეთი-ჰოლანდია | 3:0 |
| ბელგია-სლოვენია | 1:3 |
| ავსტრია-საბერძნეთი | 1:3 |

**ევროლიგა**

**ქალები**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ხორვატია | 3:1 |
| სერბეთი-საბერძნეთი | 3:0 |
| ისრაელი-უნგრეთი | 1:3 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 0:3 |
| ჩეხეთი-ბულგარეთი | 1:3 |
| თურქეთი-ბელარუსი | 3:1 |

### ჩოგბურთი

**როლან გაროსი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| აზარენკო-ვინჩი | 6:3;6:2 |
| კვიტოვა-კინგი | 6:4;6:2 |
| ლი-კირსტეა | 6:2;6:2 |
| კანეპი-მაკაროვა | 4:6;5:7 |
| პეტკოვიჩი-გაიდიშოვა | 6:2;4:6;6:3 |
| რადვანსკა უ.-ვიკმაიერი | 6:4;6:4 |
| შარაპოვა-ჩანი | 6:2;6:3 |
| კირილენკო-რუსი | 6:1;6:1 |
| ზვონარევა-პავლუჩენკოვა | 6:7;6:2;2:6 |

**კაცები**

| | |
|---|---|
| დოლგოპოლოვი-ტროიცკი | 4:6;6:3;3:6;4:6 |
| მიურეი-ბერერი | 6:2;6:3;6:2 |
| ნადალი-ვეიჩი | 6:1;6:3;6:0 |
| ჩელა-როსოლი | 6:2;6:4;3:6;7:6 |
| სიმონი-ფიში | 6:3;6:4;6:2 |
| ფალა-კუბოტი | 6:7;6:4;7:5;6:4 |
| ჯოკოვიჩი-დელ პოტრო | 6:3;3:6;6:3;6:2 |
| ვერდასკო-ლუბიჩიჩი | 3:6;6:7;4:6 |
| სოდერლინგი-მაიერი | 6:1;6:4;6:3 |

# საქართველოს ფინალამდე იაპონია დარჩა

დასაწყისი მე-14 გვერდზე

გიორგი ტყეშელიაძე, ლევან თხელიძე (ნიკოლოზ ჩხიკვაძე 23)

ჩვენი უმთავრესი მეტოქე იაპონია კანადას ეთამაშებოდა. ჩრდილოამერიკელებმა მეტოქეს დიდი ბრძოლა კი გაუმართეს, მაგრამ აზიელებმა დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმეს.

კანადამ აგრესიული რაგბი ითამაშა და საწყის ოც წუთში მეტოქე რაქში დაჯაბნა, მაგრამ მერე გამოჩნდა, რომ იაპონელებიც კარგად არიან მომზადებული ფიზიკურად და შერკინებებში უკვე მათი უპირატესობა გამოიკვეთა. ამის გარდა ძალიან სხარტები არიან და თითოეული მათი მორაგბის შეკავებას ორი-სამი მცველი სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ იაპონელებს სისწრაფე არ დაეწუნებოდათ, ისინი ქართველებთან კიდევ უფრო სწრაფად თამაშს გეგმავენ.

დაძაბულ ბრძოლაში იაპონიამ 30:15 იმარჯვა. შეხვედრას იაპონიის ელჩი საქართველოში და საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი დაესწრნენ.

ა ჯგუფის პირველ შეხვედრაში, სამოამ „შევარდენზე" ურუგვაის უმასპინძლა და 37:6 მოუგო. სამოელებმა ანგარიში დებიუტშივე ჯარიმით გახსნეს, ურუგვაიმ არეკნით უპასუხა, მერე კი კუნძულელებმა გაილაღეს, შესვენებამდე სამი ლელო გაიტანეს და ტაიმი 20:3 დასრულდა. ურუგვაიმ მეორე ნახევრის დასაწყისში ჯარიმით ჩამორჩენა კი შეამცირა, მაგრამ სამოამ მალე ისევ გაიმარჯვა და მეტოქის ჩათვლის მოედანში კიდევ სამჯერ შეაღწია.

ამავე ჯგუფის აუტსაიდერები რუსეთი და აშშ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ. მოედანზე რამდენჯერმე ატყდა ხელჩართული ჩხუბი. აგრესიულობით უმეტესად რუსები გამოირჩეოდნენ, მაგრამ ამ აგრესიულობამ რუსეთს 42:36 მოაგებინა.

**ა ჯგუფი**

**სამოა—ურუგვაი 37:6**

**რუსეთი-აშშ 42:36**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამოა | 2 | 2 | 0 | 0 | 85:17 | 10 |
| 2.რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 47:69 | 5 |
| 3.ურუგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 39:42 | 4 |
| 4.აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 47:90 | 2 |

**ბოლო ტური: 1 ივნისი. ურუგვაი-აშშ; სამოა-რუსეთი**

**ბ ჯგუფი**

**იაპონია-კანადა 30:15**

**საქართველო-ზიმბაბვე 50:19**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 88:28 | 10 |
| 2.იაპონია | 2 | 2 | 0 | 0 | 67:39 | 10 |
| 3.კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 24:68 | 0 |
| 4.ზიმბაბვე | 2 | 0 | 0 | 2 | 43:87 | 0 |

**ბოლო ტური: 1 ივნისი. კანადა-ზიმბაბვე; საქართველო-იაპონია**

# ბილიჩი ისევ იმუქრება — საქართველოს მოვუგებთ!



საქართველოს ნაკრები 3 ივნისს ევრო-2012-ის შესარჩევ მატჩს ხორვატიის ნაკრებთან გამართავს. სლავენ ბილიჩის გუნდმა მზადება 26 მაისს დაიწყო და „პოლიუდზე" გამართულ ვარჯიშამდე ხორვატთა მწვრთნელი ჟურნალისტებს გაესაუბრა.

— სპლიტში სამზადისის დაწყებას მივესალმებით. ამას დიდი სურვილითა და მოუთმენლად ველოდით. ძალიან გვიხარია, რომ ისევ აქ ვართ. ზოგიერთმა ფეხბურთელმა ჩემპიონატი ადრე დაასრულა, ზოგიერთი კვლავ აგრძელებს კლუბში თამაშს. რამდენიმე მოთამაშე გვაკლია. ორი დღე „პოლიუდზე" ვივარჯიშებთ, ხოლო შაბათ დილას — ბრაჩში. ამ დღეს ფეხბურთელთა უმრავლესობა ადგილზე იქნება, — განაცხადა ხორვატების თავკაცმა.

ხორვატებს დანაკლისი აქვთ, მაგრამ ბილიჩი თვლის, რომ საქართველოს ნაკრებს მაინც ძლიერი ხორვატია დაუხვდება.

— პრობლემები გვაქვს, მაგრამ პრობლემები ყოველთვისაა. მაგალითად, თავის დროზე ედუარდომ ფეხი მოიტეხა. არსებული ვითარება გვაიძულებს, რომ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გავსინჯოთ და ნაკრების კანდიდატების წრე გავაფართოვოთ, რაც მსგავს სიტუაციაში ალმოჩენის დროს დაგვეხმარება. ტრავმების გამო დანაკლისი გვაქვს, მაგრამ ჩვენ მისი კომპენსირება შეგვიძლია. მჯერა, რომ „პოლიუდზე" საქართველოს ძლიერი გუნდით დავხვდებით.

ბალკანელთა მთავარი მწვრთნელი მლადენ პეტრიჩის თემასაც შეეხო, რომელიც ტრავმის გამო, სავარაუდოდ, მომავალ თამაშს გამოტოვებს და რეზერვად ივან კლასნიჩი ჰყავს შეგულებული.

— პეტრიჩის გამოჯანმრთელების პროცესს თვალს ვადევნებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ისე არაა, რისი იმედიც გვქონდა და ველოდით. ის შეკრებაზე გამოცხადდება და ექიმები შეამოწმებენ, მაგრამ მცირე შანსია, რომ ითამაშებს. საქართველოსთან მატჩში კი ჯანმრთელი და მომზადებული ფეხბურთელები მჭირდება. ამიტომაც მოვიწვიე კლასნიჩი.

ბილიჩი გვერდს ვერც დრაგო გაბრიჩის თემას აუვლიდა, რომელიც ეროვნული გუნდის შეკრებაზე გამოძახებული იყო, მაგრამ ავტოავარიაში მოყვა და უგონო მდგომარეობაში საავადმყოფოში მიიყვანეს.

— გაბრიჩის გამო ჩვენ ჯერ კიდევ შოკში ვართ და ეს ამბავი მანამდე შეგვაწუხებს, ვიდრე ის არ გამოჯანმრთელდება. ჩვენთვის უბრალოდ დამატებითი მოტივი იქნება, რომ საქართველოსთან გამარჯვება დრაგოს მივუძღვნათ.

ბილიჩის აზრით, შემტევი ხაზი ჩინებულად გამოიყურება, მაგრამ თვლის, რომ ნაკრებს საქმე არც უკანა ხაზში აქვს ცუდად:

— შეტევის ხაზი ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს, მაგრამ არც დაცვა მანერვიულებს. უკანა ხაზში კარგი მოთამაშეები გვყავს და მეტოქეები ჩვენს კართან სახიფათო მომენტებს იშვიათად ქმნიან. დიდი ხნის განმავლობაში არ დაგვეხმარებია ოლიჩი, რომელსაც „ბაიერნში" სეზონი გაუცდა. თუმცა, გამოჩნდნენ სხვა მოთამაშეები, რომელთაც ყურადღება არა მხოლოდ ნაკრებში, არამედ მთელ ევროპაში მიიპყრეს. ჩვენ კვალიფიციური კადრები გვყავს.

ხორვატების დამრიგებელმა იმ სამი ფეხბურთელის შესახებაც ისაუბრა, რომლებსაც თბილისში წაგებულ (0:1) მატჩში ძირითადში არ უთამაშიათ და მომავალ შეხვედრაში შესაძლოა სასტარტოში გამოჩნდნენ:

— მანძუკიჩისთვის ეროვნულ გუნდში თამაში ახალი არაა და მას ბევრი მატჩი აქვს ჩატარებული. „ვოლფსბურგში" სტაბილურად თამაში არ უწევდა, მაგრამ გუნდში მაგათის მისვლისა და ტრავმების მორჩენის შემდეგ მან სათამაშო ფორმა აღიდგინა. ელავიჩი დიდი ხანია გუნდშია და საჭირო ფეხბურთელია. პერიშიჩი ყველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ დებიუტანტი ნამდვილად არაა. ამიტომ ამ მხრივ პრობლემები არ გვაქვს.

ბილიჩი არ ელის, რომ ქართველები სპლიტში ისეთი განწყობით ჩავლენ, თითქოს დასაკარგი არაფერი აქვთ. სხვათა შორის, სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ეს მოსაზრება თემურ ქეცბაიამაც უარყო.

— ვიდრე საკვალიფიკაციო ტურნირს დავიწყებდით, ჯგუფის კალენდრის შედგენისას შევამჩნიე, რომ ქართველებს საკუთარი იდეები და სურვილები ჰქონდათ. მართლაც, საქართველომ მიზნად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა დაისახა და შედეგებმა აჩვენა, რომ არცთუ უსაფუძვლოდ. საქართველომ უკვე დიდი ხანია გადალახა ის ზღვარი, რომ თითქოს გამარჯვებისთვის მოტივაცია არ ჰყოფნის. გარწმუნებთ, უმოტივაციოდ არც თბილისში ვყოფილვართ, ხოლო სპლიტში აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ქართველებს კობიაშვილი არ ეყოლებათ, მაგრამ ანანიძე დაუბრუნდათ. ისინი იმ განწყობით არ ჩამოდიან, რომ დასაკარგი არაფერი აქვთ. ყველაფერი ჩვენს ხელთაა. კარგი კალენდარი გვაქვს და დარჩენილი ხუთი მატჩის მოგება შეგვიძლია, — აღნიშნა ბილიჩმა.

ხორვატ ჟურნალისტებთან საუბრის დასასრულს მან ხაზი გაუსვა, რომ სპლიტის „პოლიუდის" ტრიბუნებზე ფენომენალურ ატმოსფეროს ელის...

— სპლიტი სამართლიანად არის გაბრაზებული და იმედგაცრუებული, რადგან ნაკრებს აქ დიდი ხანია არ უთამაშია. ახლა ფანტასტიკური შანსი გვაქვს, რომ სპლიტში საკუთარი შესაძლებლობები წარმოვაჩინოთ. დარწმუნებული ვარ, რომ სტადიონზე ფენომენალური ატმოსფერო იქნება და გულშემატკივრები გუნდს გაამარჯვებინებენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# 16 წლის ალპინისტმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა




16 წლის ბრიტანელი ჯორჯ ეტკინსონი მსოფლიოს შვიდი უმაღლესი მწვერვალის დამყპრობი ყველაზე ახალგაზრდა ალპინისტია.

იგი ლონდონელია, თავისი ალპინისტური კარიერა 2005 წელს კილიმანჯაროზე ასვლით დაიწყო და „შვიდი მწვერვალის" პროგრამა გასულ ხუთშაბათს ევერესტზე ასვლით დააგვირგვინა.

მან ამერიკელი ჯონი კოლინსონის რეკორდი მოხსნა, რომელმაც იგივე პროგრამა 17 წლის ასაკში დაასრულა.

ჯორჯის დედამ, პენი ეტკინსონმა განაცხადა, რომ იგი აღელვებულია და ამაყობს თავისი შვილის მიღწევით.

ბრიტანეთის ალპინისტურმა ასოციაციამ დაადასტურა, რომ ჯორჯ ეტკინსონმა შვიდი მწვერვალის დაპყრობის პროგრამა 16 წლისა და 362 დღის ასაკში დაასრულა.

ჯორჯს 17 წელი კვირას შეუსრულდა და „შვიდი მწვერვალის" პროგრამის განხორციელებას 11 წლის ასაკში შეუდგა.

მან ჯერ ტანზანიაში, კილიმანჯაროს მწვერვალი დაიპყრო, 2007 წელს იალბუზზე ავიდა, ერთი წლის შემდეგ ინდონეზიაში პირამიდა კარსენსის და არგენტინაში აკონკაგუას მწვერვალებზ ავიდა.

შემდეგ წელს მან ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალი მაკკინლი დალაშქრა, გასულ წელს კი — ანტარქტიკაში ვინსონის მასივის უმაღლესი მწვერვალი.

ევერესტზე ასვლის შემდეგ დედამისმა, პენი ეტკინსონმა თავის ბლოგში ჩაწერა: „ჯორჯმა თავის მიზანს მიაღწია, იგი მწვერვალზე ნეპალის დროით 8:15 წუთზე ავიდა. ამინდი თითქოს კარგი იყო. დიდი მადლობა ყველას, ვინც ჯორჯს ოცნების განხორციელებაში დაეხმარა. ახლა კი დაეხმარეთ ჩემს ვაჟს უკან საღ-სალამათი ჩამოვიდეს".

# ავსტრიულმა ქალაქმა ადოლფ ჰიტლერს საპატიო მოქალაქის წოდება ჩამოართვა

ავსტრიის რამდენიმე ქალაქი ცოტა ხნის წინ არქივების შემოწმებას შეუდგა. მათ სურთ გამოარკვიონ, შემთხვევით მათი საპატიო მოქალაქეების სიაში ადოლფ ჰიტლერი ხომ არ ირიცხება.




ცოტა ხნის წინ პატარა ქალაქ ამშტატენის მუნიციპალიტეტმა ნაცისტური გერმანიის ყოფილ ლიდერს საპატიო მოქალაქის ტიტული ჩამოართვა. ვენის დასავლეთით მდებარე ამ პატარა ქალაქს ადოლფ ჰიტლერი 1938 წელს ეწვია, ერთი წლის შემდეგ კი იგი ამშტატენის საუკეთესო მოქალაქეთა სიაში შეიყვანეს.

60 წლის განმავლობაში ეს ამბავი არავის ახსოვდა. დავიწყებული საიდუმლოს გამოაშკარავების შემდეგ მწვანეთა პარტიამ ქალაქის საბჭოს განსახილველად ჰიტლერის ამ სიიდან ამორიცხვის საკითხი გაიტანა და საბჭოს წევრებმა ხმების უმრავლესობით ამ წინადადებას დაუჭირეს მხარი.

ორმა დეპუტატმა, ულტრამემარჯვენე პარტიის წევრებმა თავი შეიკავეს. მათ განაცხადეს, რომ კენჭისყრას აზრი არ ჰქონდა, რადგან 1945 წელს ჰიტლერის გარდაცვალებასთან ერთად მისმა საპატიო წოდებამაც ძალა დაკარგა.

ამ დებატების ფონზე მთელმა ავსტრიამ თავი უხერხულად იგრძნო. ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა არქივებს მიაშურეს.

ქალაქ კლაგენფურტის მერმა ქრისტიან შრაიდერმა არქივებში ძებნის შედეგს არ დაუცადა და გამოაცხდა, რომ თუკი მოულოდნელად გაირკვევა, რომ ადოლფ ჰიტლერი კლაგენფურტის საპატიო მოქალაქეთა სიაში ყოფილა შეტანილი, მისი განკარგულებით, ჰიტლერი ამ სიიდან უნდა ამოშალონ და მანამდე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით ბათილად გამოცხადდება.

ავსტრიის სამხრეთით მდებარე ქალაქ კლაგენფურტის ისტორიკოსებმა და მხარეთმცოდნეებმა ჯერჯერობით არქივებში მხოლოდ ჰიტლერის პატივსაცემად 1938 წელს გამართული საზეიმო ღონისძიების აღწერა ალმოაჩინეს.

რამდენიმე ავსტრიულმა ქალაქმა კი იმის შესახებ გააჩაღეს კამათი, ჰიტლერისა თუ სხვა ცნობილი ნაცისტისათვის მინიჭებულმა საპატიო წოდებამ დაკარგა ძალა თუ არა. ამშტატენი 2008 წელსაც მოხვდა გაზეთების სტატიების სათაურებში. სახელი იმით გაითქვა, რომ ამ ქალაქის მკვიდრ იოზეფ ფრიტცლს მრავალი წლის განმავლობში სარდაფში საკუთარი ქალიშვილი ჰყავდა ჩამწყვდეული, რომელმაც მამისაგან შვიდი ბავშვი გააჩინა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## TV პროგრამა

**ორშაბათი 30 მაისი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედინფო **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** აუდიტორია – ძიძეებმა შეცვალეს დედები **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.30** ღამის საუბრები **01.30** მხ. ფილმი **"დაკარგული"** (15) (კ. ბლანშეტი) **03.55** მოამბე **04.15** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"მერლინის შეგირდი"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფ. **"ცისფერი მთები"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფ. **"დონი ბრასკო"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ილბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** ნიჭიერი (პირდ.) **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** შუა დღე (გან.) **03.00** პატრული **03.30** მხ. ფილმი **"რემბო 2"**

**10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** შეგირდი (გან.) **23.45** ღამის შოუ (გან.) **01.00** რემონტი (გან.) **01.55** მხ.ფ.**"განდგომილები"** (15) (ლ.დი კაპრიო) (სუბტ.) **04.20** მხ. ფილმი **"აგვისტო"** (15) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ.**"გაზაფხული"** **12.50, 19.30** სერ. **"უკვალოდ"** **14.50** ფერისცვალება **15.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **18.00** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05** მხ. ფილმი **"იყო შაშვი მგალობელი"** **13.35** კონცერტი – რიჩარდ გალიანო **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.05** სპექტაკლი **"კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა"** **16.25** დოკ. ფილმი "არქტიკული მზის ქვეყანა" **17.05** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.30** მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** **1**-ლი ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დრო და ტრადიციები **22.20** დოკ. ფილმი "სარფი მოლენი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმის გაგრძელება **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**30 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6768
ევრო —2,3482
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7043
რუსული რუბლი — 0,0591

## ამინდის პროგნოზი 30 მაისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 15-16
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-39, ღამით — 17-18
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-29, ღამით — 4-8








წამალი “ფერდი” შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. ”ფერდი” დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი ”ფერდის” მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი “ფერდი” იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა “ფერდი”. 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## შერმადინი სადრაფტო ცენტრების ტოპ-ათეულში

**ნბა-ს დრაფტი 23 ივნისს გაიმართება. მასში ორი ქართველი მიიღებს მონაწილეობას — გიორგი შერმადინი და თორნიკე შენგელია. თორნიკე შედარებით ახალგაზრდაა და, არ არის გამორიცხული, ბოლო მომენტში მისმა აგენტმა განაცხადი გამოიტანოს. 216 სმ სიმაღლის გიორგი შერმადინი კი უშუალოდ დრაფტის ცერემონიალს დაესწრება.**



მისი აყვანით ზოგიერთი კლუბი დაინტერესებას გამოთქვამს, თუმცა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ზოგად საუბრებს უნდა დავეყრდნოთ. მაგალითად: გუშინ ამერიკელმა ჟურნალისტმა ტონი მეიამ გამოცემა “პრო-ბასკეტბოლისთვის“ წინასადრაფტოდ 10 საუკეთესო ცენტრი ჩამოთვალა. მეათე ნომრად გიორგი შერმადინი მოხვდა. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ ჩვენებურს რომელიმე გუნდი თუ აიყვანს, შესაძლოა, სათამაშოდ ისევ ევროპაში დააბრუნოს.

ათეული კი ასე გამოიყურება: 1.ენეს კანტერი (თურქეთი), 2.დონატას მატიეუნასი (ლიტვა), 3.ლუკას ნოგუეირა (ბრაზილია), 4.იონას ვალანციუნასი (ლიტვა), 5.ჯერემი ტაილერი (სან დიეგო, აშშ), 6.მაიკლ დანიგანი (ჩიკაგო, აშშ), 7.კეიტ ბენსონი (ოკლენდი, აშშ), 8.ნიკოლა ვუჩევიჩი (სერბეთი), 9.ჯორდან უილიამსი (მერილენდი, აშშ), 10.გიორგი შერმადინი (საქართველო).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ასტროპროგნოზი 30 მაისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **კურო** — არ დაიგვიანოთ, მნიშვნელოვანი შეხვედრაა. **ტყუპები** — საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის გამო სამსახურში პრობლემები გაქვთ. **კირჩხიბი** — ეს დღე დიდ სიხარულს გაჩუქებთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, დიდი საჩუქარი გელით. **ქალწული** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **სასწორი** — ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, ყველაფერს მოასწრებთ და საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **მერწყული** — საინტერესო თამაშში ჩაერთვებით, რომელიც ძალიან მოგეწონებათ. **თევზები** — ახალი სამსახური მოგეწონებათ და უფროსობას თვალში მოხვდებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


30 მაისიდან

იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 6

რიშელიე

გაზეთი და წიგნი ერთად

8 ლარი


## იუმორი



— რამდენ ძროხას მწყემსავ?
— თხასაც თუ ჩავთვლით, ექვსს, ისე ხუთს...

* * *

— გაიძვერა ახალშობილმა წეროს 200 დოლარი გადაუხადა და შვედეთის მოქალაქე გახდა...

* * *

ცოლი საყვარელთან ნებივრობს. მოულოდნელად ქმარი დაბრუნდა.
— ჩქარა, აივნიდან გადახტი., — ეუბნება ცოლი საყვარელს:
— გაგიჟდი, მე-13 სართულია!
— რა დროს ცრურწმენებია...

* * *

— ვეგეტარიანელები ცხოველებს არ ჭამენ, ისინი მათ შიმშილით სიკვდილისათვის სწირავენ...

გ. თ.

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 5. ფრანგი მწერალი; 6. ბაქიაობა, კვეხნა; 8. სადილის შესაზავებელი მასალა; 10. ერთგვაროვანი საგნების ნუსხა; 11. ნიმუშების საგამოფენო დაფა; 13. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 16. ცრუ; 18. „თეთრი ოქრო“; 19. გადარეული, ფეთიანი; 21. პერგამენტის გრაგნილი; 22. ტექნიკური განათლების მქონე პირი; 23. ჯადოქრობის გავლენა.

**შვეულად:** 1. საგნის ან მოვლენის ძირითადი თვისება; 2. ქართული ჟურნალი; 3. ერთი წლის ჯორი; 4. ბერძნული სიმებიანი საკრავი; 7. განთავისუფლებული მონა; 9. ... და ოდილია; 12. წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკი მოწყობილობა; 14. შუქშეუვალი ბრტყელი ბუდე ფოტოგრაფიული ფირფიტებისთვის; 15. მთა, საიდანაც ცეცხლი და გავარვარებული მასა ამოიფრქვევა; 17. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება; 20. გამკილავი შინაარსის სახელდახელოდ თქმული ლექსი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი